

1

# „გერიის ბიბლიოთეკა“



ქოხში — სუნგა სოფლის ცხოვრებიდან  
ი. გომართელისა.

ჭყვეობაში — ღ. მელშინისა  
თარგ. ვ. ვ—სა.

საბოლოოდიკო ეკონომიკის კრიტიკა —  
ფ. ენგელსისა.

35113



3 6 0 8 0 5

№ 4

1905

ტფილისი



## წინასიტყვაობის მაგისტრ.

ჩემი შესა არ წარმოადგენს სახელოვნო ნაწარმოქებს, — ის საუთია მხოლოდ ჩემი დაკვირვებისა. მე კარგად ვიცნობ ჩვენს გლეხს და მინდოდა, დამეხატა ის, აღმენიშნა აქ, რაც თვითონ მისახავს, ან გამიგონია. უნუგეშოა ჩვენი გლეხის მდგრადებია, უნუგეშო. აუტანელმა ჩეუიმა დააბეჭავა ის და გაატატავა, განსილებისაკენ მიმავალი ურველი გზა დაუსმი და, აი, დღეს ბიუროგრატიასთან ერთად ცრუ-მორ-წმუნებია, უფიციოს და თან სილატაკით გალაღებული სწეულება მუსის ავლებენ მას. საბედნიეროდ, ისევ ღარიბ ქოხში იძალება და იფუნქციება გლეხის მსხველი ძალა.

წინდაწინვე ვიცი ერთი საუკედური, რომლითაც მომმართავს მე მკითხველი: ჩვენი გლეხი ავადმუთვე ვერ დაახტებოდა, — ის არ არის ასე მხეციო. ჩვენი გლეხი ღვთისნიერი ადამიანია, მაგრამ აშევარი სიმხეცის ჩადენა ზოგჯერ შეუძლია. ჭლექი ის საშინელი სენია, რომლისაც ჩვენს გლეხს მეტად ეშინია; ის დარწმუნებულია, რომ, ერთხელ თუ გაჩნდა ჭლექი სახლში, მერე სუჟექტას მუსის გაავლებს, და ამიტომ ხშირად ვეღურ ზომას მიმართავს ხოლმე ჭლექის მოსასპობად. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ზემო-იმერეთის ზოგიერთ ადგილებში ჭლექიანებს გადაწვენდნენ ხოლმე, ე. ი. ცალკე მოუწივდნენ ფაცხას, დამწუვდევდნენ შიგ და სარკმელიდან აწვდიდნენ საჭმელს; ხშირად კი მოგუდავდნენ ხოლმე:

იუნენ ისეთი შირები, რომლებიც ამ ხელობას კისრუ-  
ლობდნენ და კარგ სასეიდელსაც ღებულობდნენ. ხალხი  
აქ საზიზდარს არავერს ხედავდა, რადგანაც ეს მიაჩნდა ერ-  
თად-ერთ რაღიყალერ ზომად ჭლექის მოსახლეობად. ამგვარი  
მაგალითი მე ბევრი ვიცი ჩემის საკუთარის პრაქტიკიდან. მო-  
გვივან მარტო თას. რამდენისამე წლის წინად ზემო-იმერეთ-  
ში მანახეს ჭლექიანი ქალი, რომელსაც პროცესი იმდენად  
არა ჭერნდა გავრცელებული, რომ თვეზე მეტი მაინც არ  
ეცოცხლა. შინაურებს მე ავუხსენი, რაშიაც იურ საქმე. არი  
პვირის შემდეგ ავადმეოთვის მეზობელი ვნახე და, როცა  
ვკითხე ავადმეოთვის ამბავი, მთახვესო, მიშასუსა და ჩაიარა. შარშან ერთმა შეუ-ხნის კაცმა ქალიშვილი მომავანა და  
მთხოვა: გასინჯე და მითხარი, რა ჭიროს. ავადმეოთვი ჭლე-  
ქიანი აღმოჩნდა, მაგრამ ჭლექი ახალი დაწესებული იურ და  
შეხედულობით ავადმეოთვი იმდენად საღი იურ, რომ, რაც  
უნდა ჩერის ნაბიჯით ევფლ იმის სენს, რამდენისამე თვეს მა-  
ინც იცოცხლებდა. მე ავუხსენი ავადმეოთვის მამას, რაშიაც  
იურ საქმე, და თან დავძინე, თუ რიგიან უურადღებას მიაქ-  
ტევთ, შეიძლება გადიტანთს-მეთქი. — მეც ვიცოდი, რომ ჭლე-  
ქი სჭირს, მარა მაინც თქვენი დასტური მინდობათ, მიშასუსა:  
წამალს ნუ მიწერ, ვიცი, რომ ჭლექიანის წამალი არ არის, შარშან შეიღი მეავდა ჭლექით ავად, ებ გვილიდა იმას და  
იმისგან გადაედვა, ახლა ებ უველას გადაგვდებს; სხვებიც  
მეავს შეიღები, იმისთანა წამალი მომეცი, რომ სხვებს არ  
გადაედვასო. — მე ავუხსენი, რომ ამგვარი წამალი არ არის, და  
დავარიგე, თუ როგორ უნდა ჭლექიანის მოვლა. სწორედ ერ-  
თა თვის შემდეგ მოვიდა ისევ ის კაცი ჩემთან და სხვა შეი-  
ღი მომიუვანა გასასინჯად. შენი ქალიშვილი როგორ არის.  
მეთქი, დავეკითხე მე. — მოვამვდინე, ბატონოვთ, მიშასუსა. — რო-

გორ თუ შოაკვდინე-მეთქი, ვკითხე გაფცებულმა. — გადავაწვანე და მოვაკვდინეთ, ამისსნა: ბევრი იუგირა საცოდავმა, არ მწირს მე ჭილექით, მარა ერთი შვილის გულისთვის მთელ ოჯახს ხომ ვერ ამოვწევეტდით. ეს გლეხი დარბაისელი იუოდა სახე მეტად მშვიდი და პატიოსანი ჴქონდა. მისი სიტუაციი და ჩადენილი საქციელი სრული წინააღმდეგობა იუთ მისი სახის გამომეტეველებისა. შენ დაუძახე მას, რაც გენებოს, მკითხველო, მე კი დღესაც ვერ გადამიწევეტია ჩემს გულში, რა გუწოდო მას, — გავამართდო თუ გავიცხო?..

უოველივე ეს მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია იმ უოველ-მხრივის უნუგეშო მდგრმარეობისა, რომელშიაც ჩვენი გლეხი იმუოფება. და ჩვენ კი მას უურადღებას არ ვაქცევდით, სანამ ისევ მან — ტანჯულმა და წამებულმა — არ მიაქცია თავის თავს ეურადღება.

ი. გომართელი.

# ქ ო ხ შ ი

სცენები სთვლის ცხოვრებიდან  
ხუთ მოქმედებად და ექვს სურათად.

ივ. გომისროველისა.

შ თ მ ქ მ ე დ ნ ი:

საჩინო გულიაშვილი. 50 წლის გლეხი. გძელი თმა აქვს, მოკ-  
ლე წვერი, შუა ტანისა არის. ჩოხა აცვია, მოკლე ახა-  
ლუხი და ქალამან-პაიჭები.

თამარი. ამისი ცოლი, ორმოცუი წლის ქალი, ქარებით დავარდნილი.

ნატია. ამათი ქალი 17 წლის,

დომეტი. ამათი ვაჟი ოცი წლისა.

ლუკა. საჩინოს ძმა, ორმოცდახუთი წლისა.

ელისაბედი. მკითხავი დედაკაცი, ორმოცდა-ხუთი წლისა.

გარიბა. ნატას ბიძაშვილი და ამხანაგი, 17—18 წლისა.

გართა. აზნაურის ქვრივი, 55 წლისა, ნატას ნათლია. მართას თან  
ახლავს ორი ახალგაზრდა რძალი.

თალესანი. 45 წლის გლეხი.

მამასახლისი, მწერალი, „ბორჩიკები“, „პომოშნიკი“ და გლეხები.  
ახალგაზრდა ეძიმი.

## მოქმედება პირველი.

(სცენა წარმოადგენს გლეხის საჯალაბოს: შუა ცეცხლი, კერას სწორად საქვაბეა ჩამოკიდებული, ერთ კუთხეში პატარა თაროა და ზედ გობი და ქოთნები დგას, იქვე თახჩა\*), მეორე კუთხეში დოქი, ჩაფულა და ჩაფი. ერთგან თოხი და ბარია აყუდებულებული. იქვე ნაჯახი გდია. კელელზე გულაა ჩამოკიდებული და ხამგალი. ერთ კუთხეში ლოგინია გაშლილი. ლოგინის თავში სკივრია. სკივრის თავზე ლეიბები, ბალიშები და საბნებია. ლოგინის სწორად კედელზე ძველი წინდებია ჩამოკიდებული და დახეული ქალამნები. ლოგინზე თამარი წევს ტანისამოსში. იღლიამდის საბანი ჭურავს. სახლში სამი სამფეხიანი სკამია).

**თამარი.** ნატია, ნატია, ნატა გოგო, ნატა, ნატა! (ჰაუზა) საჩინო, საჩინო!.. არ დაგრჩინა ცოლქმრობის გამჩენმა! ვაი, ვაი, აჲ, აჲ, დედა, დედა, დედა! (ცდილობს წამოდგეს და ტკივილებისაგან თხრავს). დამტოვეს, მარტოკა: მიმატოვეს, ვიღრჩიობი და წყლის მომწოდები აღარავინა მყავს. (დიდის წვალებით წამოდგება დოგდნზე) ყველას მოვძულდი, ჩემი პატრონი აღარავინ არის (ისმის ზარის რექა გეგდესიდან, თამარი შირჯვას იწერს) ღმერთსაც კი მოვძულდი, მარა ღმერთს ახლა კი არა, დიდი ხანია მოვძულდი. გლეხ-კაცი როდის უყვარდა ღმერთს, რომ ახლა შეიკვაროს; იმასაც დიდკაცები უყვარს, დეილოცა მისი სამართალი. (ჰაუზა)

\* პატარა შკაფი.

შე დალოცვილო, ყოველ დღე გეხვეწები, მი-  
იბარო ჩემი სული, ყოვლად ძლიერი ხარ და-  
რა ასე გაგიჭირდა ჩემი სიკვდილი? რა შეგ-  
ცოდე ამის ფასი? (ჰაუზა) ეჭ, ღმერთი, ღმერთი!...  
სად არის ღმერთი? თუ ღმერთია, დეილოცა მისი  
სამართალი, რატომ არის ამდენი უქამართლო-  
ბა ქვეყანაზე? ეგერ ყარამანამ ბიძაშვილი მოკ-  
ლა, ციმბირში გაგზავნეს, ძქ ხაზინა მოიპარა,  
ჩამოვირა სახლში და მეფესავით ცხოვრობს,  
თავადი სვილს თავს არ უკრავს, მე ჭიანჭველაც  
არ გამისრესია, სიკვდილს ვეხვეწები. ყოველ  
დღე და ისიც არ გაძმეტა ჩემთვის. ბოროტი-  
ვინც არის, ღმერთიც იმისკენ არის; საწყალის-  
და მართალის საშველი არც ყოფილა და არც  
იქნება. (ჰაუზა) მაცხოვარო, ნუ მიწყენ! წმინ-  
და გიორგი, ნუ გაშირისხდები, შენ უკვდ იცი-  
ყოველიფერი, ჩემი ცოდვილი ენით ნათქვამს.  
ნუ მიწყენ. (ჰაუზა, შემდეგ წელში იტაცებს რო-  
გე ხელს) დედა, დედა, დედა! გატეხა, ეს-ეს.  
არის წელი. არა, სად დაიკარგნენ ამდენ ხანს?  
ი, ნატა მარნც რაღა იქნა? ჯერ არც ჭადია-  
გამომცხვარი, არც სამარხოა მიმტებარი. ქრის-  
ტიანმა, აღამიანმა კვირა უქმე დღეს ცაფ ჭად-  
ზე რავა გადაარონიოს! სილარიბეს კი ამოუ-  
ვარდა მომგონი. ვწვალობთ, ვიტანჯებით მთე-  
ლი სიცოცხლე და რისთვის? ცივი ჭადის-  
თვინ (უბანს სკნელ სიტაჭებზე უმოდის ელისპედი).  
ელისაბედი. ზოგს ცივი ჭადიც ენატრება, ჩემო თამარო!  
თამარო. მოხვედი, ჩემო ელისაბედ? მე კი მეგონა, და-

მივიწყე მეთქი. იმ დღეს რომ მალამო მომიტანე, პატარა დამიამა, მაგრამ ი გლახა გოგომ ვერ წამისვა კარგად. წინეთ რავა შემეძლო განძრევა, ახლა ლოგინზედაც წამოვჯდები ხოლმე. იმდენს რომ შევიძლებდე, აქედან კუთხემდე მივიდოდე და ჩემი ხელით წყალს დავლევდე, თუნდა მეორედ დავბადებულიყო!

**ელისაბედი.** ლვის წყალობით და ადამიანის მეცადინეობით, იმ კუთხემდი კი არა, ეკლესიამდე მიხვალ. ნახევარ წელიწადში ფეხზე დაგაყენებ.

**თამარი.** (ცოტა: გამხიარულებული). ნეტავი, ერთ წელიწადს დავდგებოდე და ერთ დღეთ არ ჩავაგდებ. სამი წელიწადია, ასევარ დაკრული ლოგინზე, რისი სული მიდგია კიდე, არ გიკვირს?

**ელისაბედი.** შენი ბრალიც არის, ჩემო თამარ: გაყევი, ეს დოხტურიო, ეს ფერშალიო, რაც რამ გაგაჩრდა, აფთიაქს გადაალიე თავზე.

**თამარი.** ექ! გაჭირებული ადამიანის ამბავი არ იცი? ლობე-ყორეს ედება! რასაც გაიგონებს, ყოველიფერი ჯერა.

**ელისაბედი.** შენ ჰკვიანი ქალი ხარ ჩემო თამარ, და არ უნდა დაგვჯერებია. შენ სხვებს უნდა არიგებდე, რა ჩემგან დარიგება გქირია?

**თამარი.** ან კი რიღასი ჰკუა შემრჩა, რატომ არ გიკვირს. ჩემ სიცოცხლეში ერთი დღე ბეღნიერად ცხოვრება არ შემხვედრია. ჩემს დედ-მამას თავზე საყრელად ქონდა ყოველიფერი. ლარიბოჯახში ჩამაგდო იღბალმა; სიღარიბეს ჯანი გავარდეს, ჩემი სიმდიდრე ჩემი შვილები იყო

და ცხრა შვილში ორი-ლა შემჩენია. ნეტა  
თვალით დასანახავად არ დამღირსებოდა ჩემი  
დომენტი და, მაღლობა ლმერთს, ალბად, ასე  
მწერებია.

**ელისაბედ.** მართლა, როდის ელით დომენტის?

**თამარი.** ახლანდელი ახალგაზრდისას რას ვაიგებს  
ადამიანი? ეს ერთი თვეა, იწერება ჩამოვალო.  
დღე-დღეზე ველით; ფოშტის ფული გადასახ-  
დელი გვაქვს; ეს საცოდავი კაცი დარბის და  
ვინ რას მისცემს! მისი იმედი გვაქვს, იქნება  
პატარა მოგვიტანოს რამე.

**ელისაბედ.** მე რომ გითხარი, არ დაგავიწყდეს. ქმარ-  
შვილი ნუ გამიწყდება, ხუთი კაჭალი მანათი  
დახარჯული მაქვს შენს წამლებზე და სამი  
მანათის მეტი არ მოგიცია ჯერ. სანამ ხუთ  
მანათს არ მიშონი, წამალს ველარ მოვიტან  
ამის მეტს (ბოთლს ამოიღებს ჯიბიდან და აძლევს)  
რა ვქნა, ვიცი, რომ არ შეირჩენ ჩემსას, მარა  
წამალს ყიდვა უნდა, მე ხომ ტყუილა არ მაძ-  
ლევენ; შემზადებამ შენი ჭირი წაიღოს. აი  
ეს წამალი სულ შავ ლვინოშია შემზადებული.  
სამი ბოთლი ვაღულე და ერთ ბოთლზე დაჭა-  
ყენე.

**თამარი.** ოლონ შენს გამჩენს შეხედე, ნუ მომიძულებ  
და რავარც ჩამოვა ჩემი დომენტი, ხუთ მანათს,  
თუ მეტს არა, მაშინათე გიშონი.

**ელისაბედი.** შენ ფიქრი ნუ გაქვს, რაკი ხელი დაგადე,  
მოგარჩენ კიდეც. ბასილა მაინც ალარ გახსოვს,  
შე ქალო, ლეკიშვილი? რავა იყო მერე! არ

დამიჯერა, ქალაქში წავიდა, ბალნიცაში ერთ  
თვეს იწვა, იქიდან ურმით ძლიერს ჩამოიყვანეს.  
იქ თურმე ქარების წამალს აძლევდნენ, იმას  
კი ქარ-ჭია ბუასილი კლავდა. იცოცხლე, იმან  
იკადრა ჩემთან მოსვლა! ორმოცი წურბელი  
საჯდომზე დავაყარე, სამი ბოთლი წამალი და-  
ვალევიე და, უკაცრაული პასუხია, წინ და  
უკან სულ ნაღველივით ვაქცევიე ჭიის ბუდე.  
ისე შენ იცოცხლედა ჩემმა ქმარშვილმა იცოც-  
ხლოს, როგორც ის მორჩა და გამომრთელდა.

**თამარი.** ყველაფერს იღბალი უნდა, ჩემო ელისაბედ!  
იღბალს ჩემამდინ ვინ მოუშვებს, ათასი ეშმა-  
კი დახვდება გზაში.

**ელისაბედი.** იღბალი კი არა, ხელი მუშაობს, ხელი! თუ  
ქალი ვარ, ხუთ თვეზე ლეკურს გათამაშებ,  
ნარა შენც უნდა შემიწყო ხელი. ერთი კვირა  
რომ წამალი იხმარო და ერთ თვეს ისე დარჩე,  
მე რა ვქნა, ჩემო კეთილო? არა, ხელს ნუ  
წამიხდენ და შენ თავსაც ნუ დაიღუპავ. იმის-  
თანა სიზმრები მაქვს, რომ ნურაფრის გეშინია.

**თამარი.** (იდიმება) აბა შენ იცი და შენმა ღმერთმა.

**ელისაბედ.** მაშ ახლა სულ ვერაფერს მომცემ?

**თამარი.** ახლა ნუ დამემდურები, ჩემო ელისაბედ და,  
დომენტი როგორც ჩამოვა, ნატას ხელით გა-  
მოგიგზანი.

**ელისაბედი.** აბა, კარგი, ეს ბოთლი რომ გამოცალო,  
ხუთი მანათი გამოგზანე და ორი ბოთლი თე-  
თრი ღვინო. ეს წამალი წითელ ღვინოშია და-

დუღებული. აწი თეთრში იქნება, მერე ყვი-  
თელში დაგჭირდება (შიდის).

**თამარი.** (მარტო). ხუთ თვეში ზეზე გაგარონიებო! ვე!  
ნეტაი მართლა!.. ერთი წელიწადი იყოს  
როდის ვიყავი ბედნიერი რომ, ახლა გავხდე?  
ეკკლესიაზე წახვაღო! მეღირსება კი ის დღე,  
რომ ეკკლესიაზე მივიდე და ჩემი ხელით სან-  
თელი დაუნთო წმინდა გიორგის? ჩემი ალე-  
ქსანდრეს საფლავი ვნახო? ღმერთო, ისე მაინც  
ნუ მომკლავ, რომ იმის საფლავს ქვა არ და-  
ვადვა. ეს ექვსი წელიწადია, სულ იმას ვფი-  
ქრობ, აი, დღეს დავადებ ქვას, აი, ხვალ, აი,  
ზეგ-თქო, და დამირჩა ასე. ახლაც იმიტომ შე-  
ვეხარებოდი ჩემი დომენტის ჩამოსვლას, რომ  
ფულს მომიტანს. და ალექსანდრეს ქვას და-  
ვადებ-მეთქი, და აქაც რაღაც ეშმაკათ ეს წყე-  
ული გამიჩდა.. (პაუზა) მაგანაც რა ქნას? ღმერ-  
თმა გადაუხადოს, სამი მანათის მეტი არა მი-  
მიცია-რა ჯერ და, მთელი თვეა, მწამლობს..  
ხუთი მანათი მე მაქვს დახარჯული წამლებ-  
შიო! ტყუის!.. ყველა ეშმაკები არიან, ყვე-  
ლას გაცარცვაზე უჭირავს თვალები. (პაუზა)  
ღმერთო, ნუ მიწყენ მე ცოდვილს, რა მრჯის  
სხვის გასჯას, ალბად, დახარჯავდა, აბა ტყუი-  
ლა საღ იშონის წამალს... იქნება, დომენტიმ  
იმდენი მოიტანოს, რომ ალექსანდრესაც ეყოს  
შემოდის ნატია და სალფეთქში პური აქვს გა-  
ხვეული).

**ნატია.** უმ რა სიცხე იყო! ასე ჯერ არ შემცხომია  
(წეალს სეამს ჩაფულიდან).

**თამარი.** საღ იყავი, შვილო, ამდენ ხანს? შენს მეტი სა-  
ხლში არავინ არის, შუადღე-წამოვიდა. აგერ-  
და ჯერ ჭადიც არ გვაქვს ჩაჯენილი. როდის-  
ლა მოგვესწრება?

**ნატია.** (თახეაში ჩაიხედავს) ერთი ჭადი და ნახევარი-  
გვქონია, დედა! მე ბაზარში ვიყავი და ეს პური-  
ვიყიდე (დედას სალფეთქით პურს აძლევს). მა-  
რიკას მწვანილს და ბოლოკს ვთხოვ და სა-  
დილი მალე იქნება.

**თამარი.** (პურს შინჯავს, შემდეგ მოგლეჭს და სჭამს) ვინ  
მოგცა, შვილო, ამისი ფული მერე? რა გემრი-  
ელია, შენ დაგენაცულოს დედა! ამას ნუ შე-  
ვჭამთ ამ საღილად, შევინახოთ და გამოვი-  
ზოგოთ, როცა სამარხვო არ გვექნება, ჭადს-  
შევატანთ ხოლმე.

**ნატია.** იმდენი პური კი მოეტანათ დღეს ბაზრობაზე,  
რომ ერთ სოფელს ეყოფოდა. რა საკაბეები-  
ქონდათ, დედა, ურიებს! ვამბობდი ჩემს გულ-  
ში, ეს რომ ჩემათ გადააჭცია, ყოველ დღე;  
ახალ-ახალ კაბას შევიკერავ-მეთქი.

**თამარი.** მერე, მე კი არ შემიკერავდი, დედა?

**ნატია.** შენ სულ ბამბაზიის კაბებს შეგიკერავდი. ერთი-  
ბალდადი იყო, დედა ჩემო, ექვს აბაზ-უზან-  
თულათ ყიდდა ი წყეული, მაგრამ მანათათ  
გამოიტანდა კაცი; მისთანა იყო, როო!.. თვა-  
ლები ზედ მრჩებოდა, რომ მოვდიოდი. ვთქვი  
რამდენჯერ, მოდი გავბრუნდები და ვიყიდი—

მეთქი, მარა მოვითმინე; ერთხელ დავაპირე გაბრუნება: მოდი, მანათს შევაძლევ, ალბად, არ მომცემს და წამოვალ ისეც-მეთქი, მარა მეირე გულმა მითხრა: ერთიც ვნახოთ, დაგიძახა: წაიღე მანაოათო, მერე ხომ გული დაგ-წყდებაო.

**თამარი.** გოგო, სად გქონდა მერე ეგ მანათები? ხომ არავინ გაგიცარცუვს?

**ნატია.** გავცარცუე აბა! ვიპოვნე გზაში (თამარი გაჭვირ-ვებული მისხერებია). რას მომჩერებიხარ, დედა, არ გჯერა? (ნატა ამთავრებს კაბის ჯიბიდან ფულს, თვლის და აძლევს დედას). აი, დედა, სამი მა-ნათი და ათი შაური; ეს ფული შენ გქონდეს, წამალში როცა დაგჭირდეს, მაშინ დახარჯე; მამას არ უთხრა, თორემ წაგვართმევს.

**თამარი.** (გაჭვირებული) გოგო და, ვინ მოგცა ამდენი ფული?!?

**ნატია.** მამა ჩემს რომ ვუთხარი გაზაფხულზე, აბრეშუმის-ჭია უნდა დავაჯინო-მეთქი, დამიყვირა: მე იშის ხლაფოთის თავი არ მაქვსო. მერე მე და მარიკამ დავაჯინეთ ჩუმათ, დღეს გავყიდეთ ბაზარში და შვიდი მანათი და სამი აბაზი გვერ-გო. შუაზე გავიყავით, ექვსი შაური პურში მივეცი და დანარჩენი შენ მოგიტანე.

**თამარი.** ერთი შეხედეთ ამ კუდიანს! მერე შენთვის არა-ფერი გიყიდია?

**ნატია.** რა უნდა მეყიდა, დედა? კაბა ჯერ მაქვს, ფეხსა-ცმელიც. აგერ-აგერ, დომენტიც ჩამოვა, ისიც მომიტანს რასმე. და მეტი რათ მინდა?

**თამარი.** არა, შვილო, შენი ახალგაზღობის მონაგარი-  
რომ მე დავხარჯო, ღმერთი მიწყენს; შენ წა-  
იღე და მოიხმარე, რავარც გინდა. შენ ახლა-  
გასათხოვარი ქალი ხარ. ვაი დედა შენს, რომ  
ასე დავარდა, თუ არა ასე რავა გამყოფებდი,  
შვილო? თვალი სვამს და თვალი ჭამს. შენი-  
ხნის გოგო ახლა სულ გამოწყობილი უნდა-  
იყოს. თუ არა მარტო სილამაზით ვის მოე-  
წონები?

**ჩატია.** უმაღ ჩემი კუბო ნახე, სანამ გავთხოვდებოდე.  
რად მინდა გათხოვება? აბრეშუმსა რომ ვა-  
ჯენდი, ღმერთს აღთქმა მივეცი, თუ რამეს  
ავიღებ, სულ დედაჩემს მივცე-მეთქი.

**თამარი.** უი ჩემ თვალებს! გათხოვება როგორ არ გინდა,  
გოგო? კაის იზამ, აპა, ჩვენ თუ შამოგვაჩერდი,  
ორ დავარდნილ ბებერს! ქალიშვილი იმისია,  
რომ უნდა გათხოვდეს. ეს ფული. შენ წაიღე,  
შვილო, ის თავსაფარი რომ მოგწონებია, იყი-  
დე, ერთი კაი საკაბე იყიდე კიდე და, მარი-  
ობა მომავალია, ღმერთი მრავალს დაგასწრებს,  
ტოლ-ამხანაგებში გაერევი და ქვეყანა გაგი-  
ცნობს.

**ნატია.** არა, ჩემო დედა, მე არაოდეს არ გავთხოვდები,  
მე სულ შენთან ვიქნები (ჩაეგვრება დედას და  
ქოცნის) რაცა ხალხი იყო დღეს, დედა, ეკ-  
კლესიაზე! ზალიკას ბიჭს, ბასილას, ცოლი-  
მოუყვანია და ეკკლესიაზე ყავდა. რო აქებდენ  
არც მისი ნახევარია!

**თამარი.** მართლა, რავარი ქალია? (ფულს ცხვირსახცში ახვევს და თავშეეშ ინახავს).

**ნატია.** ტანათ კაია, ნაწნავები წელზე აყრია; თვალ-წარბიც კარგი აქვს, მარა ტუჩ-კბილი. და ცხვირი ღმერთმა შეინახოს. როცა გაიცინებს მაინც, ზედ არ შეაფურთხებ!

**თამარი.** მართლა, ახალი ღვდელი როგორ სწირავს?

**ნატია.** სემელარია როგორც გაათავა თურმე; ეკურთხა და აქ გადმოამწესეს; სულ ახალგაზდაა, დედა?

**თამას.** ნეტავი იმის დედას! ვისაც ღვდელი გამეეზდება შვილი, იმას რა უჭირს, შვილო! სწავლა ასე კაია, მარა ჩვენისიანა გლეხკაცისათვის არა-ფერი არ გაუჩენია დალოცვილ ღმერთს.

**ნატია.** არა, დედა, ისიც გლეხკაცია თურმე; ეკულესიაზე ყველა ლაპარაკობდა, გლეხკაციაო.

**თამარ.** იქნება, შვილო; განა გლეხკაცი ვერ ისწავლის! ჩემი ალექსანდრე რომ ცოცხალი მყავდეს, ახ-ლა ის პრიჩედნიკი იქნებოდა; იქნება, ჩვენც კი მოგვასწრებდა ღმერთი მის ღვდლობას.

**ნატია.** მისთანა იქადაგა, დედა, მისთანა, რომ ყველას ცრემლები მოუვიდა.

**თამარი.** რა იქადაგა, შვილო?

**ნატია.** რა ვიცი, მეორედ მოსვლა რომ იქნებაო, იესო ქრისტე გეტჰვისთო: მე მშიოდა და არ მაჭა-მეორ, მციოდა და ას ჩამაცვითო, მწყუროდა და არ მასვითო, ამიტომ ყველა გაჭირვებულს უნდა. შევეწიოთო, თორემ ღმერთი წაგვწყმენ-დსო. საკურთხს. აქ კი ნუ მოიტანთო, გააკე-თეთ და თქვენ სოფელში ლარიბებს, გლახებს

დაურიგეთო, უფრო მაღლიაო. რა ვიცი, ბევრი  
ილაპარაკა, მაგრამ ნახევარიც ვერ დავიმახ-  
სოვნე. (შემოდის საჩინო დაჭალული, ცოლშვილს  
არ შეხედავს, სამფეს სკამს გერასთან დაიდგამს,  
ჩამოჯდება; არის ჩაფიქრებული. სიჩუმეა).

**საჩინო.** სხვაგან სამხარს ემზადებიან და აქ კი ჯერ სა-  
დილიც არავის მოგონებია.

**თამარი.** ვის უნდა მოგონებოდა? მე ვარ და, ჩემ თავსაც  
აღარ ვარგივარ; ეს საკოდავია და, ახლა და-  
ბრუნდა ესიც.

**საჩინო.** მეც მაგას ვწუხვარ, რომ ახლა დაბრუნდა. მა-  
გის ტოლები სხვაგან მთელ იჯახს უვლიან და  
ეგ კი ახლა დაბრუნდა!

**თამარი.** შენ როცა ეშმაკი შეგიჯდება, რას ამბობ და  
რას არა, აღარა გაგებება-რა. ლხინსა და თა-  
მაშაში იყო, არა? წირვა მოისმინა, გაგიწყრა  
მისი მაღლი, ორიოდე, შაური მქონდა, იმის  
პური ვაყიდვიე ზაზარში და ეს იყო!

**საჩინო.** ვისაც უწყრება მისი მაღლი, თვალითა სჩანს!

**თამარი.** არა დაინახა-რა შენმა თვალებმა? შენმა მოწამ-  
ლულმა ენამ მომისწრაფა დღე, თუ არა კიდე  
არა მიჰირდა-რა:

**საჩინო.** რა ვიცი, ასე იძახი, შე მამაცხონებულო, ჩემ-  
სობას, და შვიდი შვილი ამოვევი მიწაში.

**თამარი.** (გულმოსული). მიწა გაგისკდა და შიგ ჩაგიტანა  
ბარემ! მე. მოვკალი. მერე, შე ოხრის შვილო?  
(ტირის).

**ნატია.** ბექა, მამა-ჩემო, რა დაგემართა შენც ერთი? რაღა-

უქმე დღეს ალაპარაკდებით ხოლმე? (ჭავერთო-  
სიჩუმე).

საჩინო. სადილი ჭამეთ?

თამარი. უშენოთ როდის გვიჭამია სადილი, რომ ახლა  
გვეჭამა?

საჩინო. რაღას ვუცდით? თუ რამეა, შევჭამოთ, თორემ  
აწი კიდეც დალამდება. წლის ოდენი დღე მო-  
დის ახლა და ჯერ ჩემ პირში არა ჩასულა-რა.

ნატია. მე გავირბენ, წვანილს მოვიტან და სუფრასაც  
გავშლი (მიდის).

თამარ. წირვაზე იყავი ამდენხანს?

საჩინო. წირვაზე?! გლეხქაცისათვის არც წირვაა და არც  
ლოცვა. მთელი დღე ფულზე დავრბოლი და  
ხური მანათი ვერსად ვიშვე, არავინ არ მოა-  
მინაცვლა ხელი. ჩემი შვილის პატრონს ხუთი  
მანათი მაინც რაღათ უნდა გამიხდეს საღრიკ  
ჭინოდ, მარა, დეილოცა ლვთის სამართალი,  
ყველაფერს იღბალი უნდა!..

თამარი. რათ იცი, შე უბედურო უალაგოდ საყვედური?  
ჩამოვა ამ დღეებში და ჩამოგიტანს, აბა, ხელ-  
ცარიელი ხომ არ მოვა, ოთხი წელიწადია,  
კარშია?

საჩინო. რავარც შარშანწინ ჩამოგიტანა ისე ახლა ჩა-  
მოგიტანს.

თამარი. რატომ, აღამიანო?

საჩინო. აი, ნავხოთ. აღდგომა და ხვალაო ახლანდელი  
აღარც ბერი ვარგა, აღარც ახალგაზდა (ჭავერთა).

თამარი. რაში დაგჭირდა მერე ი ხუთი მანათი?

საჩინო. რაში და... წულა-მესტში!

**თამარი.** რა ყველაფრის ატრიზავება დაიწყე? ზოგიერთი  
ადამიანი რომ დაბერდება, ჭკუა გამოელევა.

**საჩინო.** აბა, რაში დამჭირდებოდა! ეს ორი კვირეა,  
ბორჩიკი ფოშტის ფულსა მთხოვს; ექვსი და  
ათი შაური მაქვს მისაცემი, ხუთი მანათი მაკ-  
ლია და იმაზე დავრბოდი... ჩვენი შემბრალე კი  
არავინ არის (ნატია შემთდის და წვანილი შემთ-  
აქვს, რომელსაც თახჩაზე აწეობს, სუფრა მთაქვს  
და ჭაგინთან სდგამს).

**ნატია.** ღმერთი, მამა, ღმერთია ჩვენი შემბრალე! ღლეს  
ღვდელი ამბობდნ საყდარში: ის მაღლიდან  
ყველაფერს ხედავსო, ჩვენს კაი საქმეს და  
გლახას ის გაარჩევსო.

**საჩინო.** არაფერსაც არ ხედავს! თუ ხედავს, რატომ არა  
აქვს გაკითხვა, რატომ არა აქვს სამართალი?  
მართალ ადამიანისათვინ სიღარიბე, ტანჯვა,  
წვალება და მწუხარება გაუჩენია და, ვინც ბო-  
როტია, ვინც ქვეყანას ცარცუამს და ყვლე-  
ფამს, ის აღხენათ ცხოვრობს.

**ნატია.** (ჭადები მთაქვს, მწვანილი და შური, სუფრაზე აწეობს  
და ჭადს ცეცხლზე აფიცხებს). სამაგიეროდ ჩვენ  
ტანჯვას ბოლო მოედება, მართალი სამოთხე-  
ში იქნება და ყველა ცოდვილი ჯოჯოხეთში.

**საჩინო.** ვინ როგორ იქნება იქ, არავინ არ ვი-  
ცით, შვილო! საიქაოდან ჯერ არავინ დაბრუ-  
ნებულა. რაღა დროს ჭადის ფიცხებაა, სამ-  
ხრობა წამოვიდა. (იდებს ჭადს, სუფრას მოუჯ-  
დება და ჭამას იწევებს, ნატია გვერდით მოუჯდება,  
ეგედა საჭმელს ჭამს).

**თამარი.** აბა რა იყო, მურძაყანის ცოლმა, მართამ, რომ  
საიქაო მოიარა, თუ არავინ დაბრუნებულა  
იქიდან? ასე ამბობენ, ორი დღე და ღამე კვდარი  
იყო და, რო გაცოცხლდა, ყველას ამბავს მოყვა,  
ვინც საიქაოს ენახა.

**ნატია.** გარსავანის ცოლი რომ მოკვდა, ირინე, შარშან-  
წინ, წლის თავზე, ძროხა არ დაუკლეს? მართას  
ენახა ზა ასე შეეჩივლა: რას მერჩოდენ, რომ  
ეს წუწკი ძროხა აქ გამომიგზავნესო? იქ მო-  
სვენება არა მქონდა მაგისგან და აქ ვუარესი  
დღე დამაყენაო, ხან საღ გადახტება და ხან  
საღო, მთელი დღე უკან დავდევო.

**თამარი.** თურმე საკურთხი სულ იქ მიუდისთ და მე ცო-  
დვილს კი არ მჯეროდა! საწყალი სისოს ქვრი-  
ვი ენახა კიდე და ცალფეხა ქათამი ეჭირა  
ხელშიო. იმ დაწყევლილ რძალს ქათამი რომ გა-  
ეგზავნა საკურთხად, ცალი ფეხი ბოვშისთვის  
მიეცა; ამიტირდა და ველარ გავაჩუმეო, მერე  
გამოტეხილიყო, მართას რომ ეს ეთქვა!

**ნატია.** ჩვენშა ღვდელმა კი თქვა, დედა, საკურთხი რომ  
გააკეთოთ, ღარიბებს დაურიგეთო. (ამ მუსაიფ-  
ში რომ არიან, საჩინოს ჭადის ჭუქმა დაადგება  
გულზე, ვეღარც იქეთ გადააჭ, ვეღარც აქეთ, ცდი-  
ლობს გადაულაპის, სახე ექაჩება, თვალები ებე-  
რება).

**თამარი.** (მიაძახებს) რა დაგემართა, კაცო!

**ნატია.** რა იყო მამა? (შაჟზა) ვაიმე! (წიგის).

**თამარი.** (ნატას) ნუ გეშინია, შე გლახა, ნუ! (საჩინოს  
სუვრიდან ჩაფულას აწვდის) ა, წყალი, ჩქარა და-

აყოლე. (საჩინთ წეაფს სვამს, შემდეგ წამოდგება ზეზე და ამთითხებს).

**საჩინო.** ჩვენი ცხოვრება ცხოვრებაა? ძაღლის ცხოვრება ჯობია; მთელი სიცოცხლე უნდა იწვალო, დღე და ღამე უნდა გაასწორო და რისთვინ? ამ ცივი ჭადისთვინ! ესეც ერთ მშვენიერ დღეს გულზე დაგადგება და მოგარჩობს. ამისთანა ყოფას რა ვუთხრა! ზოგს იმდენი აქვს, რომ ათას თუმანს ხარჯავს, ზოგს კი გამობარი ჭადი ენატრება. (შემთდიან ამ დროს მამასახლისი, მწერალი და ორი ფულის მკრეფავი — „ბორჩივი“).

**შამასახლისი.** შენი წყალობით ვეზი ნაჩალნიკიდან ყოველ დღე ზამეჩანია უნდა მივიღო. ყველა ღროზე იძლევა ფულს, შენ კი ასჯერ უნდა გვათხოვინო.

**საჩინო.** თუ მქონოდა, ხომ მეც დროზე მოგცემდი! როცა არა მაქვს, რა უნდა მოგცე?

**შამასახლისი.** რა ჩემი საქმეა, გაქ თუ არა გაქ? მე მიბრძანებენ, ამა და ამ ვაღაზე ფული წარმოადგინეო. მეც იმ ვაღაზე უნდა წარვადგინო. იმას მე არავინ არ მკითხავს, ამას აღროვე და ამას ნუ აღროვებო.

**საჩინო.** საქმეც ის არის, რომ გაკითხვა არაფრის არა გაქვთ.

**შამასახლისი.** ჩვენ სალაპარაკოდ არა გვცალია, რამდენია ამაზე? (ეკითხება „ბორჩივს“)

**ბორჩივი.** ექვსი. და ათი შაური უნდა იყოს.

**შამასახლისი.** დღეს უკანასკნელი ვადა იყო, ექვსი და ათი შაური წარმოადგინე.

**საჩინო.** მანათ ნახევარის მეტი თუ ჩემ სახლში მოიძევებოდეს, შერცხვენილი ვიყო (უბიდას ქისას იღებს). აპა, ეს წაილეთ, ამ ორიოდე დღეში შვილი ჩამომივა, ხუთ მანათს აავა არ ჩამომიტანს, რა ვიცი!

**მამასახლისი.** მოიტა ეგ მანათ ნახევარი და დანარჩენს ჩვენ დავძებნით, იქნება კიდევ ვნახოთ რამე. (საჩინო ქისას აძლევს ერთიანად, მამასახლისი ითვლის) მანათი და ექვსი შაურია, ეს აბაზი ყალბია, არ გამოდგება; ვინც შენ მოგატყუა, შენც იმას შეატყუე. (საჩინო ართმევს აბაზიანს და დაჩერებია) აბა, დაძებნეთ ყველგან, იქნება, ექნეს საღმე კიდევ ფული, მე ვიცი ამათი ეშმაკობა! (ბორჩივები სჭივრს სჩერევენ და შიგ ნაჭრებს შინჯანენ).

**ნატია.** მად არაფერი არ არის, თუნდა ღვთის მშობელი დავითიცავ, დასამალავი ფული სად არის?

**საჩინო.** მამაკაცს ქუდი იმიტომ ახურავს, რომ ნამუსი არ დაჰკარგოს. თუ მქონდეს, თქვენ დაგიმალავთ? რაცა მქონდა, აკი მოგეცით? სკივრის ჩერეკა რა პატიოსნებაა?

**მამასახლისი.** შენ არავინ არ გკითხავს, პატიოსნება გვიქადაგეო.

**საჩინო.** მე ჩემი თავი, ჩემი სვინდისი მკითხავს. ენა კაცს მისთვის აბია, რომ სიმართლე თქვას და არა იმისთვის, რომ ხამივით მუნჯათ იდგეს.

**თამარი.** რამ აგტეხა, აღამიანო, ვის ეჩხუბები?

**საჩინო.** თულები ხომ არ არიან, რომ საღილსაც არ გვაცლიან? შემოცვინდენ და სკივრსაც კი ანგრევენ!

**მამასახლისი.** შენ ხმა გაკმიდე, თორემ სამი დღე ნაობახტში ჩაგამწყვრევ და მშიერ ძალლივით გაწკმუვილებ.

**საჩინო.** ძალლები რომ არ იყოთ, ამასაც არ იკადრებოთ.

**მამასახლისი.** შენ ვის უბედავ მაგას? (გაიწევს საჩინოსკენ, მარა საჩინო უქან დაიწევს, ნაჯახს წამოაფლებს ხელს და მოუდერს მამასახლისს, ისიც შედგება).

**საჩინო.** ფეხი არ გადმოდგა, თორემ ცოცხალი ვეღარ გახვალ აქედან. ამაზე მეტი რალა მომივა? (თამარი და ნატია კივილს შექნიან. ნატია მამასახლისსა და მამის შუა ჩადგება).

**მამასახლისი.** (ცოტა დაბალის კილოთი) აქ რა მოგიხერხო და, თუ კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ისეთ ალაგას გაგიხსენებ მაგას, რომ შენც არ მოელოდე.

**მწერალი.** პრისტავს მოვახსენოთ ყველაფერი და ის გვაყურებიებს მაგის სეირს.

**საჩინო.** გაიძეცით ახლავე, ენა მიუტანეთ. თქვენი ხელობა ხომ მეტი არაფერია.

**მამასახლისი.** მწერალო, შენ ეს ყოველიფერი დაინახსოვრე, პრისტავოლი შეადგინე. თქვენ მოწმეები იყავით (ბორჩივებს).

**პორჩიკები.** (სკივრს თავს ანებებენ) აქ გახვრეტილი გროშიც არა ჭყავა.

**მამასახლისი.** ძალიან კარგი. აბა მურთაქაში ვნახოთ (მიდის თამარისაკენ, თამარი საჩქართ მუთაქას ქვეშ ხელს შეუბის, ცხვირსახლცში გახვეულ ფულს გამთიღებს, დამაღავს საბან ქვეშ ხელს. მამასახლისი თამარს ხელს წატანს) ნუ მალავ, ნუ! აქ მოიტასულ ერთია ვეღარ დამალავ.

**თამარი.** არაფერი არ არი, სული არ წამიწყდეს, არაფერა. ცხვირსახოცი გამოვიღე.

**მამასახლისი.** მე ნავხამ იმ ცხვირსახოცს და ისევ უკან დაგიბრუნებ (ხელს ამთართმევს და ცხვირსახოცს აცლის, მაგრამ თამარს დონივრათა აქვს ჩაჭერილი და დიდხანს არ ანებებს).

**თამარი.** თუ ცოლ-შვილი გიყვარს, თუ დედა-შვილობა გწამს, თუ ღმერთი გიყვარს, თუ ხატი გწამს, თუ ჯვარი გწამს, წამლის ფული მაქ გადამალული, სხვისი ნაწყალობები, ნუ წამართმევ, შემიბრალე, ღმერთი შენ ცოლ-შვილს შეიბრალებს, ნუ წამართმევ!

**მამასახლისი.** (აცლის, ორგორც იქნება, ცხვირსახოცს, გახსნის და თვლის ფულს, თამარს კი ამ ღრთს თრიგე ხელები მისკენა აქვს გაშვერილი ხელწის ნიშნად). შენ საეშმაკოთ წამოწოლილხარ, მხარს თეძოზე! (თვლის ფულს).

**თამარი.** წამლის ფულია, შემიბრალე კუტი; დავრდომილი, ნუ წამართმევ, შემიბრალე!

**მამასახლისი.** აქ სამი მანათი და ოთხი შაურია. კიდევ აკლია ორ მანეთამდე. ბორჩიკო! წამოიღე მაღერ, რომ ძროკუნკულო ქვაბია! (ერთი ბორჩიები ქვაბს აიღებს. უველა კარებისაკენ მიდის. საჩინო კაუქანება იმისკენ ნაჯახით).

**საჩინო.** ბარემ შიმშილით ამოგვწყვიტეთ ყველა! ორ მანათში მაგხელა ქვაბი უნდა გამიყიდოთ? (დასცეკეას ნაჯახს უვით ბორჩიეს და წარომევს ქვაბს. ბორჩიები წაბარბაცდება, სხვები საჩინოს ეცემით და დაუწეუბენ ცემას. ერთ ბორჩიეს უკანი-

და ნ ეცემა და ხელებს გაუკავებს; საჩინო გართა-  
ვისუფლებს ხელებს, წააქცევს ბორჩივს, დაუშენს  
უგელას ნაჯას უკით. ქალები კივიან, მამასახლისი  
ხანჯალს ამოიღებს, საჩინოს მოუქნევს, მაგრამ ის  
კლავში ნაჯას დაკრავს და ხანჯალს გააგდებინებს,  
განდევნის უგელას გარედ და უკან ტაჭუვება. ნატია  
ძირს დაეცემა და ტირის)

**თამარი.** (ტირილით) მოკლავენ იმ უბეღურ დღეზე გა-  
ჩენილს, მოკლავენ სწორედ, რაღა გვეშველე-  
ბა, რაღამ გვარჩინოს? (საჩინო შემთბრუნდება  
დაქანცული და შებლ-გაჭრილი).

**საჩინო.** (უვირილით) საღ არის სამართალი? საღ არის  
კანონი? ამას ქვით კანონი, წადით და საწყა-  
ლი კაცი დაარბიეთო? ეს არის კანონი? ღმერ-  
თო, რატომ არ ხედავ ყოველივე ამას? თუ  
ხედავ, რატომ არ მოავლენ შენს ძლიერებას?.  
(შეცვლილი კილოთი, ცოტა ხნის შემდეგ). ეჭ,  
ჩვენი შემბრალე არავინ არ არის,—არც ღმერ-  
თი და არც კანონი: ქვეყნად აღარაფერი აღარ  
ყოფილა, მართლისა და საწყალის შემბრალე  
არავინ აღარ არი. ფური, ამისთანა სიცოცხლეს  
კი რა ვუთხრა! ქვას დავიკიდებ გულზე, წა-  
ვალ, ქვეყნას გავაგებიებ და რავა არავინ გა-  
მიგონებს, რავა არავინ გამოჩდება იმისთანა  
მადლიანი, რომ საწყალი და გაჭირებული  
შეიბრალოს?

**თამარი.** წამლის ფული! წამლის ფული! რაღა მეშველე-  
ბა? ღმერთო, შენ ნუ შეარგებ, ვინც მე ის  
ხელიდან გამომგლიჯა; ნურც შენ შეიბრალებ,

ვინც მე კუტი და ჟავრდომილი, არ შემიბრა-  
ლა (შემთდის პომთშნივი).

**პომთშნივი.** საჩინო, ხვალ გზაში უნდა გახვიდე!

**საჩინო.** როდის ვიყავი გზაში აღარ გახსოვს?

**პომთშნივი.** ამ ორი კვირის წინათ იყავი, მარა ახლა  
ისევ უნდა გახვიდე, — კიდე მოგიწია.

**საჩინო.** მერე მე ორ კვირეში ერთხელ მიწევს გზაში  
გასვლა და ჩემ მეზობელ კიმოთეს წელიწადში  
ერთხელაც არ უწევს? მარა თქვენც იცით და-  
ბალი ლობე! იმას ფულები აქ და მე კი არა.  
ხომ? ის მანათიანებს ჩაგიდებსთ ხელში და მე  
კი ვერა. არა?

**პომთშნივი.** მე არაფერი ვიცი, მოწერილობა ასე-  
თია, რომ გზაში უნდა გახვიდე ხვალ. არ გა-  
ხვალ, დაიშტრაფები.

**საჩინო.** როგორ? ის მოგწერეს, მდიდრებს კარებზე აუ-  
არეთ და ღარიბებს სული ამოართვითო? ჰა,  
ჰაი, დედასა! ჩვენი აღდგომაც დადგება.

**პომთშნივი.** თუ გადირიე, ჩემი ძმაო, წმინდა გიორგზე  
წადი და პირჯვარი დაიწერე. გადიხარ თუ არა  
ხვალ გზაში?

**საჩინო.** (გაბრაზებული წამოგარდება) აქედან დამეკარგე,  
თვარა შენ კი მოგერევი! (პომთშნივი გარედ გა-  
გარდება).

## მოქმედება მეორე

(სცენა წარმოადგენს ისევ იმ ოთახს. თამარი ლოგინზე წევს, ნატია  
შუა ცეცხლთან სკამზე ზის და წინდას ქსოვს)

**თამარი.** ბევრი ხალხი იყო, შვილო, ეკლესიაზე?

**ნატია.** ბევრი იყო, დედა. (პაუზა) მართლა, რა უნდა გი-  
თხრა: ტოტოს შავები გაუხდია და ეკლესია-  
ზე გახდათ.

**თამარი.** რომელ ტოტოს, შვილო, ქერეჭა შვილს?

**ნატია.** პო, ქერეჭა შვილს.

**თამარი.** გასულელებულა საწყალი: ჯერ წელიწადიც  
არ არის, ცოლი რომ დამარხა და რა ეჩქარე-  
ბოდა შავების გახდა? ეჭ, საწყალი, სალომე!..  
რავა ბრუნავს ეს ჩვენი წუთისოფელი!

**ნატია.** ასე ამბობენ: შავები იმიტომ გაიხადა, ცოლის  
შერთვა უნდაო (იცინის), მერე თურმე ახალ-  
გაზდა ქალს დაეძებს, იქნება, შვილი მეყოლო-  
სო (იცინის).

**თამარი.** ქეც ნუ ხუმრობ შენ, სწორედ მართალი იქნე-  
ბა? რა ვუყოთ შვილო, ზოგიერთს საბოლოო  
სიბერეში გამოუბრუნდება. ცხონებული დავი-  
თი სამოცი წლისა იყო, მესამე ცოლი რომ  
შეირთო, მარა ოთხი ვაჟი შვილი ეყოლა. ქვე-  
ყანა იძახდა: გადა შენდა დავითი, გადა შენდაო.  
და ლმერთმა ისე ყველა ჩემიანი გადა შენოს,  
როგორც ის გადა შენდა: მისი ოთხი ვაჟი შვი-  
ლი დევებს გვანან.

**მართა.** (შემოდის ამ დროს თრი რძლით, სათითად მიუ-  
სალმებიან თამარს და ეტევიან: „დღეის წირვის  
მადლი შეგეწიოს!“ შირსა და მხარზე აკოცებენ,  
და აქეთ-იქეთ ჩამოსხდებიან).

**თამარი.** წირვიდან მობრძანდებით?

**მართა.** ეჭ, ჩამაცივდნეს უს ჩემი რძლები, წირვაზე წა-  
ვიდეთო, და ამიყოლიეს. თუ არა, რაღადროს  
ჩემისთანა ბებრების გარედ სიარულია!

**თამარი.** რატომ, გენაცვალე? ნეტავი, ღმერთს ასე არ  
დავეგლახავებინე, თორემ წირვას რავა გამო-  
ვაკლდებოდი.

**მართა.** ეჭ, ნათლიდედა, ძველებური აღარც წირვაა და  
აღარც ლოცვა. წინეთ რომ ეკკლესიაში შე-  
ვიდოდით, სულ თავჩალუნული ვიდექით, მაღ-  
ლა რავა გავბედავდით ახელვას. ახლა ღვდე-  
ლის სიტყვები ნახევარი აღარ ისმის: ერთი  
ხუნტრუცი და სიცილია ეკლესიაში.

**თამარი.** სასოება ხომ დაიკარგა, ჩემო ბატონო, უბედუ-  
რება და გაჭირებაც მიტომ გამრავლდა, ყოვე-  
ლიფერი ჩვენი ცოდვების ბრალია.

**ნატია.** ეჭ, დედაჩემო, ცოდვა-მაღლი ყოველთვის იყო!  
ცოდვა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ახლა ედე-  
მის ბალში ვიქნებოდით, წარლვნა არ იქნებო-  
და. ღმერთმა რომ აღამიანი გააჩინა, ცოდვა:  
ბიც თან დააყოლა აღამიანის გამოსაცდელად.

**მართა.** ცოდვა რავა არ გამრავლდა? ახლანდელი ბიჭ-  
ბუჭები ღვთის საქმეს ასწორებენ, — ეს ასე არ  
უნდა იყოს, ეს ასე უნდა იყოს.

**ნატია.** რაც ქვეყანაზე რამ არსებობს, ყველა ღმერთს კა-

არ გაუჩენია; კაენმა რომ აბელი მოკლა, ღმერთს  
კი არ უთქვამს, მოკალიო.

**მართა.** მერე რა გინდა, შვილო, მაგით რომ თქვა?

**ნატია.** რა და ის, რომ ქვეყანაზე ბევრი გლახა დაწყო-  
ბილებაა და უნდა მოისპოს.

**ერთი რძალი.** ქალაქიდან მურძაყანის ბიჭი ჩამოვიდა და  
ახალი ამბავი ჩამოიტანა: თავად-აზნაურობა  
უნდა მოიკბოსო, ყველა უნდა გავსწორდეთო  
(იდიმება).

**მეორე რძალი.** (დიმილით) ერთობა უნდა იყოსო. აღარც  
მოსამსახურე იქნება, აღარც ბიჭიო.

**მართა.** ჰო, და თუნდა ეს რა სათქმელია! ყველა ტო-  
ლი საიდან ვიქნებით? უნცროს-უფროსობა  
ყოველთვის იყო და ღმერთმა ნურც აწი მო-  
შალოს. ღმერთმა ნოეს სამი შვილი მისცა;  
პირველს უბრძანა: შენი ნაშიერისთვის თავადო-  
ბა მიბოძებია, მეორეს—შენი ნაშიერისთვის  
აზნაურობა მიბოძებია, მესამეს—შენთვის გლე-  
ხობაო. რაც ღმერთს დაუწესებია, იმას ჩვენ  
რითი გავასწორებთ?

**ნატია.** აბა ჩვენ, ნათლია, ბიძაშვილები ვყოფილვართ  
და ბიძაშვილები კი ტოლები არიან, ამათში  
უნცროს-უფროსობა საღაურია?

**მართა.** ი, ერთი შენც, გოჭმა კუდი გააბზიკა, მეც ნა-  
ხირ-ნახირაო. (უგელა იცინის) ეჭ, ნათლიდედა,  
მე აქ მუსაითს გავყევი და სახლი კი ცალიე-  
რია დატოვებული. წავიდეთ, შვილებო. (ადგა-  
ბა შართა და შისი რძლები).

**თამარი.** რას მიიჩარით, თქვე დალოცვილო! ნატია, შვი-

ლო, ასე უნდა ქალბატონის პატივისცემა? მე  
რომ კუტი არ ვიყო, ასე რავა გაგიშვებდით?

**მართა.** შენსობას სხვებზე იყავი გადაყოლილი, შე სა-  
კოდავო, და არც ახლა ისვენებ. შენთან მე  
რა პატივი მჭირდება? შვილობით, ნათლიდედა,  
ღმერთმა ისე გამყოფოს, რავარც მე მსურ-  
დეს შენთვის ან ჩემი შვილებისთვის, მეტი ნუ  
გინდა (ემშვადობებას თამარს და მიდიან). მართა  
(მიდის და ამბობს) გაათხოვე ე ჩემი ნათლუ-  
ლი, თუ ქალი ხარ, და ღომენტის ცოლი მო-  
გვარე, აბა რავა გინდა? (გადიან).

**ნატია.** (დასცინებს) გაათხოვე ე ჩემი ნათლული! ნეტა რაში  
ეჩქარება მაგას ჩემი გათხოვება, თითქო მაგას  
ვაწვე სარჩენად კისერზე?

**თამარი.** რათ იცი, შვილო, გლახა სიტყვა? შენი გათხო-  
ვება რომ მაგას რამოს, რა უპრიანეა? ნათლიად  
შენი, სხვა რომ არა იყოს-რა.

**ნატია.** მაგისთანა ნათლია მგლებსაც უთრევია.

**თამარი.** ჰმ! რატომ, შვილო?

**ნატია.** რატომ და — იმიტომ? (ჰაუზა) რომელ სახარებაში  
ამოიკითხა, ნოეს შვილებს ღმერთმა უბრძანა:  
შენ თავადი იყავდ, შენ აზნაური და შენ გლე-  
ხიო? მოყვება უთავბოლო ბეიტირს ნანიას  
წისქვილივით.

**თამარი.** ალბად ამოიკითხა, შვილო, რომ ამბობს! ახლა  
რომ უყურებ ასე კი არ იყო ეგ: სამი მოახ-  
ლე მოყვა, ეგ რომ მოიყვანეს, მთელ ამ მხა-  
რეში ერთი უგ გამოვიდოდა ეკლესიეზე და  
ერთი ბერიკა ჯაფარიძის ცოლი.

**ნატია.** არსად არ ამოუკითხავს, დედა ჩემო, და ტყუის. სამლოო წერილში წერია, ნოეს სამი შვილი ყავდა — სიმი, ქამი და იაფეტიო. მარა არსად არ წერია, რომ ლმერთს ერთი თავადად და ნიშნოს, ერთი აზნაურად და ერთი გლეხად! სამი წელიწადი უჩიტელთან დავიარებოდი და მა რა ვისწავლე, თუ ესეც არ ვიცი?

**თამარი.** აბა თავადები და აზნაურები რა არიან! ტყუილია?

**ნატია.** ტყუილია, აბა მართალია? ლმერთს არავისთვის არ უთქვამს, შენ თვალი ხარ და შენ გლეხიო, ლმერთმა მარტო აღამი გააჩინა.

**თამარი.** მერე ის აღამი რაღა იყო?

**ნატია.** რაღა იყო და, აღამი იყო! ჩვენ ყველა იმისგან მოვშენდით და ყველა ტოლები უნდა ვიყოთ. თავადი, აზნაური და გლეხი სულ ტყუილი მოგონილია.

**თამარი.** ნეტავი აგრე იყოს, შვილო, თვარა ჩვენ რას წავაგებთ, თუ არაფერს მოვიგებთ. წარომევით ხომ მაინც ვეღარაფერს წაგვართმევენ!

**ნატია.** (ცოტა ჩიჩუმის შემდეგ) ეჭ, ჩემო დედა, ჩვენ ხომ ლარიბები ვართ, ჭაღის ჭამა გვიჭირს, მაგრამ აი, ამ ჩვენ სოფელში, რამდენია ჩვენზე ლარიბი! დღეს ფრიდონას ცოლი იმისთანა კაბით იყო ეკლესიაზე, რომ ნაჭრის საბანს გავდა. რამდენჯერ ვთქვი გულში, ნეტა, იმჯენი მქონდეს, რომ ამას კაბა ვუყიდო-მეთქი. მერე ამისთანა ლარიბის წანაგლეჯი ვის უნდა შეერგოს, მარა გუშინეს წინას იმასაც შევარ-

დნოდენ ბორჩიკები. და, რომ ვერაფერი ენა-  
ხათ, საქვაბე ჩამოეხსნათ და ის წაელოთ!

**თამარი.** მერე ი დალოცვილი ღმერთი რატომ არ პატ-  
რონობს ამისთანა საწყალს? რატომ არ გამო-  
ექომაგება, ვისაც ქომაგი არა ყავს?

**ნატია.** ღმერთი, დედაჩემო, ყველაფერს ხედავს, მარა ადა-  
მიანის ნაუსამართლევი ისევ ადამიანშია უნდა  
გაასწოროს. გასწორდება, დედაჩემო, ქვეყანა,  
ჩვენსკენაც გაღმოიხედავს ბედი. თუ შენ კარ-  
გად იქენი, სხვა რა გვიჭირს?. ჩვენზე ღარ-  
ბები თუ ცხოვრობენ ქვეყნად, ჩვენც ვიცხოვ-  
რებთ, დედა, ვიცხოვრებთ.

**თამარი.** თუ შენს კაი ქმარს და ღომენტის ცოლს მო-  
მასწრო ღმერთმა, მერე კურთხეულ არს სა-  
ხელი მისი; სიკვდილი ყველას თავს გადუვა-  
ლია.

**ნატია.** მე არაოდეს არ გავთხოვდები, დედა!

**თამარი.** აბა რას იზამ, მოლოზნად წახვალ?

**ნატია.** მოლოზნად რა მინდა? ვინც არ გათხოვდება, უსა-  
თუოდ მოლოზნად უნდა წავიდეს თუ?

**თამარი.** აბა რას იზამ, ერთი მითხარი? ქვეყანა თხოვდე-  
ბა, შვილო, და მაგალითი შენ ხომ არა ხარ?

**ნატია.** ქვეყანა რათ თხოვდება? აგერ ზალიკას პელაგია  
გაუთხოვარი დარჩა, გარსევანის ქეთევანი,  
(იგონებს) ჯავახის დარიკო, რამდენი იქნება  
ახლა. სხვაგან კიდე!

**თამარი.** ზალიკას პელანგიას, შვილო, ჩემხელა ცხვირი  
აქვს, იმას ვინ წეიყვანდა? გარსევანის ქეთე-  
ვანს ცალი თვალი ალთას მიაქ; ცალი ბალ-

თას, და ჯავახის დარიკოს ქე შეეძლიენ კაი-  
კაი ბიჭები, მარა არ იკადრა; ასე ეგონა, ხე-  
მწიფის შვილი მითხოვსო, და აღარ მოუვიდა  
ხემწიფის შვილი!

**ნატია.** (დიმილით) მე რაღა მზეთუნახავი მნახე?

**თამარი.** რათა, შვილო, აღამიანმა თავისი თავის ფასი  
უნდა იცოდეს; ისე შენ იცოცხლე, შვილო,  
რავარც შენისთანა ქალიშვილი ჩვენ ეკლესია-  
ზე ბევრი. არ გამოდიოდეს.

**ნატია.** ყვავსაც თავის ბარხანა მოწონსო, ასე მოგდის შენ,  
დედაჩემო (ჰაუზა). თუნდა ასეც იყოს, მე მაინც  
არ გავთხოვდები.

**თამარი.** როცა ბედი გაგეხსნება შვილო, ქეც გათხოვ-  
დები, აბა რას გააკეთებ?

**ნატია.** ბეჩა, დედა, ქალი თუ არ გათხოვდა, საქმეს ვერ  
იშონის? მე სულ შენთან ვიქნები, მოგივლი  
ხოლმე, საღილს გაგიკეთებ, ლმერთს ვეველრები  
შენთვის (აშდონო გარედან ისმის ძალიდან: ნატია,  
ნატია, ნატია!).

**ნატია.** ეს მარიკა, არის. რა უნდა ნეტი! (გააღებს კარებს.  
და იძახის) რა გინდა. მარიკა? (ისმის ხმა: „წეაღ-  
ზე მივდიგარ და ხომ არ წამოხვალ?“ ნატია მო-  
ბრუნდება, ჩაფს მთავლებს ხელს და გაფა გარეთ).

**თამარი.** ასე ამბობ, შვილო, თუარა, ბედი რომ მო-  
გადგება კარებზე, უკან აღარ მოიხედავ. ნა-  
თქვამია, დედა შვილისათვინაო, შვილი თავის-  
თვინაო. შენ ლმერთმა ნუ დაგიკარგოს, შვი-  
ლო, ბედი, მარა მე რაღა ვქნა, რაღა მეშვე-  
ლება, მე შავბედიანს? ვინდა შემხედავს, ვინდა

მომივლის? (ბაჟზა). იქნება მისთანა იღბალი. შეხვდეს, რომ სიძე უფროც გამომადგეს, ვინ იცის! უმწეოს მთლად არ მოიძულებს ღმერთი, ვენაცვალე მის სახელს (სიჩუმეა. შამდგინ სა-ჩინო მხიარული სახით). მაღლობა ღმერთს, ჩვენს თავს რაღაც კაი ამბავია; ძლივს დაგინახე მხიარული სახით.

**საჩინო.** აბა სულ გლახა ამბავი ხომ არ იქნება.

**თამარი.** რა არი, შე კაცო, მითხარი, დომენტი ხომ არ ჩამოსულა?

**საჩინო.** რომ ჩამოსულიყო ხომ აქ იქნებოდა, ჯიბეში ხომ არ დავმალავდი?

**თამარი.** აბა რა მოხდა?

**საჩინო.** ის რომ, მგონი, ბედი გვეხსნება. თუ ეს საქმე ახდა, შაშინ არაფრის მეშინია, ან რატომაც არ უნდა ახდეს? კაცმა თავის პირით მითხრა?

**თამარი.** ვინ კაცმა, რას ამბობ, აღამიანო, ხომ არ შეიშალე?

**საჩინო.** რა სულწასული ხარ ერთი, არ დამაცლი? ამოვიქოქინო ცოტა, დაღალული ვარ (დაჯდება კერასთან, ქისას ამთიღებს ყალიბნს, გასტენს დაცეცხლს მოუგიდებს). დღეს ნაწირვებს მე დატოტო ერთად წამოვედით...

**თამარი.** )გააწევეტინებს) ტოტო რომელი, ქერეჭაშვილი?

**საჩინო.** დიახ, ქერეჭაშვილი. ჩამომიგდო ლაპარაკი აქეთურზე, იქეთურზე და ბოლოს მითხრა; შენ ქალს არ ათხოვებო? მე ვუთხარი, რატომ არ გავათხოვებ, თუ კაი შემხვდა ვინმე-მეთქი, მარა ცოლი კუტი მყავს, სახლში იმის მეტი

არავინ არი და ჯერ არ მინდა, რომ შეველიო-  
მეთქი. ის ჩაჩუმდა და მერე მითხრა: თუ ჭკუა-  
ში დაგიჯდება, ერთ რასმეს გირჩევო: არც  
მე გამაჩნია არავინ, შენი ქალი მომეცი და  
ერთად ვიცხოვროთო. მე ჩემ ყურებს არ და-  
ვუჯერე! ვინ როსტომ ქერეჭაშვილი და ვინ  
საჩინო გულიაშვილი-მეთქი... ის იყო, იმის  
სახლს დაუპირდაპირდით და უსადილო აღარ  
გამომიშვა. წამოსვლისას კიდევ მითხრა: მე შე-  
ნი ქალი ძალიან მომწონს, თუ თანახმა ხარ,  
დაურწყებისათვის ჯვარს დავიწერო, მარა ამ  
საქმეს ნუ გაახმიანებო.

**თამარი.** მერე, შენ რა უთხარი?

**საჩინო.** რა ვუთხარი და—ვუარი!.. ჩემ ქალს ბლუდზე დავ-  
სვამ და ისე მოგარომევ-მეთქი, ეს ვუთხარი.  
აბა რა უნდა მეთქვა?

**თამარი.** (ცოტა დაფიქრების შემდეგ) აზნაუშვილი რომ  
კარგია და ოჯახი რომ სამსე აქ, თქმა არ  
უნდა, მარა ცოტა ხნიერია.

**საჩინო.** ნეტა ერთი მისთანას არ იტყოდე, შე მამა გა-  
ნათლებულო, რაც ჭკუაში მოსასვლელი არ  
არის. რა ხნიერია? ორმოცდაათი წლის არც  
კი იქნება. ორმოცდაათი წლის კაცი თოთხმე-  
ტი წლის გოგოს კიდე დაბერებს და შენი ნა-  
ტა თვრამეტის გახდება.

**თამარი.** თვრამეტის კი არ გახდება, ახლაა მეთვრამეტე-  
ტეში. თუნდა თვრამეტის იყოს, სად თვრამეტი  
წლის გოგო და სად ორმოცდაათი წლის კაცი?

**საჩინო.** ქალო, იმის მეტრიჩესკი არც შენ გინახავს და  
არც მე, მე ვარაუდათ ვამბობ, ორმოცდათი  
წლის უნდა იყოს-თქმ.

**თამარი.** თუნდა ორმოცდახუთის იყოს, მაინც მამათ შე-  
ეფერება და მაინც.

**საჩინო.** ერთი მითხარი, რომელი აზნაუშვილი დაუკა-  
ვებს ქალს ტოტოს? კარგი აზნაუშვილი, კარ-  
გი მამულის პატრონი. მარტო მისი გარემო  
სამ გლეხს. შეინახავს და იმის ზვარში სამოცი-  
კოკა ღვინო მოვა, როცა კარგი მოსავალია.  
ჩვენ ვინ ვართ იმასთან? წლიდან-წლამდე ჭა-  
დი არ მოგვივა საყოფი. გუშინ-წინ მთელი  
სოფელი შამოვიარე და ხუთი მანათი ვერ ვი-  
შონე. ღმერთმა ჩვენსკენ გადმოიხედა და ჩვენ  
განა გვეთქმის რამე?

**თამარი.** არა, მე ხომ მაგას არ ვამბობ, ჩვენ ამისთანა  
ბედის ლირსი არა ვართ, მარა გულში ცოტა  
ხინჩათ მაქ, რომ ხნიერია.

**საჩინო.** რას დეიუინე, ხნიერი, შე მამა განათლებულო?  
წვერ-ულვაში რომ ახალი ამწვანებული ქონ-  
დეს, შენ ქალს ზედაც არ შეაფურთხებდა.  
მისი პირველი ცოლი დიდი მამუკა ბარათა-  
შვილის ქალი გახდა! წაატოლე ახლა შენი  
ქალიშვილი იმას!

**თამარი.** რავა? გვარიშვილობით ჯობდა, თუ არა სილა-  
მაზით კი არა ჯობნებია. გვარიშვილობას რა  
ფასი აქ ქალისთვინ? მე გეტყვია შვილებზე  
გადავა! თავმომწონე კაცმა, თუ მკითხავ, სი-  
ლამაზე უნდა ეძიოს და არა გვარიშვილობა.

**საჩინო.** ასეა თუ ისეა, ჩვენ ამ ბედის ღირსი არა ვართ; ჩვენ ახლავე უნდა შევუდგეთ მზადებას, თორემ ადამიანს ათასი მტერი ყავს; ერთი თუ ვინმემ მოკრა ყური, ქვეყანა გაიგებს. ის უშვილოა, ბევრი ღარიბი ნათესავები ყავს, რომლებიც იმის მამულს მგლებივით შეჩერებიან, და იმდენს იზამენ, რომ საქმეს ჩაშლიან. რამოდენიმე ხნის მერე ჩვენ იმასთან გადავალთ, სანამ დომენტი მოშინაურდებოდეს და ცოლს შეირთავდეს და, თუ არ გადავალთ, მუდამ ჩვენი მწყალობელი იქნება.

**თამარი.** ნეტა აქაც არ ვაწუხებდე ჩვენი ავადმყოფობით, თვარა გათხოვდება და ქმრის სახლში შევაწუხებ კიდე? (პაჟია. თამარი თვალებზე მომდგარ ცრემლებს იწმენდავს) უთხარი მაინც, რომ პატარას ისიც შეემზადოს. სულ ცარიელს ხომ ვერ გავისტუმრებთ სახლიდან, ორი ბალიში მაინც არ უნდა გაყვეს?

**საჩინო.** რა თქმა უნდა? მაყრები რომ მააღებიან, ვერ გაიგებს?

**თამარი.** მაყრები რომ მოგადგება კარებზე, იქნება შენ ქალს სულიც არ ქონდეს გულში და მაშინ უყარე კაკალი!

**საჩინო.** მამა უცხონდება! პირველი სორტის აზნაუშვილი კარებზე მოაღება და ვუარს გაბედავს!

**თამარი.** შენ, ჩემო საჩინო, დაბერდი და ვერ ხედავ; რა ამბები ხდება ქვეყანაზე; ბევრი ეცადა ალფეზა გულიაშვილი, რომ თავის ქალი ონისიმეს ბიჭისთვის მიეცა, მარა ვერაფერს გახდა. ბევრი

ურტყეს, ბევრს ემუქრებოდენ, მარა არ იქნა  
და არა! მე სხვა მიყვარსო, და ეგერ გაყვა მა-  
ჭარაშვილს. ახლა ის დრო აღარ არის, შენ  
რომ გინახავს.

**საჩინო.** განა მე ვერა ვხედავ, რა დროც არის? მარა  
ერთი მითხარი, საჩინო გულიაშვილის კომპიოტ  
რა უნდა დაუწენოს როსტომ ქერეჭაშვილს?  
სახლკარი? ადგილ-მამული? გვარიშვილობა?  
ერთი მითხარი, რა?

**თამარი.** ვუი, შე დალოცვილო, როცა ადამიანს სისხლი  
უდულს, შენი სახკარი და ადგილ-მამული ფე-  
ხებზე კიდია! ახლანდელი ქალები, ჩემო საჩი-  
ნო, სახკარს აღარ მიყვებიან,—თუ არ შემი-  
ყვარდა, ისე არ გავთხოვდებიო, ასე გაიძახის  
ახლა ყველა.

**საჩინო.** აი ბეჩა! ნუ მოშივდებათ, თუარა მამალ მგელს.  
გაყვებიან, მამალ მგელს! (უქანასენელ სიტუაცია)  
ნატია შამოვა სამსე ჩაფით და ჩაფს კედელთან და-  
დგამს. (ნატიას) ასე არ არის, შეილო?

**ნატია.** რა არის, მამა?

**საჩინო.** აი, მე და დედაშენი ვდაობთ: მე ვამბობ, ქალი  
იმას უნდა გაყვეს, ვისაც კარგი სახლ-კარი და  
ადგილ-მამული აქ-მეთქი, ეს კი იძახის, ვინც  
შეუყვარდებაო.

**ნატია.** თუ კაცი არ მეყვარება, მისი მამული და სახლ-  
კარი რაღაში მინდა, წყალსაც წაულია!

**საჩინო.** (გაჰვირებული) რაო? თუ კაცი არ მიყვარსო?  
ერთი მითხარი, მამა გიცხონდება, გათხოვე-

ბამდე სიყვარული რომელ კანონში გიშერია?  
ნატია. რომელ კანონში და ამ კანონში (გულზე ხელს  
იდებს).

საჩინო. მერე ვინ შამოილო ასეთი კაი განათლება?

ნატია. ვინ და ქვეყანამ. ახლა ყველა სიყვარულით თხოვ-  
დება. ქალი ძროხა ხომ არ არის, რომ ბაწარი  
მოაბან ყელზე და, ვისაც გაატანენ, იმას გაჰ-  
ყვეს?

საჩინო. ეჭ, შვილო, ჩვენ დროში აგრე არ ყოფილა და  
მიტომაც იყო ნამუსი შენახული. აბა, დედა-  
შენსა ჰკითხე; სანამ ჯვარი არ დაგვწერეს, არც  
კი გვინახავს ერთმანეთი.

თამარი. მერე რა კაი იყო ის დრო, თუ იცი? გამოგა-  
თრევდენ ტირილით და მოგიჯენდენ ვინლაც  
კაცს გვერდით.

ნატია. თუ კაცი არ მიყვარს, მილიანიც რომ მომცე,  
მაინც არ წავყვები. რაში მინდა მილიონი? თუ  
გული მხიარულად მექნა, ნახევარჯერ შშიერი  
გავძლებ.

თამარი. ნუ მოგ შივდება შვილო, თუ არა მაგრე აღარ  
იტყვი.

ნატია. მართლა მათხოვარს კი არ გავუვები, იმისანა კაცი  
არ შემიყვარდება, რომ ჭადის შოვნა არ შე-  
ეძლოს, და მე კი დღეში ერთი ჭადი თავი-  
სუფლად მეყოფა.

საჩინო. ორი ჭადი რომ იყოს დღეში, ხომ არ გადააგ-  
დებ?

ნატია. მეტი თუ იქნება, კიდე უკეთესი, ქონება ვის მო-  
ჭარბებია?

**საჩინო.** (დიმილით) სამი ჭაღი თუ იქნა, კიდე უკეთესი ჰოლ! აკი გითხარი! (თამარს მიმართავს ამ სიტყვებით) ეჭ, შვილო! ხუმრობას თავი დავანებოთ და საქმეზე ვილაპარაკოთ. აქ დაჯეპრ ჩემთან (სკამს უდგამს და თავის გვერდით დააკავდენს ნატიას). შენ, ჩემო შვილო, იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული, შენი ბეღი ბარე ორ შენ ტოლ-ამხანაგებს შეშურდებათ, მარა ყველას დაუდგა თვალები; ჩვენისთანა საწყლისკენაც გაღმოიხედავს ხოლმე ღმერთი. ტოტო ქერეჭაშვილმა მთხოვა დღეს შენი თავი, დაურწყებამდე ქორწილი უნდა მოხდეს და, აბა, შენ იცი, რავა...

**ნატია.** (წამოხტება ზეზე, გადიგისკისებს გულიანად და შემდეგ იტევის) მასხარაობ, თუ მართალს ამბობ?

**საჩინო.** (დიმილით თამარისკენ გააშვერს ხელს) ეს საწყალი ბებერი მთლად გამოტვინდა. მე კი არ ვიცოდი, რომ გაგეხარდებოდა! აბა, შენ იცი, შვილო, რაც დროით შეემზადები და ჭკუით იქნები. მისი ოჯახი მამიშენის ოჯახი კი ნუ გგონია: დიდ ოჯახში სხვანაირი თავდარიგი უნდა, სხვანაირი ხაზეინკობა, სხვანაირი თავიანობა.

**ნატია.** (დიმილით) რას ამბობ, მამა ჩემო, გამაგებინე!

**საჩინო.** როგორ ვერ გაიგე, შვილო, ტოტო ქერეჭაშვილს მოწონებიხარ და ჩვენ საქმე გავათავეთ კიდეც!

**ნატია.** (ჯერ საჩინოს შეაჩერდება, მერე მისი სახე თანდათან სერითზულ გამომეტებელებს მიღებს) საქმე გა-

ათავეთ რა, ცხენს ხომ არა ცვლიდით? უბრა-  
ლოდ მაინც გეკითხათ ჩემთვინ.

**საჩინო.** რა უნდა მეკითხა? მოგწონს თუ არა როსტომ  
ქერეჭაშვილი-მეთქი? საბოვშო კბილი მე დი-  
დი ხანია მოვიცვალე!

**ნატია.** საბოვშო კბილი აქ რა მოსატანი იყო, არ მეს-  
მის. ჩემთვის ქმარიც გამოგირჩევია, საქმეც  
გაგითავებია და ერთხელ კი არ მკითხე, მე  
რასა ვფიქრობ? იქნება, სულ აზრშიც არ მომ-  
დის გათხოვება?

**საჩინო.** როდის უნდა მეკითხა? დღეს გავათავე საქმე  
და გეუბნები კიდეც.

**ნატია.** ჯერ ჩემთვინ უნდა გეკითხა, მინდოდა თუ არა,  
და მერე გაგეთავებია საქმე.

**საჩინო.** (გულმოსული) რას სულელობ გოგო? ხემწიფის  
ტოლი-კაცი თავის პირით მეუბნება, შენი ქა-  
ლი მინდაო და მე ის უნდა მეთქვა, ჯერ ჩემ  
ქალს დავეკითხები-მეთქი?

**ნატია.** დიალ, სწორედ აგრე უნდა გეთქვა.

**საჩინო.** მე ჯერ არ გადავრეულვარ და, როცა გადვი-  
რევი, შენი ჰქუით მაშინ ვივლი.

**ნატია.** (გამწურალი) არც მე გადავრეულვარ! როცა გად-  
ვირევი, მეც მაშინ ვივლი. სხვისი ჰქუით.

**საჩინო.** (გულმოსული მაღალი გმით) კისერიც გიტეხია, —  
არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მი-  
სიო! (ჰაუზა) მართლა გიუ ვიყავი, რომ იმის  
(თამარისგენ სელს აშენს). რჩევას გავყევი. ბაწ-  
რით შეგკრავ, ენას ამოგაცლი და ისე დაგწერ

ჯვარს... ჯვარსაც არ დაგწერ, ხასათ მიგიყვან, ხასათ, ქერეჭაშვილს ხასათ მიგგვრი!

**ნატია.** მე შენთვის, მამა ჩემო, არაფერი მიწყენინებია. ძალიან მიყვარხარ, მარა ღსერთი შენზე უფრო მიყვარს და ჩემდა უნებურად, შენ კი არა, ღმერთმა რომ მოინდომოს, ისიც ვერ გამათხოვებს; ბებერ ქერეჭაშვილს მე არ შევირთავ, მისი სახკარი შენ თუ გიკვირს, თუარა მე არ მიკვირს. შენ თუ მაინც შენსას არ დეიშლი, მეც გამოვნახავ გზას, რომ თავი დევითარო (გადის).

**საჩინო.** (ცოდს უვირილით) შენგანა მჭირს მე, რაც მჭირს, შენგან! შენგან აქვს ემას ჩაგონებული ეს ყველაფერი. ერთი მითხარი, რას მოელით, რისი იმედი გაქვს? თუ გგონიათ, რომ მე მაღანი მაქ დამალული, ღმერთი, რჯული, არა მაქ. შენ მხართეძოზე წამოწექი და მოითხოვე ნაირ-ნაირები, იმას კაბები და პოლსაპოშკები და მე კი გადაგაკვდეთ თავზე, არა?

**თამარი.** (გულ-მოსული) ეშმაკებს გადააკვდი, ეშმაკებს! ისე შენ წამოწექი გემრიელათ, რავარც გემრიელათ მე ვიყო ახლა წამოწოლილი, მეტი ნუ! იმაზე გული მოგდის და ჩემზე იყრიახლა ჯავრს? გაგიწყრა ჯვარისა და ხატის მაღლი! სილარიბეში ამომართვი სული, ასი წლის ბებერს დავემგვანე შენი კაი პატრონობით და ეს-ლა მაკლია, რომ რამდენჯერ ბრაზი მოგერევა, მე დამეტაკო, — დაგეტაკა! ჭირი, რომ ალარ გადარჩენილიყო?

**საჩინო.** ჭირიც დაგეტაყა და უამიც; შენ ადამიანი კი  
არა, კუდიანი ხარ, კუდიანი. შვილი შვილი  
ამოიჭამე და ახლა ჩვენც გინდა ამოგვიჭამო?

**თამარი.** (გაბრაზებული) მიწამ ამოგიჭამა თვალები, მიწამ,  
მყრალი ენა შენა გაქ! რითი ამოგიჭამე შვი-  
ლები, არ მეტყვი? შენი სიგლახით მეც დავ-  
გლახდი; ორი დღის წუთისოფელი დამრჩე-  
ნია და იმასაც მიმწარებ. არ ვკვდები ჯერ შენ  
უინაზე, ხომ ხედავ? გასკდი გულზე! (ჰაუზა)  
რომ მეტყვი, მეც გეტყვი, აბა არ იცი! რა  
დაგიშავე, ერთი მითხარი? გოგოს არ მოსწონს  
ი კაცი, მე რა ვქნა? მითხარი, რა ვქნა, და  
ავასრულებ. ერთ კუტ ადამიანს რა შემიძლია?

**საჩინო.** რა შეგიძლია და ის შეგიძლია, რომ ის არამ-  
ზადა მოარჯულო. ვერა ხედავ, თითქმის შიმ-  
შილით ვიხოცებით? ჭადი ჩვენ ბარობაზე აღარ  
არის და ლვინო: ტანს ვეღარ ვიცვამთ და ფეხს,  
ამდენ გადასახადს ფული უნდა და მე ვინ მომ-  
ცა ფული? თუ ეს საქმე ჩეიშალა, მე გადავი-  
კარგები საღმე და თქვენ კისერიც გიტეხიათ,  
რავარც გინდათ, ისე ირჩინეთ თავი (გადის):

**თამარი.** (სიჩუმის შემდეგ). გადირია ე კაცი სწორეთ,  
სულ აღარ უვარგა გული; რავარც ეწყინება  
პატარა რამე, მაშინათვე მე მომვარდება...  
(ჰაუზა) ეჰ, რა ქნას მაგანაც საწყალმა, ბევრი  
დავიდარაბის ზა გაჭირების გამომლელია.  
ერთ კაცს მაგდენი გასაჭირი არ შეხვედრია,  
ექვსი დაც სულ მაგან გაათხოვა. მტრისას შე-

ვიდა ექვსი გასათხოვარი ქალი! იმან დაგვა-  
ლარიბა, თუარა რა გვიჭირდა! თავისი საყო-  
ფი ცველაფერი ქონდა; მარა ყმაწვილის გული  
კლდეს ერჩის. მაგასაც ეგონა საწყალს, დებს  
გულს არ დავწყვეტო, კარგად გავამზითებო.  
და მე კიდენ შევიძენ და დავესახლებიო; იმა-  
თი გულისთვის სახლი გაყიდა, ბეღელი, მერე  
რავარი ბეღელი? ამ სოფელში არ იყო იმი-  
სთანა. იქნება, კიდე შეიძენდა საწყალი, მარა  
რომ მოგვდგა სიკვდილი, მიწასთან გაგვასწო-  
რა და ვაჟიკაცს რომ გული წაუხდება, მერე  
ის რაღას შეიძენს? (ტირის და ტირილით ამ-  
ბობს) შვიდი შვილი მიწაში ჩავალაგე და მე-  
ქვე ვაგდივარ ზეზეს მიწას, ჩემი ალექსანდრე  
მიწაში უნდა იყოს და მე ცოცხალი. ეს არის  
სამართალია? დეიქცა ამისთანა სამართალი!  
ლმერთი არიო, ლმერთიო! სულ დამეკარგა. სა-  
სოება, არც ლმერთი ყოფილა და არც ხატი...  
ის რომ ვიცოდე ნამდვილად, რომ ჩემ შვი-  
ლებს საიქაოს ნაგხავ ცველას, მეტი რაღა მა-  
წუხებს?! (თვალებს იწმენდს). ეჭ, სიღარიბეს კი  
ამოუვარდა ღდინი! ერთი ჭაი ქვა რომ დამედვა  
ალექსანდრესათვინ, თუნდა ცოცხალი მყო-  
ლოდეს. (სცენაზე თანდათან ბნელდება, თამარი  
პედლისაგენ ბრუნდება ნელნელა) ვაი, ვაი, ვაი,  
ვაი, რავარი მწიწენის ე თეძოებში. ასე მგო-  
ნია, გახურებულ შამფურს მიყრიან ძვლებშიო.  
ვაი, ამისთანა სიცოცხლე კი შეარცხვინა.

ღმერთმა! (გადაბრუნდება წვალ ებით, თავზე სა-  
ბანს იხურავს და იძინებს; რაშოდენისამე ხნის შემ-  
დეგ ისმის მისი ხვრინა. შემთდის ამ დროს დო-  
ბენტი ნაბდით და ხურჯინით, კარებს შიგმტავს,  
შეჩერდება, მიიხედ-მთიხედავს, შემდეგ წამოვა, ნა-  
ბადს და ხურჯინს მოიხსნის და კუთხეში მიაფუ-  
დებს, ქუდს მთიხდის და სახელთით თვლს იწ-  
მენდს შებლზე).

**დომენტი.** ეჭ, დავიღალე! (მიიხედ-მთიხედავს) სად წასუ-  
ლან ნეტა ამ დროს? (მიდის დოგინისკენ, სა-  
ბანს დააჩერდება, შემდეგ გამობრუნდება) საწყალი,  
დაძინებია; რა ტკბილად ძინავს?! (მიიხედ-მთი-  
ხედავს და სახლს ათვალიერებს) ამისანა ქოხში  
ცხოვრებას სამუდამოთ დაძინება ჯობია. ჩემ  
ნახსოვრობაში ეს ამისთანაა სულ. ეხლა კიდევ  
რა უშავს, — შემოდგომაა, მე რომ ეს გამახ-  
სენდება იანვარში, ტანში ურუანტელი ლამივ-  
ლის ხოლმე. ყოველის მხრიდან ქარი ზუზუ-  
ნით უქრიალებს, კედლებიდან და ერდოდან  
თოვლი თავისუფლად შემოდის. ათი საბანი  
რომ დაიხურო, ვერ გათბები მაინც და ჩვენ კი  
თითო საბანიც არა გვქონდა ხოლმე. ბრრლ!..  
(გააძოგინებს ტანში) მიკვირს, რაფრათ ვძლებ-  
დი... მაგრამ გაჭირება ყოველიფერს აატანი-  
ებს ადამიანს... (ავლებს კიდე თვალს სახლს)  
უნდა დაიბადო ამგვარ ქოხში, გაიზარდო ამ-  
გვარ ქოხში, მთელი შენი სიცოცხლე გაატა-  
რო აქ და აქვე ჩაკვდე ძალლივით, რომ ერთ

დღესაც არ გელირსოს ცხოვრება აღამიანური! გლეხეცაცის ბედი ეს არის... ჩემი ხაზეინი ქვეყანას გლეჯავს; მისი მუშები ცოლ-შვილით ნახევარჯერ მშიერები ყრიან, ის კი მეფურად ცხოვრობს... და ეს კანონია, სამართალია! ნასწავლს რომ ეს უთხრა, რა შენი საქმეა ქვეყნის გასწორებაო, გეტყვის; ღვდელს რომ განუცხადო, მოთმინებითა შენითა მოიპოვე პური შენიო. ჰმ, ითმინოს და ითმინოს იმან, ვისაც შია და წყურია, ვისაც პირუტყულად აცხოვრებენ, ვინც დღე და ღამე მუშაობს და მაინც მშიერია. (ხმას აუმაღლების) არა! გეყოფათ! კმარა ამდენი მოთმენა! აბა, ერთი მობრძანდით და ერთი დღე გაატარეთ ამ ქოხში! ჩვენ რითი ვართ სხვაზე ნაკლები? განა ჩვენ კი გვაწყენს კაი ცხოვრება? (ამ დროს თამარს აბოდებს: „ნუ წამართმევ, შენ ღმერთს შეხედე, წამლის ფულია, წამლის, წამლი“...არ დაათავების და ისევ ხერინას განაგრძობს) საწყალი, ძილშიც კი არ ისვენებს, სიზმარშიდაც ტყავს, აძრობენ.. ეჭ! ნეტავი როდის იქნება, რომ ჩვენც თავისუფლად ამოვისუნთქოთ, ჩვენც გველირსოს აღამიანური ცხოვრება? (პაუზა აქეთ-იქეთ დადის) სად არიან ნეტა ამდენ ხანს მამა ჩემი და ჩემი დაი, დაუტოვებიათ ეს საცოდავი მარტოკა და თვითონ სადღაც წასულან. რომ მოკვდეს ეს საწყალი, გამსწორებელი არავინ ყავს. მეც მივწვები და ცოტას დავისვენებ მათ მო-

სვლამდე (აქეთ-იქით შიიხედავს, თითქო რაღა-  
ცას ეძებსო, ქოხში თანდათან დაბნელდება. დო-  
მენტი ჭრაქს ნახავს და აანთებს. ნაბადს გაშლის  
ძირს, ხურჯინს თავშევეშ დაიდებს, ქამარს შეისწის  
და მიიძინებს)

ვ ა რ დ ა.

## მოქმედება მესამე

(სცენა წარმოადგენს ისევ იმ საჯალაბოს. თამარს ლოგინზე ძინავს,  
ნატია კერასთან ზის)

**ნატია.** ვფიქრობ, ვფიქრობ და ჩემს თავს ვებრძვი, მაგრამ ვერც ჩემ თავს მოვერიე. ჭკუა რომ ერთს მეუბნება, ეს წყეული გული სულ სხვას ამბობს. ნეტავი, აღამიანი სულ უგულო იყოს, რომ არაფერს არ გრძობდეს, არაფერი არ აწუხებდეს, არაფერი არ უნდოდეს, არავინ არ უყვარდეს ისე, როგორც ხეს. მოსვენებული ვიქნებოდით მაშინ, აღარაფერი. შეგაწუხებდა, აღარ იქნებოდა მაშინ, ამდენი ტირილი, ამდენი ჯავრი, ამდენი მწუხარება. რაც ქვეყნიერობა არსებობს, მას აქეთ, რაც დედამიწაზე ცრემლი დალვრილა, ერთად რომ შეგროვდეს, ქვეყანას წალეკავს. ჩვენი ცხოვრება ტანჯვა და წვალებაა, მეტი არაფერი: ვჯახირობთ, ვჯახირობთ და ყველა მიწაში მივდივართ. მაღლობა ღმერთს, იქ მაინც არის. მოსვენება—მიწაში... მაგრამ—აღამიანს რომ გული არ ქონდეს და სიყვარული არ შეეძლოს, ხომ სიცოცხლე უგემური იქნებოდა. ასე. რომ ყოფილიყო, უარესი იქნებოდა, ყველა ჯავრით დავიხოცებოდით. (ადგება და დედის ლოგინისკენ მივა და დედის დასედავს, შემდეგ ჟან

გამობრუნდება, დაიჩვებს და ღმერთს ეჭედრება) ლმერთო, გადმომხედე წყალობის თვალით, შენ მასშავლე, შენ შემაგონე, თუ როგორ მოვიქცე! შენ ყოვლად ძლიერი ხარ, შენ ყველაფერი შეგიძლია! ქვრივ-ობოლთა და გაჭირებულების შემბრალე მარტო შენა ხარ, მეც შემიბრალე! (ამ დროს კარები გაიდება, ნატია სწრაფად ზეზე ადგება, ნატიას მეგთბარი მაპრიკა შამოვა).

**მარიკა.** მოლოზნად ხომ არ აპირობ, გოგო, წასვლას, რომ სახლშიდაც ალარ ასვენებ ლმერთს?

**ნატია.** ჩლმათ, შე გასაქრობო, დედას ძინავს!

**მარიკა.** არა უჭირს-რა, ძილი არ გაუფრთხება! დედაჩემს, როცა ძინავს, მთელი სახლი რომ დაანგრიო, ვერაფერს გაიგებს. არა, ერთი მითხარი, ამდენს რას ეხვეწებოდი ლმერთს?

**ნატია.** იმას, რომ შენ ცოტა მეტი ჭკუა მოგცეს.

**მარიკა.** ჩემი საყოფი ჭკუაცა მაქ და გონებაც. მაგის-თვის ლმერთს ნუ აწლებ (მარიკა მივა და ნატიას ხელს მოხვევს). ეს ერთი კვირეა, შენ სულ ასე ჩაფიქრებული ხარ და არაფერს არ მეუბნები. გრცხვენოდეს! (გამწურალი გატრიალდება და სკამზე ჩამოჯდება) ჩვენი ამხანაგობა კი ამისთანა არ უნდა ყოფილიყო. გახსოვს, ერთმანეთს რომ შევფიცეთ? შენ ჩემთვინ არაფერი უნდა დაგემალა და მე კიდევ შენთვინ!

**ნატია.** მერე რა დაგიმალე?

**მარიკა.** შენც კარგად იცი, რაც დამიმალე.

**ნატია.** მე არაფერიც არ ვიცი.

მარიკა. (შეაჩერდება, შერე სიცილით) არ იცის ქალბა-  
ტონმა, როგორ არა, არ იცის!... ხა, ხა, ხა,

ხა, დაგიჯერებ, არა გნებავს? ტყუილს, ჩემი

ნატია, მოკლე კული აბია. მე ყველაფერი ვიცა

ნატია. ახა, ღმერთო! მე არაფერი არ ვიცი და, შენ თუ  
რამე იცი, რალა დღისთვინ ინახავ? ქიჩა ხომ  
არ გინდა სათქმელად?

მარიკა. (შეაჩერდება) მაშ დომენტი რად ჩამოვიდა?

ნატია. რავა რათ ჩამოვიდა? თავის სახლში კაცი აღარ  
უნდა ჩამოვიდეს?

მარიკა. ბიძიამ რად იყიდა მერე ღორი?

ნატია. რა ღორი, გოგო, რას ბოდავ?

მარიკა. ჰო, ჰო, ვითომდა არ იცის! კუდიანი! გეყოფა,  
გეყოფა! შენ თუ ეშმაკი ხარ, შენზე ნაკლე-  
ბი ეშმაკი არც მე გახლავარ. ერთი რომ  
ცოცხზე გადავჯდე, მთელ რუსაბძელას შა-  
მოვივლი!

ნატია. (დაინტერესებული) მამა არ მომიკვდეს, არაფერი-  
არ ვიცოდე!

მარიკა. არც ის იცი, რომ ნალვთიშობლევს ჯვარს იწერ?

ნატია. ნეტა სისულელეს არ დაიწყებდე ერთი შენც.

მარიკა. გოგო, როგორ თუ სისულელეს? მთელი სო-  
ფელი ამბობს, ტოტო ქერეჭაშვილი ნალვთი-  
შობლევს ნატიაზე ჯვარს იწერსო.

ნატია. ვინც მაგას ამბობს, დიდი სისულელე უთქვამს და  
შენც კიდე იმათ აყოლიხარ (საერთო სიჩუმეა,  
შემდეგ შარიკა მიგა ნატიასთან, გვერდით მოუჯდე-  
ბა, მოფერებით).

მარიკა. ნატია, თუ გიყვარდე, ნუ გეწყინება, მე და შენ

ხომ მეგობრები ვართ, ნათესავებიც რომ არ  
ვიყოთ. შენისთანა საყვარელი მე არავინ არა  
მყავს; შენი კარგი ხომ მეც მიამება, აბა ვი-  
ლას ძამება! თუ გიყვარდე, თუ ჩემი დაია  
ხარ, მითხარი, მართლა თხოვდები და ტოტოს  
მიჭყვები, თუ არა?

**ნატია.** რომ შემირთოს, გაგეხარდება თუ გეწყინება?

**მარიკა.** ერთ თავად გამეხარდება, ერთ თავად მეწყინება.

**ნატია.** მე შენი არაფერა არ გამეგება.

**მარიკა.** რატომ არ გაგეგება? ტოტო ქერეჭაშვილი, მარ-  
თალია, ხნიერი კაცია, მარა კაი გვარიანი აზ-  
ნაურიშვილი გახლავს და, ის რომ შენ შეგირ-  
თავდეს, ძალიან გამეხარდება. შენ კი არა, ვინც  
უნდა აიღო, აზნაურიშვილის ქალები ამ პა-  
ტარა ადგილზე ყველა სიხარულით გაყვება,  
არც ერთი არ ეტყვის უარს, მარა აზნაური-  
შვილის ოჯახში რომ ჩავარდები, შენც გა-  
დიდგულდები, აზნაურიშვილის ცოლებში გა-  
ერევი და შენი მარიკა იქნება აღარც კი მი-  
კადრო მაშინ.

**ნატია.** მე ასე მეგონა თუ, უფრო კარგად მიცნობდი; ჩე-  
მიანი მაშინაც ნუ დამაკარგვინოს ლმერთმა,  
ხემწიფის შვილსაც რომ გავყვე.

**მარიკა.** მაშ, მართალია, ნატია, მართალი?

**ნატია.** მართალია ის, რომ ტოტომ მამაჩემს ჩემი თავი  
თხოვა; მარა მე დიდი ვუარი გავუცხადე მამა-  
ჩემს; მას აქეთ მამა ჩემი ხმასაც აღარ მცემს.

**მარიკა.** ვუარი უთხარი? მე რომ მკითხო, ძალიან გლა-  
ხა გიქნია.

**ნატია.** მარიკა, შენ დადეჭი ჩემ აღაგას. შენ რომ გით-  
ხოვოს ტოტომ, წაყვეპი? შვილიშვილად შე-  
ვეფერებით მე და შენ იმას.

**მარიკა.** კაცისთანა ლდინძალლი არაფერი არ არი. მე  
და შენ დავბერდებით, ჩემონატია, და ის ტო-  
ტო ისევ იმისთანა ტოტო იქნება, რავარც  
გინახავს. კი, ხნიერია, მარა სამაგიეროდ აზ-  
ნაურიშვილია, მდიდარია; ახლა უმზითვო ქალშ  
გლეხკაცებიც აღარ თხოულობენ; მე და შენ  
ვინ წაგვიყვანს?

**ნატია.** იმასთანა კაცის გაყოლას, რომელიც არ მიყვარს,  
გაუთხოვლად დარჩენა. ათასწილად მირჩევნია.

**მარიკა.** მაგას ნუ იტყვი, ნატია! ღმერთმა ჯერ ნურა-  
ფერი გაუჭიროს ბიძია და ბიცოლას, მარა  
ცას არავინ არ შევაბერდებით. იქნება დო-  
მენტის იმისთანა ცოლი შეხვდეს, რომ ერთ  
ჰლესაც არ დაგაყენოს სახლში.

**ნატია.** არ დამაყენებს და ქვეყანა დიდია: ვინც დამაყე-  
ნებს იმასთან მივალ.

**მარიკა.** ეჭ, ვერ მიხვალ, დასა! რომ კიდეც მიხვიდე,  
თუ ძმამ არ დაგაყენა, არც სხვა დაგაყენებს.  
რაც უნდა იყოს, შენი საკუთარი კერია: ყვე-  
ლაფერს ჯობია, ჭადს მაინც არავინ დაგამად-  
ლის. სხვის სახლში კი, ზედ რომ გადაალიო  
შენი ჯანი და ღონე ყველას, მაინც პირში  
შემოგჩერებიან, რამდენს სვამს და ჭამსო. რას  
ამბობ, რას? აზნაურიშვილი კი არა, ჩემთვის.

გლეხქაციც ღმერთმა გააწყო, თვარა აზნაურიშვილი რომ მითხოვდეს, ორივე თვალებით რომ ბრძან იყოს და ორივე ფეხებით კოჭლი, მარნც გავყვები! (ამ დროს თამარი გაიღვიძება).

**თამარი.** ნატია, შვილო, ვის ელაპარაკები?

**ნატია.** არავის, დედა, მარიკა არის აქ.

**მარიკა.** დილა მშვიდობისა, ბიცოლა, როგორ ბრძანდები?

**თამარი:** ისე იყოს, შვილო, შენი დამაწყევარი, რავარც მე ვიყო.

**მარიკა.** რა გიჭირს, ბიცოლა, მაღლე ბებია გახდები და შვილი-შვილის დანახვა სულ გაგაყმაწვილებს და გაგაცოცხლებს.

**თამარი.** (ლიმილით) ეჲ, ნეტა მაგის გათხოვებას მოვესწრებოდე და პირობას მივცუმ ღმერთს, რომ იმ ღამესვე მომკლას.

**მარიკა.** მაგის პირობას კი ნუ მისცემ, ბიცოლა, ღმერთს და ნატას მაღლე მოვათხოვებთ. მე ვარ ამის მაშუალი. ნაღვთიშობლებს ქორწილი უნდა გავაჩალოთ. („მარჯა, მარჯა“! — ისმის ამდროს ძალი გარედაში) მოვდივარ, მოვდივარ! .. დედაჩემი მიძახის! (გრძარდება გარში).

**თამარი.** (სიჩუმის შემდეგ) შვილო, ნუ მოკლავ ე საწყალ შერიკაცა! რაც უნდა იყოს, მთელი ოჯახი მაგის ამარა ვართ, უშაგისოდ ერთ დღესაც არ ვარგვართ და, მაგას რომ რაშე გაუჭირდეს, ღმერთი არ დაგიმადლებს, შვილო!

**ნატია.** რა ვქნა, ჩემთ დედა, მითხარი, რა ვქნა? ამდენი ხანია, სულ უფიქრობ; მინდა, ეს ოხერი გული დავიმორჩილო, მაგრამ ვერ შევძელი, ეს საქმე

სრულებით არ შედის ჩემს თავში, სრულებით  
არ მიიკარა ჩემმა გულმა.

**თამარი.** მე რომ ჯვარის საწერად მომამზადეს, შვილო,  
მამაშენს სულ არ ვიცნობდი. პირველად რომ  
შევხედე, თუნდა მანელა უამი დამენახოს, მა-  
რა ნეტა სხვაფერ არ გამწყრომოდა ღმერთი,  
თვარა სიყვარულით მალე შემიყვარდა. შენც  
ისე შეგიყვარდება, შვილია. სიყვარული მიჩვე-  
ვაზეა, რო მიეჩვევი, ქეც შეგიყვარდება.

**ნატია.** შეიძლება, აგრეც იყოს, დედაჩემო, იქნება ძალი-  
ანაც შემიყვარდეს, მაგრამ დღეს რა ვქნა, დღეს,  
როცა...

**თამარი.** (სიტყვას აწევეტინებს) შვილო, შენ არ იცი  
კარგად ჩვენი გარემოება, შენ ჯერ ბავში ხარ  
და გაჭირებისა არ გეშინია, ჩვენ-კი გაჭირე-  
ბამ მოგვისწრაფა წუთისოფელი. ღმერთმა ნუ-  
ქნას, შვილო, რომ შენ ამგვარ გაჭირებულ  
ოჯახში ჩამივარდე, — საიქაოს ვეღარ მოვის-  
ვენებ მარტო; პურითა და ღვინით სამსე ოჯახი,  
აზნაურშვილი, — მარტო ქვეყანა აგვიღებს ყბად,  
შვილო, ეს საქმე რომ შენ ჩაშალო.

**ნატია.** დედაჩემო, ქვეყანას რას დავეძებ, თუ ჩემი გული  
კმაყოფილი მაქ. და თუ გული გატეხილია, მა-  
შინ ქვეყანა იმას ვერ გამიმთელებს!

**თამარი.** ჩვენ მდგომარეობაში, შედი, შვილო, ცხოვრე-  
ბა გაძნელდა, ლუკმა პურის შონა გაჭირდა-  
სულს იქით ალარაფერი გვაბადია. შენ რომ  
სამსე ოჯახში გვეყოლები, ჩვენც გვიგდებ ყურს,

ერთი კვალი მიწა რომ მისცეს ტოტოშ მამა-  
შენს, ჩვენ ის დაგვარჩენს.

**ნატია.** ოქვენი გულისათვის მე ყველაფერს ჩავიდენდი,  
დედახემო, ერთ წამსაც არ ვითიქრებდი, ისე  
გავთხოვდებოდი, თუ-კი ეს ოქვენ რაშიმე წა-  
გადგებოდათ, მარა აწი ისეც არაფერი გვიჭირს;  
დომენტი საშოვარშია, იმდენს ყოველთვის შა-  
მოიტანს ოჯახში, რომ ლარიბული ლუკმა არ  
მოგვეშალოს.

**თამარი.** ეჰ, შვილო, რა ქნას ერთმა დომენტიმ? თავის  
თავს უპატრონოს, თუ ჩვენ გვიპატრონოს?  
აგერ, ოთხი წელიწადია, გარედ არის და ჯერ  
სახში არაფერი არ შამოუტანია. ეს ერთი კვი-  
რეა, ჩამოვიდა და ჯერ ხეირიანად არც-კი გვი-  
ნახავს, სად დადის და სად არა, კაცმა არ  
იცის. ფული, გონია, სულ არ ჩამოყოლია, თო-  
რემ აქამდინ მიცემდა მამაშენს. ეჰ, ლარიბი  
აღამიანის საშველი არც ყოფილა და არც იქ-  
ნება! (საერთო სიჩუმე ჩამოვარდება, რამდენისამე  
ხნის მერე შამოვა დაღვრეშილი სახით სახით და  
გასვრილ კანვერტში წერილი მთაქ. ჩამოჯდება  
სკამზე, წერილს ნატის მისცემს).

**საჩინო.** აჸა, ერთი ეს წერილი წაიკითხე. ვინდაცას მოე-  
ტანა ქალაქიდან და, ორი დღეა, კანცელარიაში  
აგდია (ნატია წერილს გამოართმევს და მამას შეა-  
ჩერდება. შემდეგ).

**ნატია.** მამა, ეგ შუბლი და ლოყა რამ დაგილილავა? ხომ  
არსად დაცემულხარ?

**თამარი.** ალბალ, მამასახლისს წევეჩუბა კიდევ, მაშინათვე  
მიგრძნო გულმა.

**საჩინო.** (აღელვებული) გლახას ყველა დაიბრიყვებს. ჩვენ  
რომ ერთი პირი გვქონდეს, ხმას ვერავინ  
გაგვცემს, მარა ყველა ლაჩრები ვართ და მი-  
ტომ გვიბრიყვებენ. წაიკითხე ერთი, შვილო, უ  
წერილი, გვიგებთ მაინც, ვისგან არი.

**ნატია.** (ჭერ კანვერტზე კითხულობს) „მ...ის პ...ა...ტიოს...  
ნებას... ს...აჩ...ინო გული...ლი...აშ...ვილი-  
თ...ავის სა...კუ..თარ ხ...ელ..ში. (შემდეგ გა-  
ხევს კანვერტს, ამთავებს წერილს და ზემოქსენე-  
ბულად კითხულობს) საიმედო ძმაო საჩინო! შენ  
შვილობას და დღინძელობას ღმერთსა ვთხოვ;  
შენი ცოლ-შვილით და ყოველი დამოკიდებუ-  
ლობით. გარდა ამისათ, ვიცი შენი კეთილი-  
გულის ანბავი; ჩემ ანბავი იკითხავ. ვარ, ძმაო,  
ღვთისაგან მოძულებული და კაცისაგან დავი-  
წყებული. ორიოდე გროში სანამ მქონდა, მა-  
შინ ყველასთვინ კაი ბიჭი ვიყავი და ახლა,  
ხელი რომ გამიტრიალდა, ჩემ ანბავსაც აღარ  
კითხულობენ. გარდა ამისათ, ეს ერთი წელი-  
წალია, უქეიფობა შამომეჩია, აღერლილი ვი-  
ყავი, მარა ჰეზე მაინც დავდიოდი. თუ რამე  
მქონდა, დოხტურებში დავხარჯე, მარა მაინც  
არა მეშველა-რა, ტყუილა გამატყავეს ყველამ.  
ეს ორი თვეა, ლოგინათ ჩავარდი. გარდა ამი-  
სათ, დუქანს ველარ ვუპატრონე, ვალი წამო-  
მედვა და დუქანი გვყიდე; ახლა დოხტურებმა  
მირჩიეს, სოფელში წალიო, პაერი მოგიხდებაო.

და მეც გადავწყვიტე, ჩამოვიდე, იქნება მოვი-  
კეთო ცოტა მაინც. გარდა ამისათ, ჩემი ამბავი  
ეს არი და სხვას, თუ ლმერთმა შენი ნახვა მა-  
ლირსა, მაშინ გეტყვი. შენ ხომ კარგათ ხარ  
ძმაო ცოლ-შვილიანა? გარდა ამისათ, ცხენები  
ხო იშოვება სტანციაზე? კვირეს რომ ცხენს  
ან ურემს გამომიგზანიდე მტანციაზე, კარგს.  
იზამ. შენ ამაგს, მე თუ ვერ გედვიხდი, ლმერ-  
თი გადაგიხდის. გწერ შენი ძმა ლუკა გულია-  
შვილი“.

**საჩინო.** (ჭამოდგება სწრაფად). ცხენს კი არა, აქლემს მი-  
ვართმევ, არ უნდა? გარედ დაბერდა, მთელი  
თავისი სიცოცხლე კარში გაატარა, ერთი კა-  
პეიკი რა არი, ერთი კაპეიკი არ მახსოვს მის-  
გან და ახლა, როცა სასიკვდილოთ მიღება, ახ-  
ლა გამიხსენა! ბატონს გალმარჯვოს! აქ ჩამობ-  
ძანდეს და სულ ნაზუქებით დავახჩობ, არ უნ-  
და? (პაუზა) ტფუუუ, ლარიბი კაცის გაჩენას  
კი რა ვუთხრა! ჩემთვის საჭმელი ვერ მიშონია,  
ქალიშვილს ბეჭი კარზე მოდგომია და რავა  
მექადრება ქერეჭაშვილიო. ვაჟიშვილი, ოთხი  
წელიწადია, გარეთ არი და ოთხი კაპეიკი არ  
მოუტანია. და ის კიდე—ჩემი შამსახლებელი  
ძმა—აქ აპირობს ჩამობრძანებას!

**თამარი.** არ მომხდარიყო ასე, კაი იყო და, რაღაი მოხ-  
და, თავს ხო ვერ მოიკლამ?

**საჩინო.** თავს ვერ მოიკლამ! შენ მაღით ჭამოწექი, ის  
აქეთ და, მეტი ალარაფერი გვინდა, აშენდება  
ოჯახი! რა გაჭამოთ, რითი გარჩინოთ?

**ნატია.** როგორც აქამდე ვირჩენდით თავს, ისე ვირჩენთ  
აწიც. რასაც ჩვენ ვჭამთ, ისიც იმას ჭამს.

ავათმყოფია, მამა-ჩემო, ავათმყოფი! ავათმყოფი  
საქონელიც შესაბრალისია, არა თუ ადამიანი.

**საჩინო.** შენც და დედაშენიც სხვის ხარჯზე კაი ბიჭები  
ხართ! გებრალებოდეს, გებრალებოდეს! შენ  
ვინ გებრალება, ერთი მითხარი? მამა არ გე-  
ბრალება და სხვას ვის შეიბრალებ? აქ კი გა-  
გიგძელებია ენა და მე მიქაღაგებ, თითქო გა-  
ბრიელ ეფისკოპოზი იყო!

**ნატია.** თუ სხვას შევიბრალებ, შენ რატომ აღარ შეგი-  
ბრალებ?

**საჩინო.** (სკამსე დაჯდება, წაილაპარაკებს) რავარც ჩვენ გე-  
ბრალებით, სხვასაც ისე შეიბრალებ. ენას არც  
ძვალი აქ, არც ჭკუა, რასაც გინდა იმას ათ-  
ქმევინებ. აგერ, ეს ხოდაბუნები შენთვის და-  
მიმტკიცებია, რა მეხარჯება?

**ნატია.** მე კი რა შემიძლია? ჩემი ნება რომ იყოს, ყვე-  
ლას გავაბეღნიერებდი, ყველას. შევეწეოდი,  
მარა მე რა ძალა მაქ? ჩემი ხელების მეტი  
არაფერი არ გამაჩნია და, ღმერთმა ხომ იცის,  
გამცდარი არასდროს არ ვჯივარ. სხვა რა  
ვქნა, მითხარი და ავასრულებ.

**საჩინო.** რომ გებრალებოდეთ, აგრეც არ მოიქცევი,  
შვილო! აბა კარგად ჩაუკვირდი ჩვენ ცხოვ-  
რებას. ჩემი დღეები სიღარიბეში გავატარუ.  
სულ იმის იმედი მქონდა, აი დღეს, აი ხვალ  
და პატარა წელში გავიმართები მეთქი, მარა  
ისე ჩემი მტერი გაიმართა, რავარც მე გავი-

მართვ. შვილის იშედი მქონდა და იმას ჯერ ჩემთვის არაფერი არ მოუცია. არც არაფერი ჩამოყოლია, ალბად. აქამდი ჭადს მაინც ვშოუ ვიბდით, აწი ისიც გაგვიჭირდება. ერთი ავად მყოფი არ გვაკმარა ღმერთმა და ახლა მეორე მოგვემატება. ჭამას თავი დაანებე, ხარჯი ოჯახს ცოტა აქვს? ღვდელი, ერი, ჩინონიკი, ყველა გლეხკაცს შეჩერებია, მარჩინეო; გაქ, თუ არა, ამას არავინ კითხულობს,—ღავაიო, და გათავდა! გასავალი ბევრია და შემოსავალი არსაიდან არი. ღმერთმა გადმოგვხედა, ბედს ხელში გვაძლევს, მოკიდეთ ხელიო, შენ-კი ფიქრადაც არ მოგდის. დედა შენი დავარდა, ერთი დავარდნილი აგერ გვემატება, მოსაც-ვლელი კბილები აღარც მე მაქ, იქნება, დღეს თუ ხვალ, მეც დავარდე, სხვა რომ არა იყოს-რა შიმშილით დავიხოცებით, შიმშილით!

**ნატია.** მერე, მე რა შემიძლია?

**ხაჩინო.** შენ შეგიძლია შიმშილისაგან დაგვიხსნა ყველა, თუ ბედს ხელიდან არ გაუშვებ. ამდენი ხანია, ვფიქრობ და ვერ გამიგია, რითია ის კაცი ჩვენგან დასაწუნარი? ჭალარა რო აქ წვერები? შეულებე და გაშავდება, თუ ასე გძულს ჭა-ლარა.

**თამარი.** შეაფურთხე, დედა, ეშმაკს, შეაფურთხე, ნუ ჩაგვყრი წყალში, ნუ დაგვჭრი ბებრებს ყელს. (საერთო სიჩქმე ჩამოვარდება, ნატია სკამზე ჩამო-ჯდება და ნაცარში ჯოხით ხაზებს აკეთებს და ფიქრობს, შემოდის ღომენტი).

**დომენტი.** ამისთანა სოფელში სიცოცხლეს ქალაქში სიკუვდილი ჯობია.

**თამარი.** გაგარეულდი, შვილო? კაცი რაც უნდა გაკეთდე და განათდე, შენი მიწა-წყალი მაინც არ უნდა დაკარგო. აგერ, შვილო, ფარნაოზ თარომიძე ოცი. წელიწადი იყო ციბირში, ყელამდე ამსილა, სასახლეები შეუძენია, მარა მაინც თავის სამშობლოში ჩამოვიდა და აქ ცხოვრება ამჯობინა.

**დომენტი.** ეჭ, დუღა ჩემო, ადამიანი საცა ბეღნიერი იქნება, სამშობლოც იქ არი.

**საჩინო.** რასაკვირველია, სოფელს ქალაქი ჯოფია. მარა სოფელი სოფელ გავს, ყველგან ამისთანა გაჭირებაა.

**დომენტი.** არა, მამა ჩემო! ყველგან ასე არ არი. ჩვენში ისევ ბატონყმობაა, სხვაგან ეს მაინც აღარ არის. ჩვენში გლეხ-კაცს ჰგონია, ვითომ ის სხვა მასალისაგან იყოს გაკეთებული, თავადი და აზნაური სხვა მასალისაგან, პრისტავი სხვა მასალისაგან და სხვ.. .

**საჩინო.** (გააწევეტინებს) ძალიან კარგი! მე ვიცი, რომ ჩემი ნაბატონარი ქაიხოსრო წერეთელი იმისთანა ადამიანია; როგორც მე.

**დომენტი.** (გააწევეტინებს) იქნება, ის შენზე ბევრით ვუარესიც იყოს; განა ცოტა გლეხი ჯობია თავადი შვილს?

**საჩინო.** თუნდა ეგრეც იყოს, მარა ამათი მე რა კუჭი გამიძლება? დღეს იმას ჩემზე მეტი აქვს ყო-

ლიფერი და უკეთაც ცხოვრობს, რა გამოვიდა.  
მერე?

**დომენტი.** აი, რა გამოვიდა: როცა გლეხი შეიგნებს, რომ  
ის იმგვარივე აღამიანია, როგორც ის მუქთა-  
მჭამლები, რომლებიც მისი ოფლითა რჩებიან,  
სულ კუდით ქვას ასროლიებს. ჩვენ სოფელში-  
კი ჯერ ამასაც ვერ მიმხვდარან, სტრაუნიკის-  
უფრო ეშინიათ, ვინემ ღმერთისა.

**საჩინო.** მოდი და ნუ შეგეშინდება! მანამდე ისინი ხელ-  
ფეხს შემიკრავენ და ვუარეს ღლეს დამაყენე-  
ბენ, ძალა იმათ ხელშია და სამართალიც. ისევ  
ასე ჯობია, ჩემთვის გავჩუმდე.

**დომენტი.** შენც გაჩუმდი, მეც გავჩუმდები, ისიც გა-  
ჩუმდეს, და აშენდება მაშინ ქვეყანა! კი არ-  
უნდა გავჩუმდეთ, უნდა ვიყვიროთ, ხმამალლა  
უნდა ვიყვიროთ, რომ ერთმანეთს თვალები-  
აუხილოთ.

**საჩინო.** თვალები ახილული მაქ, შვილო, მარა ამით რა  
გაძოვიდა? — არაფერი!

**დომენტი.** უმეტესობა, მამა-ჩემო, ჩვენისთანა ღარიბები-  
არიან. შენც, მეც, იმასაც, ე. ი. ყველას რომ  
თვალები ახილული გვქონდეს, მაშინ დავინა-  
ხავდით, რომ ძალა ჩვენ ხელშია, — ჩვენზე ძლი-  
ერი, ჩვენი დამძლევი არავინ არ არის. საერ-  
თო ძალით კი, რაც გვინდა, იმას კიზამთ, მარ-  
ტო შენ რომ იყვირო, ამით კი ვერას გახდები,  
მდიდრებზე ბევრით მეტი ვართ და ამიტომ ძა-  
ლაც ბევრით მეტი გვაქ. ცალ-ცაღაკე ყველას  
გვეშინია, მარა, ჩვენ რო ეს უბრალო ჭეშმა-

რიტება შევიგნოთ და შევერთდეთ, ვერავინ ვერასფერს დაგვაკლებს, პირიქით რაც გვინდა იმას ვიზამთ მაშინ.

**საჩინო.** საქმეც იმაშია, შვილო, რომ ერთმანეთის გატანა არ ვიცით. რამდენი ხანია, მყრალ მამასახლისის გამოცვლას ვცდილობთ და ვერ იქნა და ვერა! ჩვენ სოფელში მეათედს არ უნდა ეგ, მარა ყრილობაზე ყველას ეშინია, ყველა გაჩუმებულია.

**დომენტი.** იმიტომ, მამა-ჩემო, რომ ერთობა გვაკლია, საერთო საქმეში გამოუცდელი ვართ. (ამ დროს ისმის გათქდას ხმა: „საჩინო, საჩინო საჩინო“!).

**საჩინო.** ვინ ჯანაბა იძახის? (ადგება და მიღის).

**ნატია.** მე კიდე სხვანაირად მგონია, დომეტი. ჯარი რომ არ იყოს და ერთმანეთს რო არ ხოცავდენ, მაშინ ყველა ბედნიერი იქნება. სილარიბე უბედურება არ არის, — რამდენი ლარიბია მდიდარზე ბედნიერი! უბედურება ის არი, რომ ადამიანი ადამიანს ემტერება, ტყავს აძრობს, ცემს და კლამს.

**დომენტი.** ყველა რომ გასწორდეს და სიმდიდრე და სილარიბე მოისპოს, მაშინ აღარც ჯარი იქნება, აღარც კაცისკვლა. მდიდარი იმითია მდიდარი, რომ ლარიბის ოფლით რჩება. მდიდარმა რომ ლარიბი შეიცოდოს, მაშინ სიმდიდრეზე ხელი უნდა აიღოს და ამას რათ იზამს? ამიტომ არც ეცნდება ლარიბი... სწავლა და განათლება ამიტომ არი კარგი! მე რა მისწავლია ლაქიობის მეტი, მარა, სოფელში რო ვყოფილიყვავი

აქამდე, სულ ყრუ ვიქნებოდი (შემთდის აშ-  
დროს საჩინო).

**საჩინო.** მურძაყანია ჭეჭელასი. სამი მანათი მმართებდა  
და, რაი ღომენტი ჩამოვიდა, ეს მესამეთა მთხოვს.  
(დომენტი პირტმანს ამჟიდებს, აძლევს მამას საშ-  
მანათს და ეუბნება):

**დომენტი.** აპა, მიეცი (საჩინო მიღის).

**ნაფია.** ეჭ, რა კაია, ყველა რომ ნასწავლი ვიყოთ და ყვე-  
ლას რომ მაგდენი მაინც გვესმოდეს (საჩინო  
შემთბრუნდება).

**თამარი.** შვილო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ყველა ნასწავ-  
ლი იყოს, რაღამ უნდა გვარჩინოს მაშინ,  
შიმშილით დავიხოცებით.

**საჩინო.** ამდენი ხალხი ვართ უსწავლელი და ცოტა ნას-  
წავლებსაც ძლივს ვარჩენთ და ყველა რომ-  
ნასწავლები იყოს, ხო ერთმანეთი დაჭამეს?

**ნაფია.** ერთმანეთი რათ უნდა დაჭამონ? ყველა რომ ნას-  
წავლი იყოს, მაშინ ცხოვრებასაც უკეთ მოაწ-  
ყობდნენ, ვიდრე ახლაა მოწყობილი.

**დომენტი.** ყველა როდის გახდება ნასწავლი, ვინ იცის,  
და ჩვენ კი სული გვხდება, ჩვენ ახლა გვინდა.  
აღამიანური ცხოვრება და ჩვენში ასე გონიათ,  
თითქო კაი და კაი ისე მოდიოდეს, ხელ-გაუნ-  
ძრევლად (საერთო სიჩუმეა, დომენტი დადის და-  
უსრულებენს).

**საჩინო.** შვილო, შენ ქვეყნისათვის გული შეგტკივა და  
ჩვენი თავი კი გავიწყდება. ამდენხანს შენი მო-  
ლოდინე ვიყავი. დედა-შენს ორიოდე გროში-  
დაემალა. წამლის ფული, ისიც მამასახლისმა-

მოტაცა ფოშტის ფულში, ამდენ ხანს აბანოზე წაუსვლელი რავა დავდგებოდით, მარა საიდან მოიგდებ ფულს ხელში, ამ ოხერ სოფელში? თუ რამე სიკეთე ჩამოგყვა, შვილო, ჩემი გაჭირება ეს არის,—რაი შენი ჩამოსვლა გაიგეს, რამდენი მომაღვება კიდე კარებზე. (დომენტი ჯიბიდან პორტმანს ამთიღებს, დცდა ხუთ მანათს მაშის აქცევს).

**დომენტი.** აპა, მამა-ჩემო, ოცდახუთი მანათი. დამრჩა კიდე ხუთი მანათიც, ის მე დამჭირდება.

**თამარი.** შვილო, შენ გენაცვალე, წამლის ფული ეგება მომცე ცალკე, ემ ულმერთოს ნუ მისცემ, თვარა აღარ დამანახვებს თვალით (დომენტი ცოტა მოიშედება და დადის ხმაგაუღებლად).

**საჩინო.** (ფულს გადათვალის, შემდეგ ნაჭერში გამოხვევს, უბეში ჩაიდებს და თავის ქნევით ამბობს). ეეჭ, რომ გათხრა, შვილო—გეწყინება, არა და—ცხოვრება გაჭირდა. კაცმა ჭირი მალაო და ჭირმა თავი არ დამალაო.

**დომენტი.** (შედგება) რა უნდა მითხრა?

**საჩინო.** (შეჩერდება, მერე თავს ჩაღუნამს) არათერი, შვილო!

**დომენტი.** (სიარელს განაგრძობს) თუ არათერი, იგავებით რაღას მელაპარაკები? ფულებს რომ ვჭრიდე, უფრო ბევრს მოგიჭანდი.

**საჩინო.** (გულმოსული) არც სამსონას შვილები ჭრიან ფულებს, მარა იმათი სახლ-კარი და შენი ერთია!

**დომენტი.** სიმონას შვილებისთანა რომ ვიყო, ღმერთმა ერთ დღესაც ნუ მაცოცხლოს. პატიოსანი შრომით მე მეტი ვერ ვიშონე; ფულის გულისთვის კი მე სვინდისს არ გავყიდი. როდესაც პატიოსან შრომას მეტი ფასი ექნება, ვიდრე ქურდობას, ავაზაკობას და ჯაშუშობას, მაშინ მეც მეტი მექნება (სიჩუმეა).

**საჩინო.** მე გულმოსასვლელი კი არაფერი მითქვამს, შვილო, მარა მართალი მეც მათქმევინე. ოთხი წელიწადია, გარეთ ხარ გასული და, წელიწადში რომ თუმანი შეგენახა, მაინც მეტი შედგებოდა.

**დომენტი.** რას მაძლევენ, მამაჩემო, იკითხე! — თორმეტ მანათს. შიშველ-ტიტველი ხომ ვერ ვივლი? რომ არ ჩავიცვა, ამდენსაც არავინ მომცემს და სულ უადგილო დავრჩები. ტოლი მყავს, ამხანაგი მყავს, ტოლ-ამხანაგში როგორ არ გავერიო? გაერევი და უსათუოდ დაგეხარჯება რამე. თორმეტი მანათი თვეში რა უულია, რომ იქედან ბევრი მოაგროვოს რამე. ადამიანმა? რამდენი ლარიბია მერე იმ თხერ ქალაქში? ჩვენი პოვერი ერთ თვეს ავად იყო, ხაზენებმა და თხოვეს და, ერთი თვის ჩემი ჯამაგირი რომ არ მიმეცა, ცოლშვილი შიმშილით დაეხოცებოდა. ისიც თუთხმეტ მანათს იღებს თვეში; ამ თუთხმეტი მანათით ცოლშვილი აოჩინოს, თუ ვალი გადამიხადოს?

**საჩინო.** თუ კი არა თხოვ, რად გადაგიხდის? აგერ მურძაყანს კარზე ტალახი რომ არ აეყენებია, არც მე მივცემდი.

**დომენტი.** ერთი მითხარი, რა პირით უნდა ვთხოვო, როცა ვიცი, რომ გროში მეტი არ გააჩნია? იმისთანა განა ერთი და ორია? ერთმანეთს ისევ ჩვენ ვეწევით, თორემ ხაზეინები! — ორ დღეს რომ ზედიზედ დაწვე, მაშინათვე დაგითხოვენ. ლარიბებს ისევ ლარიბები ეწევიან, თორემ მდიღარს ფეხებზე კიდია, ცოცხალი იქნები თუ მკვდარი.

**საჩინო.** ეეჭ, ჩემო შვილო, ყველა კაცმა თავის თავის-თვინ უნდა იზრუნოს, თვარა სხვისი ყურება არ არგია, (ნატა ადგება, ჩაფს მთიდგამს მხარ-ზე და წყალზე მიდის).

**დომენტი.** არა, მამაჩემო! კაცმა კაცისთვინ უნდა იზრუ-ნოს და ყველამ ერთმანეთისთვინ, თვარა ისე არაფერი გაკეთდება. აი, შენ მთელი შენი სი-ცოცხლე შენი თავისთვინ ზრუნავდი და ამ ქოხს ვერ გადაცილდი. შენ რომ სხვებისთვინ გეზრუნა და სხვებს შენთვინ, მაშინ შენი ცხოვრება ბევრით უკეთესი იქნებოდა. დიალ, ქვეყანა ჩვენით ცხოვრობს, ჩვენ კი სიღარი-ბეში გხდება სული! ჩვენი ჯავრი არავის არა აქვს, მამაჩემო, არავის. ჩვენვე — ლარიბებმა — უნდა მივცეთ ხელი ხელს, აღარავის იმედი არ უნდა გვქონდეს; უნდა შევერთდეთ, ჩვენი ცხოვრება მოვაწყოთ, თორემ ვის რა ჯავრი აქ ჩვენი?

**საჩინო.** ცხოვრებას ჩვენ რითი მოვაწყობთ; შვილო? ცხოვრება ნასწავლმა ხალხმა უნდა მოაწყოს.

ჩვენი საქმე მუშაობაა და მუშაობა — სხვა რა გაგვეგება?

**დონენტი.** ჩვენ კი ვიმუშაოთ და სხვები კი ძლებოდნენ, — არა? ნასწავლი ხალხი სულ იმას ტაგიდევს, საწყალმა ხალხმა კარგად იცხოვროს!

**თამარი.** მა რას აკეთებენ — ამდენი ნასწავლი, ტყუილა სწავლობენ?

**დომენტი.** ტყუილა რათ სწავლობენ? ყველა თავის ჯიბისთვის, სწავლობს! — ნასწავლების ამბავი კი ვიცი, — იმათი საქმე ბანქოს თამაში და ლაყბობაა.

**საჩინო.** რა ვიცი, ი ჩვენ უჩიტელს გაზეთი მოდის და იქ ბევრი კაი წერძა ხოლმე. ნასწავლი ხალხის საქმე უნდა იყოს ის, მა რა ჯანდაბაა. ხანდახან მისთან-მისთანა სიტყვებს ამოიკითხავს ხოლმე, რო ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს.

**დომენტი.** ცარიელ სიტყვას რა ბაჟი აქ? წერით ძალიან წერენ ხოლმე, მარა აბა ბახრალი მიეცი ხელში, — თუ ბიჭია, გარედ გამოვლიან! ეჭ, მამა ჩემო, ყველა ჩვენ გვატყუებს. ისევ ჩვენ უნდა ვუპატრონოთ ჩვენ თავს, თვარა საქმეში არავინ არ გვარგია. ყველა ლარიბებმა და გაჭირვებულებმა თვითონ უნდა იხსნან თავი, სხვა მათ არავინ იხსნის. უნდა გავახილოთ თვალები. ახალგაზედებმაც და მოხუცმაც, შევიგნოთ ტყუილი და მართალი. ასე ცხოვრება აღარ გვარგია. სულ მუდამ გაჭირებაში.

ყოფნას, ბარემ ერთხელ გავიჭიროთ, ის გვირჩევნია; ჩვენ თუ არაფერი გვეღირსება, ჩვენ შვილებს მაინც მოესწრებათ რამე.

**თამარი.** ჩვენ უბედურად გავატარეთ ჩვენი დღენი და, მაღლობა ღმერთს ქონდეს, თქვენ მაინც მეყოლებოდეთ ბედნიერად, ორი ბოვში, და აღრაფერს აღარ დავეძებ, შვილო, აღარაფერს. რა გამიკეთა ამდენმა ჯავრმა, რაც არ წამახდინა? (საერთო სიჩუმეა, რამდენისამე ხნის შემდეგ საჩინო დაარღვევს სიჩუმეს).

**საჩინო.** დომენტი, შვილო! რათ ჩამოხვედი სახში, ვეღარ დაგინახე და ვეღარც არაფერი გითხარი | ენატასთვინ ერთი კაი კაცი გვეძლევა, მარა უარზეა და შეაგონე როგორმე, — შენ სიტყვას დაიჯერებს.

**დომენტი.** რა შეგონება უნდა? თუ უყვარს და მოწონს, წაყვება, თუ არა და — არა.

**საჩინო.** ახლანდელი ახალგაზრდებისა არა გამიგია. — რა; აბა, ხარ-მოზვრობა ყოფილა, თუ მაგხელა გოგომაც სიყვარული დაიწყო.

**დომენტი.** ხარ-მოზვრობა ის არის, მამაჩემო, როცა უსიყვარულოდ ირთავენ ერთმანეთს. რომ არ უყვარდეს, ძალათი გაატან? თუ არ უყვარს, — არ უყვარს, აქ რაღა ჩიჩინი უნდა? ის ირთავს, შენ ხომ არა. (ამ დროს ნატია შემთდის და უველა გაჩუმდება, ნატია ჩაფის დადგამს და პერასთან დაჯდება, საჩინო წამთდგება და დომენტის დაბლა ეუბნება).

**საჩინო.** (ჩუმად) შეაგონე, შვილო, შეაგონე, არც შენ  
წააგებ, (ჩმამაღლა) ეჭ, წავალ, ერთი ყანაში  
გადავიხედავ, რა ამბავია (გადის).

**დომენტი.** (სიჩუმის მერე) მაშ თხოვდები, ნატია?

**ნატია.** (შემკრთალი) ვთხოვდები... შენ ვინ-ლა გითხრა?

**დომენტი.** მითხრა, ვინც იყო, მარა შენ რატომ არ  
მითხარი თითონ?

**ნატია.** რაც ჩამოხვედი, სალაპარაკოდ არ-კი მინახავხარ  
და საიდან უნდა მეთქვა?

**დომენტი.** ალბათ, მეც საქმე მქონდა და იმაზე დავ-  
დიოდი.

**ნატია.** ვიცი, განა არ ვიცი! ნეტა მეც კაცი ვიყო, იქ-  
ნება, მეც გავაკეთებდი რასმე ქვეყნისათვის სა-  
სარგებლოს.

**დომენტი.** განა ქალს არ შეუძლია, ქვეყნისათვის სა-  
სარგებლო იყოს? მარა შენ სიტყვა ბანზე ამიგ-  
დე, რატომ აქამდე არ მითხარი, თუ თხოვდე-  
ბოდი, ჰა?

**ნატია.** დღემდე არც მე მქონდა გადაწყვეტილი.

**დომენტი.** მაშ დღეს გადაწყვიტე?

**ნატია.** დღეს გადავწყვიტე...

**თამარი.** (გააწევეტინებს) რა გადაწყვიტე, შვილო?

**ნატია.** ის, რაც შენ და მამაჩემს გინდოდათ.

**თამარი.** (ალერსით) შენ შემოგევლე, შვილო, რა ჭკვიანი  
შენა ხარ. შენ არ მომიკვდე, დედა, როსტომ  
ქერეჭაშვილისთანა აზნაურიშვილი ამ პატარა  
კუთხეში არ იყოს. ბედს რა ღირსი ვართ,  
შვილო?

**დომენტი.** როსტომი ვინ არის?

**თამარი.** აი, როსტომ ქერეჭაშვილი რომ არი შვილო-  
ტოტო, ალფერზას ნათლია, საყდარ ზემოლ-  
რომ დგას, გარსევან გულაშვილ თავზე, ის-  
თხოულობს ჩვენ ნატოს.

**დომენტი.** მასხარაობ, დედაჩემო, თუ მართალს ამბობ? ნა-  
ტია მართალს ამბობს.

**დომენტი.** (შეაწერდება ნატას) ერთი ეს მითხარი, რა  
მოგეწონა ამ ბებერ მძორში! აზნაურობას დაე-  
ხარბე?

**ნატია.** (ირონიით) დავეხარბე, დიალ, აზნაურობას და-  
ვეხარბე, იმის სიმღიღრეს დავეხარბე, იმის გა-  
რემოს, იმის ზვარს, იმის სავსე სასიმინდეს.  
(ტირილი აუფარდება).

**თამარი.** რა გატირებს, შენ გენაცვალე? შენი უნდომი  
ღმერთმა ნურაფერი მოგცეს, შვილო! თუ შენ  
გულს გეიხეთქამ, თავშვი ქვა უხლია ყველაკ,  
ჩუ-უ, შვილო!

**დომენტი.** (აღელვებული) დედა ჩემო, ეს ყველაფერი შე-  
ნი და მამი-ჩემის საქმეა; თქვენ გინდათ, ქალთ  
გაჰყიდოთ აზნაურობაზე და ორ კვალ მიწაზე.

**ნატია.** მე არავინ არა მყიდის.

**დომენტი.** მაშ შენ თვითონ ჰყიდი შენ თავს, კიდევ  
უკეთესი. აზნაუშვილის ცოლი იქნები, რაღა  
გიშავს? ეს შენთვის უმაღლესი ბედნიერება  
იქნება. შენ და დედაჩემს ვერც კი წარმოგი-  
დგენიათ, თუ აზნაუშვილის ცოლობაზე მეტი  
ბედნიერება კიდევ არსებობს.

**ნატია.** შენოდენი იქნება მე არ მესმოდეს, დომენტი, მა-  
რა მეც ვიცი, თუ რა არის ბედნიერება. გათხო-

ვებაზე მე არასოდეს არ შიფიქრია და, თუ კი  
ოდესმე ვიფიქრებდი, უსიყვარულოთ არავის  
წავუვებოდი. შენ რა იცი? ოთხი წელიწადია,  
ქალაქში ხარ, მე კი აქ ტანიც მაკლია, ფეხიც,  
საჭმელიც, მარა ჯავრს და ფიქრს ერთხელაც  
არ გაუვლია ჩემს გულში. მე სულ ვმღერდი,  
სულ ვიცინოდი, ბედნიერი ვიყავი. დღეს მე  
პირველად ჩავუფიქრდი ჩვენს ცხოვრებას: დე-  
და დაკუტებულია, უწამლობით გვიკვდება.  
წამლის ფული რომ გაგვაჩნდეს, იქნება, მაგასაც  
დაადგებოდა საშველი. მამა მოხუცდა, ალარა-  
ფერი შეუძლია. აქამდე ჭადი მაინც არ გვა-  
კლდა, აწი ისიც დაგვაკლდება, შენ ოჯახს  
არ არგიხარ, შენ სხვა საჭმე გაქვს. გათხოვება  
ისე,—როგორც მე ვთხოვდები, მეჯავრება,  
სხვას დავძრახავდი. მაგრამ დღეს კი ასე გადავ-  
წყვიტე, რადგან სხვა გზა არ არი. ერთი მი-  
თხარი, შენ კი მომიწონებდი, რომ ასეთ დროს  
მარტო ჩემს ბედნიერებაზე მეფიქრა და ბებერი  
დედ-მამა ლვთის ანაბარა დამეყარა? მე არა-  
ფერი არ ვიცი, არაფერი არ გამეგება, მე არ  
გამეგება და არ ვიცი, რითი უნდა გავაბედნიე-  
რო ხალხი, მარა ჩემ დედ-მამას სიბერის  
დროს შიმშილისაგან დავიხსნი და, მე თუ არ  
ვიქნები ბედნიერი, რა ვუყოთ, ქვეყანა უბე-  
დურებით სამსეა, დეე, მეც მათ სიცხეში ვი-  
ყო. (ჰაუზა).

**დომენტი.** (აქეთ-იქით დადის და შედგება) შენ მართალი  
ხარ, ნატია. დღეს ისეთი დროა, რომ ყველა

ჩვენგანმა თავისი საკუთარი ბედნიერება უნდა  
დაივიწყოს. შენ შეწირე შენი თავი ოჯახს  
და დედ-მამას. მე კი ხალხს შევწირავ ჩემ მცი-  
რე ძალ-ღონეს. დღეის იქით აღარაფრის აღარ-  
მეშინია,—წავალ და ყველას ვუყვირებ საყვი-  
რით, რომ დროა—გამოვილვიძოთ, დროა—ჩვენ  
თავს ვუპატრონოთ, დროა—ვიფიქროთ ჩვენ-  
თვის, ხვარა სხვა ყველა ჩვენს გაყვლეფას  
ფიქრობს. დროა შევერთდეთ, შეერთებული-  
ძალით გავანადგუროთ ყველა ხალხის მტერი-  
და ჩვენ, ღარიბებმა, დავაწესოთ ახალი ცხოვ-  
რება ღარიბი ხალხისათვის (ქუდს იხურავს და  
გადის ჩქარა)

ფ ა რ დ ა.

## მოქმედება მეოთხე

(სცენა წარმოადგენს იმავე საჯალაბოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთ კუთხეში ხის პატარა მორეპჩე ფიცრებია გალაგებული და ზედ ღარიბ ქვეშაგებში ლუკა წევს, ჭლექით შეკურობილი, თამარი, ლუკა და ნატა).

**ლუკა.** (ხველების შემდეგ) ეეჲ, ამოვარდა ჩემი გაჩენა! ეს ოხერი ნახველი ამომებლანდა ყელში და ველარ ამოვილე. (ახველებს) ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი არ სჯობია? ვწვალობ, ეს ექვსი თვეა, არც მოვრჩი და აღარც მოვკვდი ერთი სახელი მაინც დაერქმიათ ჩემი ავადმყოფობისთვინ და მეტი არაფერი მინდოდა. სახელიც რომ ვერ დაარქვეს! მთელი ქალაქის დოხტურები შამოვიარე და ერთხა ვერ მითხრა, თუ რა მჭირს. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, —ღმერთმა დასწყვევლოს იმათი თავი და ტანი: ტყუილა ხალხს ატყუებენ და ყვლეფავენ, მეტი არაფერი. აი, ი კუზიანის ღჯახი კი დააქცია ღმერთიმა. რო ჩავეკითხე, რა არის, ჩემი ავადმყოფობა-მეთქი, ჩიხოტკა არისო. არა, მამას ჭირდა ჩემსას თუ პაპას ჩიხოტკა, რო მე დამმართოდა?! ჩემს სიცოცხლეში სურდო არ მჭირებია, რო ახლა არ გავმხდარიყავი ავად. ნატა, ბიძია, ერთი წყალი დამალევინე. (ნატიას ჩაფულა მიაქ). ოოჲ, პატარა

გააგრილა გული. ე სოფელი ამითი მაინც არის  
კარგი, რომ ცივ წყალს იშოვნი ზაფხულში.

**ნატია.** (სიცილით) გეტყობა, ბიძაჩემო, ცივი წყალი ძა-  
ლიან გენატრებოდა ქალაქში.

**ლუკა.** ცივი წყალი იქაც იშოვება, ბიძია, ზაფხულში,  
მარა რა გემო აქ ყინულით გაციებულს!

**ნატია.** (სეაშით მიუჯდება დუქას ღოგინს) ბიძია, რამდენი  
ხანია, რაც შენ სოფელში აღარ ყოფილხარ?  
მე ძლივს მახსოვს, შენ რო აქ იყავი ზამთარ-  
ში. ჭეჭელას კარებზე დიდი თოვლი დაგროვ-  
დებოდა. ხოლმე და იქ სუფრებით დავცურავ-  
დით. მე მახსოვს, ერთხელ შენ დაგვიჯეჭი  
სუფრაზე, გააცურე ძალიან და ყველა აქეთ-  
იქეთ გაღაგვყარე თოვლში.

**ლუკა.** ეჲ, ნეტი იმ დროს! სიბერემდინ სიქაჩლე გეწე-  
როსო, ნათქვამია. მეც ისე მწერებია.

**ნატია.** საღ იყავი, ბიძია, ამზენ ხანს, რომ აქეთ ჩამოს-  
ვლა არ მოინდომე.

**ლუკა.** ქალაქში, იქ ვვაჭრობდი და ვცხოვრობდი.

**ნატია.** მერე რატომ ცოლი არ შეირთე?

**ლუკა.** ეჲ, ბიძია, რა ჩემი საქმეა, ცოლა? ცოლი იმან  
უნდა შეირთოს, ვისაც შეძლება აქ. ლარიბ  
კაცს ცოლი რათ უნდა?

**ნატია.** მდიდარს თუ უნდა, ლარიბს რატომ არ უნდა?  
მამა ჩემი ლარიბი იყო. მარა შეირთო. ქვეყა-  
ნა ასე შვრება და შენ რაღა იყავი?

**ლუკა.** რო შვრება, სისულელეს შვრება,—ლარიბებს  
რაღა გამრავლება უნდა? ისეთაც ბევრია ქვე-  
ყანაზე! მამა შენმა რომ ცოლი შეირთო, რა

ჭკუა ქნა? (შიისედ-მოისედავს აქეთ-იქით) მთელი  
სიცოცხლე ამ ქოხში გაატარა, მოკვდება და  
ამ ქოხის მეტს ვერაფერს დაფიტოვებთ. რა  
ცხოვრებაა ამისთანა ცხოვრება? ძალლის ცხოვ-  
რებაა, ძალლის, ბიძია.

**ნატია.** შენ რათ წახველი, ბიძია, ქალაქში?

**ლუკა.** იმიტომ რომ მინდოდა, ამისთანა ცხოვრებიზან  
თავი დამეხწია; დავახწიე კიღეც, გემრიელად  
ვცხოვრობდი, არაფრის დარდი არა მქონდა,  
მარა... (ხელს ჩაიქნევს და გაჩუმდება).

**ნატია.** მარა რა?

**ლუკა.** მარა ვიარე, ვიარე და ბოლოს მაინც ამ ქოხს  
მოვადექი! გლეხი-კაცის ბედი ასეთი ყოფილა.  
ჩვენ უთუოოდ კაინის მოდგმა ვართ, ღმერთმა  
რომ დასწყევლა... ეჲ, სისულელეა ყოველი-  
ფერი: სიმდიდრეც, სიღარიბეც, მთელი ჩვენი  
ცხოვრებაც სულ სისულელეა.

**ნატია.** არა, ბიძია, ცხოვრება სისულელე არ არის. მე  
რომ ჩვენი კაცლის ქვეშ დავჯდები და, ხოლა-  
ბუნებს გადავჩერებივარ, ტანში რაღაც ურუან-  
ტელი დამივლის ხოლმე. რაც უნდა გლახა  
გუნებაზე ვიყო, მაშინათვე კაი ხასიათზე დავ-  
დგები. არა, ქვეყანა კარგია და თვალ-გადუშ-  
ვდენელი, ის ყველას ეყოფა. სიცოცხლე დი-  
დი ბეღნიერებაა, მარა აღამიანმა უერ მოაწყო  
ცხოვრება კარგათ; ჩვენ ერთმანეთს ვემტერე-  
ბით, ერთმანეთის გამტანობა არა გვაქ. ზოგს  
იმდენი აქვს, რომ არ იცის, რაუყოს, და ზო-  
გი კი მშიერი დადის. ეს გლახათ არის მოწ-

ყობილი. ეს ასე არ უნდა იყოს. ამისთანაც  
ცხოვრება უნდა შეიცვალოს.

**ლუკა.** ეს ასე ყოფილა და ასე იქნება სულ. ზოგს მეტი ექნება და ზოგს ნაკლები.

**ნატია.** რათ უნდა იყოს, ბიძია, ასე? ყველას ერთნაირად უნდა ჰქონდეს. მშიერი, მწყურვალი და ტიტველი არავინ უნდა იყოს. მაშინ ყველა ბედნიერი იქნება. მაშინ მდიდარი და ღარიბი აღარ იქნება, ყველა ტოლები იქნებიან და ყველას ეყვარება ერთმანეთი. (შაშდის მკითხავი ეჭისაბედი).

**ელისაბედი.** დილა მშვიდობისა! (ლუკას ხელს ართმევს) გუშინესწინ მითხრეს, ლუკა ჩამოვიდა ქალაქიდან. ისე ღმერთმა აგაშოროს ყოველივე ავი, რავარც მე შენი ავადმყოფობა მეწყინა, მარა ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა. შენ რასა იქ, თამარ! (მიდის თამართან) ვუი, შენ გენაცვალე, ქალო, რაღა დროს ძილია, ღამე აღარ უნდა დაიძინო?

**თამარი.** (შეიშმუწება და იღვიძებს) უჟ, წამძინებია. შენ ხარ, ელისაბედ? ამას მოველოდი მერე შენგან? ასე უნდა, რომ ამდენხანს მიმატოვე?

**ელისაბედი.** რა ვქნა, შენ გენაცვალე. მოცლა არა მაქ. ამოდენა მილეთი ხალხი მოღის, ზოგს რა უნდა, ზოგს რა, — თავი ვეღარ გავართვი. (დაჯდება თამართან და ჯიბეებიდან ორ ბოთლის ამოდებს) აი, წამლები მიგიტანე.

**თამარი.** (ართმევს ბოთლებს) შენ გაცოცხლა ღმერთმა ჩემი ყურაგდებისთვის. მე თუ ვერ გადაგიხადე,

ღმერთი გადაგიხდის, ღმერთი დიდია, ვენაცვალე მის სახელს. ნატია, შვილო, ერთი სტაქანი მომიტანე (ნატიას მთაქვს სტაქანი. თამარი დასსხამს ნახევრად და დაფუქს. ელისაბედი დუკასთან მიგა).

**ელისაბედი.** შენ რა დაგემართა, ჩემო მაზლო? ქვეყანა ქალაქში მიდის, დოხტურები იქ კვდარს ოცნებლებენო, და შენ აქ წამოხვედი?

**ლუკა.** აი, ისემც გაუძლია იმათ! თუ ჩეიგდეს ავალმყოფი ხელში, გაფრქვნიან, ტყავს გააძრობენ და, რო შამოაცლიან ყველაფერს, მერე ეტყვიან, აწი სოფელში წადი, ჰაერი გინდაო. ერთოვეს ერთმა მატყუა, მეორე თვეს—მეორემ, მესამეს—მესამემ. შამომეხარჯა, პატარა ორი გროში რაც მქონდა, და მერე მითხრეს; ახლა სოფელში წადიო.

**ელისაბედი.** მოდი ერთი, ჩემო მაზლო, ი ქალაქელ დოხტურებს თავსლათი დავასხათ!.. მე მისთანები მომირჩენია, ისე მორჩი ყოველ ავსა და ავთვალს, რომლებსაც ქალაქის დოხტურებმა სიკვდილი გადაუშევიტეს.

**ლუკა.** თუ რამე სიკეთეს იზამ, ღმერთიც დაგიმადლებს და არც მე შევირჩენ.

**ელისაბედი.** მაინც რას უფრო იტკიებ?

**ლუკა.** სულ ყველაფერი მტკივა, მარა გულბოყვში უფრო მაწვება; ჩავარც, რამე მარილიანი, ან მეავე ჩამცდება პირში, ამივარდება ხველა და ჩემს უცოდვესი ძალი არ არი (ახვეჭებს).

**ელისაბედი.** მუცლის სიყაბზე ხომ არ იცი?

ლუკა. აქამდინ არ ვიცოდი და ახლა ისიც მაწუხებს.

ელისაბედი. სისხლი არ გაგიღია ხოლმე?

ლუკა. ჩემს დღეში წურბელა არ დამიჯენია, ამხელა კაცი  
მოვიყარე.

ელისაბედი კიდევაც მაგას მოუკლავხარ. უბრასილო  
ჩიტი არ არი, ჩიტი, ბუასილის ქარები გაქ  
მორეული და შენი წამალი წურბელია. ერთი  
ოციოდე წურბელი დეიჯინე, ხვალ ან ზეგ  
წამალს გაგიკეთებ, მარა... (ითვლის თითებზე)  
სამი მანათი მოუნდება წამალს. თუ მოგარჩინე,  
ერთ თუმანს გამოვართმევ, თუ არა და, ერთი  
კაპეიკი შენი არ მინდა (გამოქმშვიდობება და  
მიდის).

ლუკა. (მიმავალს მიაძიხებს) ბარემ შენ დამაჯინე წურ-  
ბელი ამ სალამოს და წამლის ფულსაც მოგცემ  
მაშინ.

ელისაბედი. ამ სალამოს ან ხვალ დილას შამოვალ, აბა! (გადის).

ლუკა. მეჩიშნა განა მაგ ქალის სიტყვები. ნამდვილად,  
ბუასილის ქარებს რომ იტყვიან, ის არის. ჩემი  
ავალმყოფობა. აბა, რა უნდა იყოს: ქვეიდან  
რომ წამოვა ხვარხვალით ჭიპის სწორა დატრი-  
ალდება ჯარასავით, ამომაწვება იქიდან გულ-  
ბოყვში და თავში ამივარდება ცხლათ, იქიდან  
დაჰკრამს და ფეხის თითებამდე გეივლის ხურ-  
ვლათ. ნამდვილი ბუასილია.

თამარი. თუ მოინდომა, ჩემო მაზლო, კვდარს ვერ გააცო-  
ცხლებს, თვარა ისე მოსარჩენი ავადმყოფი მა-  
გას ვერ გაუმაგრდება. მარა ხელის შეწყობა

უნდა, მაგას რო არ მიცე ფული, წამალს უნდა ყიდვა. თუ წიმლის ფული მაინც არ მიეცი, ისე მაგან რა ქნას? ჩვენი სისაწყლე გვლუპავს ჩვენ.

**ლუკა.** ნეტაი კი მიშველიდეს რამე, თვარა ვინ თავ-  
მკვდარი! ორიოდე გროში კიდე მაქ და რა ოხ-  
რად მინდა, თუ მე არ ვიქნები.

**ნატია.** მორჩები, ბიძია, მორჩები, ღმერთი მოწყალეა.

**ლუკა.** ეჰ, ბიძია, სიკვდილის კი არ მეშინია, — ადამიანი მოკვდება, რა ვუყოთ. მე კი არა ხემწიფეები კვდებიან, ყველა სიკვდილის შვილი ვართ. მარა გაჯახირების მეშინია. კაცი რომ არც ცო-  
ცხლებში იქნება და აღარც მოკვდები, გლახა  
ეს არი. შენს ქორწილზე მაინც ვყოფილიყავი-  
კარგად! ერთი ჩემებურად რომ შემომეძახა ყა-  
რაჩოლული, მერე გული აღარ დამწყდებოდა,  
თორე ქერეჭაშვილები საცინად აგვიგდე-  
ბენ, არაფერი ცოლნიათო! (ახველებს) ჰაი დე-  
დასა! გულაშვილი ვიყავი, მარა კარგად როცა  
ვიყავი, ქერეჭაშვილი და ვერც წერეთელი მე  
ვერ მაჯობებდა ვერც ჩაცმა-დახურვაში, ვერც  
სიმღერაში, ვერც ქერთსა და ვერც სმაში. მარა  
ახლა... (ახველებს შემთდის დომენტი მხიარული)

**დომენტი.** (მიესალმება ბიძას, ხელს ართმევს და აკოცებს).  
ოპო, ბიძაჩემო, შენხარ? რას დაგვანებიხარ,  
კაცო? (შემდეგ დედას და დას მიესალმება).

**თამარი.** შვილო, სად იყავი აქამდინ? ჩვენ კი ელდი-  
საგან აღარ ვიყავით. როცა მიხვალ სადმე,  
შვილო, უნდა დაგვიბარო, ხოლმე, თორემ

ვინ ლაა ჩვენ ბარობაზე? — შენ ხარ და ეგ. (უთი-  
თებს ნატაზე) თქვენით გვიდგინ სული კიდე ორ  
ბებერს.

**დომენტი.** რა დაბარება გინდა, დედა-ჩემო? თუ საჭმე-  
მოვკვდებოდი, ხომ გაიგებდი კიდეც!

**თამარი.** ეგ რავარი სიტყვაა? ჩემი სიცოცხლე რა სი-  
ცოცხლეა, შვილო? დღე მუდამ ღმერთს ვე-  
ხვეწებოდი სიკვდილს, მარა არ მომკლა ი და-  
ლოცვილმა; ახლა ერთად რო დაგინახეთ ორი-  
ვე, როდილა მინდა სიკვდილი. მინდა პატარა  
ხანს მაინც გიყუროთ ორივეს ერთად, მინდა  
პატარა ხანს მაინც დავტკბე თქვენი სიყვარუ-  
ლით. ღმერთმა ბევჯელ გამოგაცდევინოს, შვი-  
ლო, და შენ ჯერ არ იცი, რა არის შვილის  
სიყვარული: შვილისთანა საყვარელი არაფერი  
არ არი ქვეყნად.

**დომენტი.** (გააწევეტინებს) ეჰ, დედა ჩემო; შენ რა ძვე-  
ლებურ ზღაპარს ლაპარაკობ? წევიდა. ეგ დრო!  
უმაღ კაცმა ცხოვრება უნდა ეძიოს, ხალხი  
შეიყვაროს, და მერე შვილი, ცოლი, ბებია  
და ნათლია.

**თამარი.** არა, შვილო, სული მე თქვენით მიდგია. შენ  
რომ შამოგხედავ, ყელში მობჯენილი სული.  
უკან ჩაბრუნდება ხოლმე. თუ თქვენ არ მე-  
ყოლებით, ხალხს კისერიც უტეხია. მე ვინ  
შემიბრალა, რომ მე შევიბრალო?

**დომენტი.** საქმეც ის არის, რომ შენ არავინ შეგიბრა-  
ლა, შენ არავინ შეიბრალე და ასე ერთმანე-  
თი არავის არ გებრალებათ. ყველა თქვენ თქვე-

ნი თავისთვის ცხოვრობთ და, აი, ასეთ ქოხში დაბერდით და კვდებით ყველა. მარტო თავის თავისთვის ცხოვრებამ ეს იცის. ჩვენ კი ეს ქოხი აღარ გვაკმაყოფილებს, რადგან მიცხვდით, რომ ჩვენც აღამიანები ვართ. ჩვენ უკეთესი ცხოვრება გვინდა, ვინემ თქვენ ცხოვრობდით, დედა-ჩემო, და ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენ ყველა ქოხში მცხოვრები ლარიბ-ლატაკები შევერთდეთ და დავაარსოთ ჩვენთვის, ჩვენის ძალ-ლონით, საკუთარი ცხოვრება. არა, ბიძა-ჩემო?

**ლუკა.** შენ ჯერ ბოვში ხარ, დომენტი! ცხოვრება არ გამოგიცდია; მთელი ჩემი დღენი ვწვალობდი, ცხოვრებისთვისა ვწვალობდი, მარა მაინც ვერაფერს გავხდი, ისე ვკვდები.

**დომენტი.** თქვენ ვერაფერს ვერ გახდით მიტომ, რომ არაფერს არ აკეთებდით და ასე გეგონათ, ლოცვითა და ზიარებით დამყარდება ქვეყნად სამოთხეო. ჩვენ კი ასე აღარ გვგონია. ჩვენ ახლა ვიცით, რომ ძალა ერთობაშია. ლარიბები ძალიან ბევრია, —იმდენი, რომ, თუ ისინი შეერთდენ, ველარაფერი ველარ დაუმაგრდება წინ.

**ლუკა.** მერე რა გამოვა ამ შეერთებით? მოიყარეთ ერთათ თავი ლარიბებმა, მოუსხედით ცალიერ სუფრას და ის გაგაძლობთ! ეჭ, ჩემო ბიძია, მე მთელი ჩემი სიცოცხლე წელებზე ფეხს ვიდგამდი და მაინც ვერა ვიშონე-რა!

**დომენტი.** ჩვენ რომ შევერთდებით ჩვენს სავსე სუფრას ჩვენვე მოვიხმართ ისე, როგორც ჩვენ გვინდა.

მაშ გაუმარჯოს, ბიძაჩემო, ლარიბების შეერთებას. მარა შენ, იქნება, ლარიბებში აღარ თვლი შენ თავს? იქნება, გასოვდაგარდი ქალაქში? (მოუბრუნდება ნატიას) იმ შენ ქერეჭაშვილს მაში სულ კუდით ქვას ვასროლიებთ. მე პირველ დავუძახებ: აქამდინ თქვენ გვასხედით კისერზე-მეთქი, აწი გეყოთ! გაუმარჯოს თანასწორობას, ლარიბების ერთობას-მეთქი.

**ნატია.** (ჯერ შეაჩერდება, შერე სიცილით) ჰა, ჰა, ჰა, ჰა, დამთვრალა! სად დაგილევია იმდენი, დომენტი?

**დომენტი.** (წენარის ქილოთი) ოო! სწორეთ მიხვდი!

**ნატია.** მა რათ ხარ აგრე აწეული? რაი აქა ხარ, ერთხელ გაცინებული არ დამინახავხარ.

**დომენტი.** სიცილით არც ახლა ვიცინი, მარა სატირალია ლმერთმა ნურა მომცეს-რა. ძლივს ჩვენც ზვეხსნება ცხოვრების კარი, და რა ღროს ტირილია?

**თამარი.** შვილო, სად იყავი ამდენ ხანს? ჩვენ შენიავრით აღარ ვიყავით.

**დომენტი.** (დაჯდება) სად ვიქნებოდი, დედა-ჩემო! ადგილს ვეძებდი და, რავარც იქნა, ვიშონე. მომწყინდა ის ოხერი ლაქიობა. მუდამ სხვისი მოსამსახურეობა, შენ გგონია, კარგია? რამდენჯერ ყოფილა, რომ მიტირია, ცხარე ცრემლით; ჩემი გაჩენის დღე და საათი მიყწვევლია! რაღაც ორიოდე გროშს გადმოგიგდებენ თვეში და იმასაც სჯერ დაგამაღლებენ! უბრალოზე გაგიწყრებიან, მთელი დღის მუშაობით დალალულსა და დაქანცულს სულ უბრალი საჭმე

ზე ლოგინიდან<sup>1</sup> წამოგაგდებენ და, თუ რამე  
არ მოეწონათ შენი, დაგითხოვენ და იმის  
კანკალში უნდა იყო, ეს ორიოდე გროშიც არ  
დავკარგოვო. დეპოში იყვენ ალაგს შეპირებუ-  
ლი და ახლა იმაზე ვიყავი, იქ ვიშონე ალა-  
გი, ჯაფა კი იქნება, მარა ოცდახუთი მანათი  
მექნება ამთავით თვეში, მერე მომიმატებენ.  
ესეც რომ არ იყოს, ამხანაგებში ვიქნები  
ყოველ დღეს და სიტყვას მაინც გავიგონებ  
ადამიანურს.

**ნატია.** ოცდახუთი მანათი! კაი ფულია. კიდეც რომ  
არ მოგიმატონ, მაინც დაჯერდი! ჩვენ უჩი-  
ტელს სემინარია გაუთავესია და ოცდა ხუთ  
მანათს იღებს ისიც. შენ რა ადვილად ამბობ  
ოცდა-ხუთ მანათს?

**ლუკა.** ჰმ, ოცდა-ხუთი მანათი ფულია? ოცდა-ხუთი მა-  
ნათი ერთ საღილზე გამიფუჭებია, მარა ახლა...  
(ახველებს) ეჲ, ყოველივე სისულელეა,—ფუ-  
ლიც, ქეიფიც, სიცოცხლეც! (ახველებს)

**დომენტი.** მაშინ ხომ არ იყო სისულელე, ბიძაჩემო,  
ოცდა-ხუთ მანათს ერთს საღილზე რომ ხარ-  
ჯავდი?

**ლუკა.** ღვინით გაუღენთილს რაღა მეყურებოდა? მე ქეი-  
ფი მინდოდა და ასე მეგონა, რომ ამ ქეიფს  
ბოლო არ ექნებოდა. ეჲ, ყველაფერს აქ ბო-  
ლო ამ ჩვენ ოხერ. წუთისოფელში,—ბეღნი-  
ერებასაც, უბედურებასაც.

**თამარი.** არა, ჩემო მაზლო, უბედურებას ბოლო არც  
ქონია და არც ექნება.

**დომენტი.** ექნება, ჩემო დედა, ექნება. ჩვენს უბედურე-  
ბასაც ექნება ბოლო.

**თამარი.** შენ ლმერთმა ბევრს მოგასწროს, შვილო, მარა  
მე კი ვერ მოვესწრები (შემთდის ამ დროს სა-  
ჩინთ).

**საჩინო.** დომენტი, სად დაიკარგე, შვილო, ამჟენხანს?  
რატომ არაფერი გვითხარი, თუ სხვაგან მი-  
ღიოთ?

**დომენტი.** არც მე მეგონა, თუ წევიდოდი, მარა ასე  
მოხდა. დეპოში ალაგს იყვენ შეპირებული და  
იქ ვიყავი.

**საჩინო.** ლუკია, სამ მანათს ვერ გეიმეტებ დოხტურის-  
თვინ? ძალიან კაი დოხტურია და სხვა დროს  
ვერ იშონი.

**ლუკა.** მერე სად არი? არც აგრე ხელუარიელი ვარ.  
თუ ხეირიანი არის რამე. რავარ ვერ გევი-  
მეტებ?

**საჩინო.** რა ვიცი, ქვეყანა იმას აქებს, ამისთანა არისო.  
თედორეს მოუყვანია, რძალი ყავს ძეობაზე  
ავად და მე იქედან ამოვიჭერი. თუ გინდა  
ამოვიყვან, მარა, ტყუვილა არ ამოვა, სამი მა-  
ნათი მაინც უნდა პრაგონი.

**ლუკა.** თუ მიშველის რასმე, მეტსაც მივცემ (საჩინთ  
გადას).

**თამარი.** თედორეს სახლიდან ჩვენამდე სამი მანათი! სად  
არი სამართალი?

**დომენტი.** სად არი, დედაჩემო? სამართალი ეშმაკებმა

მოიპარეს, რამდენი ხანია. ახლა ის თურმე რუსაბ-  
ძელაზე ცხრა-კლიტულში ყავთ... ჩამწყვდეული.

**ნატია.** რუსაბძელს, მე ვიცი, სად არის. წავიდოდი, მი-  
ვეპარებოდი ტარტაროზს, მოვპარავდი კლიტეს  
და სამართალს გავანთავისუფლებდი. მაშინ  
აღარ იქნებოდა ქვეყანაზე მტრობა, შური,  
კაცის კვლა. ყველგან სამართლიანობა იქნე-  
ბოდა, ყველას ერთმანეთი ეყვარებოდა, ყვე-  
ლა ტკბილად იცნოვრებდა...

**ლუკა.** ეჭ, ხანდახან ზღაპარიც კარგია. შენმა ზღაპარ-  
მა ძილი მომგვარა (ახველებს, პედლისაქნ ბრუნ-  
დება და თავზე საბანს იხურავს. დომენტი აქვთ-  
იქით დადის, პედლებს და ჭერს აჩერდება და  
უსტვენს მასსელიოზას ხმას).

**დომენტი.** ეს ოხერი სიტყვები ვერ დავისწავლე ჯერ  
(განაკრძობს სტვენას). მართლა, ნატა, კინალამ  
არ დამავიწყდა. დღეს თუ ხვალ, მე უნდა წა-  
ვიდე და შენთან მოსალაპარაკებელი მაქ. მე  
რომ აქ ჩამოვედი, შენი ქორწილი გადაწყვე-  
ტილი იყო. მე დიდი წინააღმდეგობა არ გა-  
მიწევია და ახლა კი მიკვირს, ან შენ რათ  
გადაწყვიტე იმ ბებრის გაყოლა, ან მე რატომ  
არ ჩაგაფურთხე პირში.

**ნატია.** დომენტი, მე მართალს გეტყვი დედა. ჩემი და-  
სწეულდა, მამა დაბერდა და ალარაფერი შე-  
უძლია. კიდევ რომ შეეძლოს, საძრაობა არ-  
სიდან აქვს. განა შენ არ იცი, რა საშოვარია  
სოფელში? რამდენი ხანია, დედა. ჩემის აბა-  
ნოზე წაყვანა გვინდა, მარა ორიოდე მანათი

ვერ ჩავიგდეთ ხელში. სიღატაკიდან ხსნას მა-  
მაჩემი ჩემს გათხოვებაში ხეჯავს. მე ფიქრა-  
დაც არ მომსვლია ქერეჭაშვილს გავყოლოდი.  
მე და იმის შეუ რა არის საერთო? ის ბებე-  
რი, მე ახალგაზდა. მე სიყვარული მწყურია,  
მას კი ეს ცხოვრება მოუჭამია. შენ, იქნება,  
გგონია, რომ მე აზნაურის ცოლობა მენატ-  
რებოდეს: ლარიბი გლეხის ბიჭი ათასწილად  
მერჩევნებოდა უველა ქერეჭაშვილებს. სიღა-  
რიბის მე არ მეშინოდა და არც ახლა მეში-  
ნია. მე შენი იმედი მქონდა, ვფიქრობდი: აწი  
დომენტი დავაუკაცია და იმდენს კი შემოი-  
ტანს სახლში, რომ ჭადი არ მოგვშივდეს და  
ლვდელი და ხემწიფე გავისტუმროთ-მეთქი-  
მარა, შენ რომ მოხვედი და ოცდა-ხუთი მანა-  
თი მოიტანე მარტო, ეს იმედი სულ დამეკარ-  
გა. მაშინ მე დავინახე, რომ ჩემს დედ-მამას  
მარტო ჩემი გათხოვება იხსნილა. ეს ისე  
ჩქარა მოხდა ჩემს თავში, რომ მე არ ვიცი.  
იქნება, მე გლახათ ჩავიდინე, მარა რა ვქნა,,  
დომენტი, სხვა გზა არ იყო. არ იყო სხვა გზა  
და არც ახლა არი.

**დომენტი.** გლახათ ჩაიდინე თუ კარგად, ამას თავი და-  
ვანებოთ. შენ არ გიყვაჩის ის კაცი და თხოვ-  
დები მხოლოდ იმიტომ, რომ დედ-მამას და-  
ეხმარო. მე პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ  
დედ-მამას აწი შე დავეხმარები, შენ თვითონ  
შედი ჩემ მდგომარეობაში. მე რომ ქალაქში  
ჩამიყვანეს, პირველ ხანებში არაფერს არ გაძ-

ლევდენ, მერე ხუთი მანათი გამიჩინეს ერთ  
წლის შემდეგ. ხუთი მანათიდან ვიარე და  
თორმეტ მანათს მივაღწიე, როგორც იქნა.  
თორმეტი მანათიდან რა უნდა გადამერჩინა?  
აწი-კი ოცდა ხუთი მანათი და მეტიც მექნება,  
იმდენი მაინც გადამრჩება, რომ უბრალო ტა-  
ნისამოსი და მჭადი არ შემოგაკლდეთ. ამი-  
ტომ იმ ქერეჭაშვილს დღესვე უარი უნდა შე-  
უთვალო.

**ნატია.** ეგ შეუძლებელია, საჭმე უკვე გათავებულია;  
დაურწყების წინა დღეს დასანიშნავად მოვ-  
ლიან.

**დომენტი.** რა არის აქ შეუძლებელი? ცოლქმრობა ნე-  
ბა-ყოფლობაა. საყდარშიც რომ იდგეთ, იქაც  
შეგიძლია ღვდელს უთხრა, არ მსურსო, და  
გათვდა. დაურწყებამდე კი სამი კვირეა.

**ნატია.** კი მარა ეს რანაირად შეიძლება? მთელმა ქვეყა-  
ნამ იცის... (გაიღება ამ დროს კარები და შემთ-  
ლის საჩინო).

**საჩინო.** მობრძანდით, ბატონო, ბობრძანდით. (შემოდის  
ახალგაზდა ქქიმი და თან შემოუვება რამდენიმე  
გლეხი, საჩინო აღვიძებს ლუკას, რომელიც ხვე-  
ლებით აქეთ გადმობრუნდება და გვნესას იწყებს).

**ექიმი.** აქ მთელი ლაზარეთი გქონიათ.

**საჩინო.** ეს ცოლი გახლავთ ჩემი და ეს ძმა.

**ექიმი.** (ლუკას) თქვენი სახელი?

**საჩინო** და ლუკა. (ერთად) ლუკია, ბატონო!

**ექიმი.** რა გაწუხებს, ლუკია?

**ლუკა.** ბუასილი მკლავს, ჩემო ბატონო!

ექიმი. რანაირად გაწუხებს, აბა მომიყევი?

ლუკა. კიბის სწორა დამიწყებს ხვარხვარს, ბატონო, მერე გულ, ბოყვში მეტაკება, იქიდან თავში ამივარდება, როცა გულზე ამომაშვება, ხველება მახრჩობს და, როცა ძირს გასწევს, მაშინ მუცელი მიგრიალებს და გულზე დამიშვებს პატარას. როცა...

ექიმი. დიდი ხანია, ავათ ხარ?

ლუკა. აგერ ორმოცდა რვა წლის კაცი მოვიყარე და სურდო რა არის, ის არ ვიცოდი, და ეს ექვსი თვეა, ასე ვიტანჯები. (ექიმი შიგა, ტანისამოსის გაუწევს და სისჯავს გულს, ჟემდეგ წამთაჯენს, ზურგს უსინჯავს, მაჯას, ენას, თვალებს).

ექიმი. ძალიან კარგი... დაწეჭი ისევ! (ჟემდეგ თამართან მიერ) თქვენ რაღა დაგემართათ?

თამარი. მე, ჩემო ბატონო, ქარებით ვარ დახუთული, დაგიხუთდა ასე მტერი და დამაწყევარი. სამი წელიწადია, ჭმ გაჭირებაში ვარ. პირველად ჯოხით მაინც გევივლიდი, ახლა ლოგინზედაც ვეღარ ვინძრევი. ტანში ხურვლათ დამიარება, გენაცვალე, მუცელში მიყვირის, გულზე მკბენს, თავში რეტს მისხამს, ძვლებში, რავარც ძალი, ასე მწეწავს. ხან გვერდში მომაფრინდება, ხან თეძოში, ხან კვირისტავში, ხან კოჭებში. ერთი სიტყვით, დარბის, ბატონო, მთელ ტანში დარბის და ჩემს უცოდვესი ძალის არ არის. შემიბრალეთ. ღმერთი შენს ცოლშვილს შეიბრალებს, თუ რამე გაგეწყობოდეს. თუ არ ვიყო მოსარჩენი, იმასაც ნუ დამიმალავთ. საწყა-

ლი ქალი ვარ და ქე მაინც აღარ დავიხარჯები. მე კი არა, ხელმწიფები კვდებიან და ჩემი სიკვდილით რა იქნება! (ექიმი სინჯავს ხას კლავს, ხას ფეხს, ხას თექუბს და სინჯვის დროს თამარი სულ „ვაი-ვაის“ იძახის. შემდეგ ექიმი გულს უსინჯავს და მერე წამოვა აქეთ, სკაშზე ჩამოჯდება და ფიქრობს. გლეხები გარს შემოუხვევიან. ნატია დუკასთ ნ მიყა და კლაპარაკება).

**საჩინო.** (დაბადის კილოთი) რავა ატყობ, ბატონო, ჩემ ძმას?

**ერთი გლეხი.** ჩემის ფიქრით ბუასილი უნდა ქონდეს მაგას, არა, ბატონო?

**მეორე გლეხი.** მარტო ბუასილის ბრალი არ უნდა იყოს, — ქარ-საყმარწვილოც უნდა ანჯავრიდეს მაგას, თუ არა ბატონ ექიმს უკეთ მოეხსენება.

**ექიმი.** მაგის ავადმყოფობა არც ბუასილია, არც რაღაც ქარ-საყმარწვილო, ჩემო კარგებო, არამედ სულ სხვაა, სამწუხაროდ.

**საჩინო.** რაა, ბატონო?

**ექიმი.** მაგას ფილტვები აქვს დაზარალებული, — ჭლექი ჭირს!

**საჩინო.** (უნებურად და გაოცებული) ჭლექი ჭირს?! (იქით გაბრუნდება და შუბლებე ხელს შემოიდებს).

**პირველი გლეხი.** როგორც შევხედე, მაშინათვე ვიფიქრე, ფილტვის ხველა არის ნამდვილად-მეთქი.

**მეორე გლეხი.** აგრე რომ ადამიანს ხველებას დააწყებიებს, კაი ამბავი არ არის (ექიმი ქალადდს აშთიდებს უბიდან, შემდეგ კარანდაშს და წერს ორ

რეცეპტს. ამასთაში საჩინო ისევ ექიმს მოუბრუნდება).

**საჩინო.** ჭლექი ჭირს? მაშ ხომ დევილუპე ცოლშვილით? ხომ ამოვწყდი და გადავშენდი ჭირიანად?

**ექიმი.** მაგას მოსარჩენი პირი აღარა აქვს, —ძალიან აქვს სენი მორეული. / ითოლოდ ნახველს უფროთხილ-დღი, ტაშტი დაუდგით წყლით, რომ შიგ ახ-ველოს და შემდეგ შორს საღმერ გადააქციეთ ხოლმე, ან არა და, უკეთოსია, ცეცხლში და-წვით ხოლმე. ოცცა გადაიცვლება, ქვეშაგები და ტანისაშოსი დაწვით. თუ ასე ღზამთ, არავის არა იაგემართებათ-რა. ექიმი ადგება, ლუკასთან რიგა და ეუბნება); ნუ გეშინია, გლახა არაფერი არა გჭირს, საჭმელს დაეძალე, წამლები იხმა-რე, არაფერი გიშავს, გამობრუნდები (შემდეგ თამარისკენ მიდის).

**ლუკა.** მაინც რამდენ ხანში მოვრჩები, ბატონო?

**ექიმი.** ეგ ვინ იცის? (თამარს) შენ ამ წამლებს გამოიტან, დააზელინებ ძალიან. თეძოებს დილა-საღამოს, მარაუსათუოდ აბანოზე უნდა წახვიდე. ერთ თვეს თუ არა, ოჯ კვირეს მაინც უნდა დარჩე (ართმევს ხელს გველას და მიდის გარებისგენ. სა-ჩინო გაშტერებული დგას. გლეხებში ისმის: „ვუ-ლი საჩინო, დოხტერს ფულიო“).

**საჩინო.** დომენტი შვილო, ლუკას სამი მანათი გამო-ართვი და დოხტერს მიეცი (ლუკა საჩქართდ იღებს პორტმანს, აძლევს დომენტის ფულს, ისიც მინბის გარედ. რამდენსამე ხანს სიჩუმეა. ლუ-კა და ნატია ერთმანეთს ეჭაპარაკებდან. საჩინო

ჩაფიქრებული) ჭლექი! ჭლექი! ჩემს ღარიბ ქოხს  
ესლა აკლდა და ესეც მოემატა! (გადახედავს დუ-  
კას ბრაზიანი თვალებით). ამდენ ხანს გარედ  
ეთრია, იწანწალა, რაც ფული იშონა, ლვინო-  
ში ჩალია. მე კი აქ შიმშილითა ვკვდებოდი და  
ორი კაპერკი არ გამოუგზანია არც ერთხელ  
ჩემთვინ. ახლა, როცა თავისი ცოდვებისათვის  
ლმერთმა დასაჯა, აქ ჩამომიბრძანდა, მარა მე  
რაღა შუაში ვარ? მე რა დავაშავე, რომ მთე-  
ლი ოჯახი უნდა წამებილწოს, ცოლშვილიანა  
უნდა ამოვწყდე? ეს რომ ტოტომ შეიტყოს,  
ხომ მიმიტოვა ქალი! თავი ცალკე მომეჭრა,  
ქალი ცალკე გამიუბედურდა (ფიქრობს). არა,  
ასე არ იქნება. ჰო, ჰო, თალზანს შევეხვეწები,  
რასაც მთხოვს, მივცემ... მარა ამათ რა ვუყო...  
აბანოზე გავისტუმრებ. ამ კვირეში როსაფას მი-  
ყავს ცოლი აბანოზე და იმათ გავაყოლებ. ასე  
ვიზამ. (ადგება გადახედავს დუკას და გრძელ მიუ-  
დის ჩეკა).

ვ ა რ დ ა.

## მოქმედება მეზუთე

ს ფ რ ა თ ი პ ი რ ვ ვ ლ ი.

(სცენა წარმოადგენს იმავე საჯალაბოს. მარტო ლუკაა ლოგინში..  
წინდები აცვია, შალვარი და პერანგი):

**ლუკა.** დაცალიერდა სახლი, ერთ თვეში თუ იმდენად  
ვერ მოვიკეთე, რომ აქედან წასვლა შევძელი,  
მარტო ჯავრი, მომკლავს. ერთი თვეა, რაც აქ  
ვარ, და, ეს-ეს არის, თავი მომშეზრდა. პატა-  
რათი ი ნატია მაყოლიებდა ხოლმე გულს; ახ-  
ლა მთლად შემეხუთა სული. იმანაც უნდა  
თქვას, მეც ქვეყანაზე ვცხოვრობო, ვინც მუ-  
დამ ამისთანა ჭოხში ატარებს თავის სიცო-  
ცხლეს! საწყლები, ლობიოთი გაძლომაც არ  
ეღირსებათ ყოველ დღეს! (ჰაუზა) უჟ, ციხეა,  
ნამდვილი ციხე! მზის სინათლესაც კი ეზარება  
აქეთ შამოხედვა. ის სულელები—ციხეში რომ  
ატუსალებენ არესტანტებს, აი აქ უნდა გამო-  
გზანონ ხოლმე... ჰმ, ქალაქი! ქალაქში ვის  
რა უჭირს? შემარცხვინოს ღმერთმა, თუ აქა-  
ურ მდიდარს იქაური დღიური მუშა არა ჯო-  
ბდეს! შენი სიმდიდრე რაში მინდა, როცა არა-  
ფერი არ იშოვება? დეილოცა ისევ ქალაქი!  
იქ პირველი სორტის ჩალალაჯი რვა კაპეიკად  
წაიღე, რამდენიც გინდა; ერთი ბაზარში რო გა-  
ხვიდე, უველს „მობძანდი, მობძანდის“ გიძახის...  
აქ კი რვა მანათიც რომ მბცე, როცა გინდა,

ხორცს ვერ იშონი, — ათასში ერთხელ თუ დაკ-  
კლამს ვინმე ავადმყოფ ხარს. ეეჭ, ღმერთმა და-  
სწყევლოს სოფელი! როდის მოვჯობინდე ერთი,  
რომ მოვშორდე აქაურობას. მარა რაც დრო  
გადის, თანდათან ვსუსტდები, მალე მაინც მო-  
ვიდენ აბანოდან. რაღა ჩემს აქ ყოფნაში მო-  
უნდათ იმათაც აბანო? (გადაბრუნდება, ახველებს  
და შერე იძინებს. შამოდის საჩინო, დახედავს ძმას,  
შემდეგ სპაზე ჩამოჯდება, ფიქრს მისცემს თავს).

**სამინო.** მამას არ ჭირვებია ჩვენსას, პაპას და პაპის პა-  
პას, ახლა რა უბედურება დატრიალდა ჩვენს  
თავზე? ეჭ, გლეხკაცს რო ფეხი გაღუბრუნდე-  
ბა, მერე ყველა უბედურება ერთათ დაატყდე-  
ბა თავს. აგერ, ოცდა ხუთი წელიწადია, გარეთ  
არი და კაპეიკი არ შემოუტანია სახში! მაგის-  
მუცელს რა გადურჩებოდა! ახლა კი ჭლექი  
ჩამომიტანა სახში, რომ ცოლ-შვილიანა  
ამომაგდოს, (შაუზა) უნდა მოვაკვდინო, უთუ-  
ოთ უნდა მოვაკვდინო, მარა ცოდვა?.. ცოდვას-  
რა ვუყო? ოოჭ, გლეხ-კაცის გაჩენას კი რა  
ვუთხრა! მარა რა ცოდვაა?! თალხანმა აკი თქვა,  
კარაბადინში ჭლექიანის მოკვდინება ცოდვათ  
არ წერიაო? ის უფრო საცოდაობა არ იქნება,  
რომ ცოლ-შვილიანა ამოვწყდე, დასამარხავათაც  
აღარავინ მოგვეკაროს? ტოტომ რომ გეიგოს,  
რომ ჭლექიანი ძმა სახლში მიწევს, ხომ მიმი-  
ტოვა ქალი, მომექრა თავი, გამებახა და და-  
მელუბა შვილი? ამის სიცოცხლეს სიკვდილი  
ათასწილად ჯობია; უნდა იწვალოს, იჯახიროს.

და მოკვდეს... მარა იმ ჩემი ცოდვით სამსეს  
რა ვუყო, რომ სამ თუმან ნაკლებ არ შერება? ისიც წინდაწინ უნდა მომცეო; საღიღან ვუშო-  
ნო სამი თუმანი? (სახე-გაშლილი წამოდგება  
უცებ) ააჲ! მოღი ვნახავ, სამი თუმანი როგორ  
არ ჩამოყვებოდა ქალაქიღან? (ფეხაკრეფით მი-  
გა ლუკიას ლოგინთან, ჯერ საბანს აწევს, შემდებ  
აქეთ-იქით დაუწეუბს ჯიბებს ქებნას, მერე ლუკას  
თავქვეშ ახალუხს დაინახავს, გამოწევს ნელ-ნელა.  
ლუკა ამ დროს შეინძლევა. საბანს თავს ანებებს და  
სულს განაბავს. ლუკა დაწენარდება და საჩინო ისევ  
გამოწევს ახალუხს, უნახევს ჯიბებს, ამთაღებს  
პორტმანს. ლუკა ისევ შეინძლევა. საჩინო ჩქარა  
გამოტრიალდება. ლუკა გამოილგიძებს).

**ლუკა.** (შემკრთალი) ჰა, ვინ ხარ აქ? (გადმობრუნდება აქეთ.

სააჩინო პორტმანს სწრაფათ უბეში შეინახავს)

**საჩინო.** არავინ, მე ვარ (დიმილით) რამ შეგაშინა, შე  
კაცო, ვინ გეგონა, ჰა? ჩემს მეტი ვინ იქნებოდა!?

**ლუკა.** არა, მე ისე მომეჩვენა, თითქო ვიღაც მაღვი-  
ძებდა. (ლუკა მოკრავს თვალს გადმოწეულ ახა-  
ლუხს და მაშინათვე ჯიბებს უწეუბს სინჯვას. სა-  
ჩინო რომ. ამას დაინახავს, წაილაპარავებს)

**საჩინო.** მე ცოტა საქმე მაქ დუქანში და ახლავე მოვალ.  
(გადის)

**ლუკა.** (დაუწეუბს გათცებული მუთაქის ჭეშ ქებნას, საბან  
ქეშ, ანგრევს ბალიშებს, ექებს ლოგინში) აღარ  
არის! (ხმამაღლა) პორტმანი აღარ არის, რა-  
ვქნა? იმან მომპარა? ის იყო ნამდვილათ, უბე-  
ში რომ იმალავდა. (წამოკვარდება სწრაფათ და

ბარბაცით მიაშურებს კარებს (უვირილით) იმან მომ-  
პარა, იმან მომპარა! (კარებში წაიქცევა, წამო-  
ღება, გარბის გარეთ. რამოდენსამე ხანს სცენა ცა-  
ლიერია. შემდეგ შემოდის „სბორჩიკი“, მიიხედ-  
მოიხედავს სახლში, „ჭმს“ ძახილით თავს გააქნევს  
და შეაგულ თხახში გაჩერდება)

**სბორჩიკი.** რა უნდა ლქნას აღამიანმა ამისანა ოხრებს? ეს მეოთხეთ მოვდივარ დრამის ფულზე? აქნამ-  
დი მპირდებოდენ დღეისთვინ, მაშინ მოგცემ-  
თო, ახლა სულ გაღამალულან საცხა, (კო-  
ლოფ ამილებს და პაპიროზის აეთებს... მოუკი-  
დებს პაპიროზის და სწევს რამოდენსამე ხანს). . .  
ჩორთიოზნაი! როდემდო უნდა ვუცალო მე  
ამათ? (ადგება, აანგრევს ქვეშაგებს, სკივრს, ფულს  
ეძებს, მარა ვერაფერს ნახავს. გულ-მასული სკივრს  
ფეხს ქრავს და გადააგდებს). ერთი დენიშვა მა-  
ინც ეგლოს ამ ოხერში! ჯანაბას ამათი თავი.  
წავალ და მამასახლისს ვეტყვი, რომ ეს მეო-  
რეთ მატყუებენ, — რაც უნდა, ის უქნას. (გა-  
დის. რამდენსამე ხანს სცენა ცალიერია. შემდეგ  
შემოდის საჩინო და ლუკა, საჩინო მოიყვანს ლუ-  
კას ლოგინზე და დაწვენს)

**საჩინო.** შე კაი, კაცო, ის რავა გეივლე გულში, რომ  
ფულს მოგპარამდი?

**ლუკა.** კაია კაი, ნულარაფერს ამბობ მაინც! სხვას რომ  
ექნა, შენ უნდა დაგეთარე და შენ კი (ხელა-  
და ტირილი აფუარდება) წავალ აქედან! თუ მოგ-  
ბეზრდი, მითხარი, შე კაი კაცო, პირდაპირ და

წავალ... ავათმყოფი რა საყვარელია? მე ახლა  
ვის არ მოვძულდები!

**საჩინო.** რათ უნდა მომძულებოდე, ან რა უნდა მოვი-  
მატო შენთვინ? რაც მექნება, შენც ჭამ და  
მეც. მშიერი, შენ რომ აქ არ იყო, ჩვენც ვერ  
დავდგებით და შენთვინ მე რას შევიმატებ.  
დუქანში მივდიოდი და დევინახე, რო შენი  
ახალუხი გადმოწეულიყო, ჯიბე ჩანდა; ვიფი-  
ქრე, ვაი თუ შამოვიდეს ვინმე და გაქურდოს  
ეს კაცი-თქო, და ამოვიდე პორტმანი, რო  
შემენახა.

**ლუკა.** თუ არავის გადმოეწია, ჩემი ახალუხი თავი აღა-  
გას იყო. კარგი, მაღლობელი ვარ (წება და  
საბანს იხურავს).

**საჩინო.** (ცოტა უფეხანის შემდეგ) ლუკა, შენც იცი, რომ  
ამ ცოტა ხანში ქალს ვათხოვებ. ქორწილზე,  
რაც უნდა იყოს, ხარჯია, და ამისანა დროს  
ურია გამიმართავდა ხელს. სამი თუმანი ფული  
მასესხე და მალე გადაგიხდი, შვილები ნუ და-  
მეხოცება.

**ლუკა.** სამი თუმანი კი არა, ათი თუმანი სულაც რომ  
გაჩქურ ქალიშვილის გათხოვებაზე, რა დიდი  
ცოდვა იქნება. მარა ჩემი საქმე სხვა ნაირათ  
არი. ექვსი თვეა, ავათ ვარ. რაც რამ მე-  
ბადა ყოველიფერი დავხარჯე და ვერას გავხ-  
დი, — არც მოვრჩი, არც მოვკვდი. თუ არა, სი-  
კვდილს კი არ ვწესვარ. ამ რვა თუმნის ამარა  
ვარ ახლა, — ეს არის და მე. შენ თვითონ თქვი

სვინდისს ქვეშ, ჩემ დღეში მყოფ კაცს აქ გა-  
სასესხებელი ფული?

**საჩინო.** (ფიქრის შემდეგ) არა, მალე გადაგიხდიდი, თვარე  
შენ იცი. (სიჩუმეა; საჩინო განუშებული ზის,  
შემდეგ ადგება ზეზე და გარეთ გავა. ლუპა მიი-  
ხდ-მოიხდავს. შემდეგ წამოჯდება ლოგინში).

**ლუკა.** ახალუხი გადმოწეული იყოვო! რა გადმოწევდა,  
რომ თვითონ არ გადმოეწია! თუნდაც ასე ყო-  
ფილიყო, რადას დამალა უბეში პორტმანი და  
გავარდა გარეთ? ეჭ, სილარიბეში ყველაფერს  
ჩაიდენს აღამიანი. სად წავიდე, სად? წასასვლე-  
ლი გზა რომ მაინც მქონდეს სადმე, აქ რავა-  
ლა გავჩერდები! ყველის შევძულდი, პირში  
შამომჩერებიან, რამხელა ლუკმას იდებსო. ან  
კი რა ქნან, — განა გასამტყუნარი კი არიან?!  
თვითონ ლუკმა არა აქვთ და ზედმეტი მჭამე-  
ლი მე მოვემატე კიდე (ჰაუზა). მივცემდი, მად-  
ლია, მარა საიდან დამიბრუნებს თავის დროზე?..  
არა, ახლა მე გასავალებელი ფული არა მაქ!...  
მადლი, მადლი! მადლს რა უნდა ქვეყანაზე?  
სულ ტყუილია ყველაფერი. (ჰაუზა). კაცს რო-  
გორ არ წაეძინება? ყოველთვინ რითი გაუფ-  
თხილდები თავს? (იხედება აქეთ-იქეთ) სად დავ-  
მალო, რომ არ ვიცი!... კაი აზრია! იქ ვერ  
მიმიგნებენ (ლუპა წინდაში იდებს პორტმანს). ახ-  
ლა კაი ალაგას არის. ძალიანაც რომ მეტინოს,  
მაინც ვერ მიაგნებენ? ვინ იფიქრებს თუ ფეხ-  
ში ფული მაქ? უჭ, დავილალე! გაჭირება მი-  
ჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამია? არ

მეგონა, თუ ასე გავიქცეოდი. ძალიან კი და-  
ვიღალე (წვება და იძინებს. რამდენისამე ხნის შემ-  
დეგ გამოაღებს საჩინო ნელა კარებს, დადგება შიგ-  
გამოწევს კისერს და რაშოდენიმე ხანს უურს უგ-  
დებს, შემდეგ ფეხ-აკრეფით შამოვა და უკან შემო-  
უგება თალხანი, შეუსნის კაცი, აფაზაკური სახით  
დადგებიან კერასთან)

**საჩინო.** (დაბალის ხმით) ახლა კი დროა, აბა!

**თალხანი.** ფული ჩამითვალე.

**საჩინო.** შე კაი კაცო, ფული ზედ ჯიბეზე აქ, ხომ არ-  
საღ გაიქცევა?

**თალხანი.** (ცოტა ამაღლებული კალთი) ეჭ, შე მამაცხო-  
ნებულო.

**საჩინო.** (გააწევეტინებს) ჩუმათ, არ დამღუპო,  
გეიღვი-  
ძებს.

**თალხანი.** რალას იტყუები შენც ერთი? ქალამნის ფასს  
დაგჯერდი და ამაზედაც ჭინჭულობ? (შიდის  
კარებისაკენ)

**საჩინო.** (წინ გადაედობება და ეხვეწება) რას მიშვრები,  
კაცო, ლმერთი ალარა გწამს? ზიარებას გეფი-  
ცები, რვა თუმანი ფული ჯიბეზე აქ, ჩემის  
თვალით ვნახე, რვა სახარება გამიწყრეს, თუ  
გატყუებდე.

**თალხანი.** (შედგება და ჩაფიქტდება) მაშინ ნახევარი ჩემი  
იყოს.

**საჩინო.** ოლონ ნუ დამღუპავ, ნუ ჩამიყრი ცოლ-შვილს  
წყალში და აგრე იყოს. მაგის ნაოხარი მე  
რათ მინდა, ოლონ თავი დაიმარხოს.

**თალხანი.** (შირზე თითს მიიღებს და ლუკას მიუხსლოვდება, შემდეგ საჩინთსთან შევა, უბიდან პატარა პარკს ამთაღებს, ორმედსაც თავში სხვილი ბაწარი აქვს წაურილი უელზე შამთსაჭერად) მე და შენ ერთად უნდა მივიღეთ, შენ ქვეით დაღვები და მე თავთან. როცა განიშნებ, შენ ფეხებზე უნდა დააჯდე და ხელები გაუკავო. მე კიდევ პარკს ჩამოვაცმევ თავზე (საჩინთ და თალხანი ერთად მიღიან, თალხანი თავთან დგება, საჩინთ ქვეით. ამ დროს ლუკას ხველება აუვარდება. თალხანი აჩიშნებს საჩინთს. ისიც გადააჭდება ფეხებზე, ლუკა იუვირებს ტკივილით, ხელებს გააქვევს და წამთიწევა; საჩინთ ხელებში სტაცებს ხელს, თალხანი კი პარკს აცემს თავზე. ლუკა ცალ ხელს გაინთავისუფლებს და პარკის თოპს ეწევა უელთან).  
**ლუკა.** (საჩინთ რომ ხელს ტაცებს ხელში) მიშველეთ! გასესხებ, ნუ მომკლავთ, ღვთის გულისთვის, ნუ მომკლავთ, მიშველეთ. ხ, ხ, ხ, ხ, (ხროტის სიბს, იბრძეის და თანდათან წყნარდება... თალხანი არხეინად წამთდება და გულზე უურს ადებს).

**თალხანი.** გათავდა (შირჯვარს გადაისახავს და მაღლა აიხედავს) აბა, ფული ამოართვი... რას გაშტერებულხარ, არ გეყურება?

**საჩინთ.** (გაშტერებული გადმოვა, შებლზე ხელს ისვამს). მოკვდა! გათავდა!

**თალხანი.** ფული, ფული! აქ ხომ არ ვიქნები მთელი ღლე?

**საჩინთ.** ჯიბეში ექნება და ამოიღე (თალხანი უძებს ჯი-

ბევებში, მარა გერაფერს შოულობს, უბევებში, თავ-  
ქედში).

**თალხანი.** (გაგულისებული). აქ არაფერი არ არი. ახლა  
ვე ჩამაბარე ფული, თვარა ასე აღვილათ არ  
შეგარჩენ ჩემს მოტყუებას,—კიმბირში ამოგა-  
ყოფინებ თავს, კინბირში!

**საჩინო.** (თითქმ გთნს მოვიდა) რისთვის ამომაყოფინებ  
კიმბირში, კაცო, თავს? დაძებნე და ნახავ  
(მიგა თითონ და უნდა მოქებნას, მარა შეესება თუ  
არა მიცვალებულს, მაშინათვე უკან გაბრუნდება).

**თალხანი.** დაძებნე, დაძებნე! თუ ჯიბეებში აქ, არსად  
გაიქცეოდა. ჰაი, ჰაი! ის ბიჭები არ გეგონო,  
შენ რომ გაგიცურებია. ისე გაგაცურებ, რომ  
თქვა, ეს რა დამემართაო.

**საჩინო.** (გულ-მოსული) რას იმუქრები? თუ მაგის ჯი-  
ბეებში ფული არ არის, შენ ამოგილია, აბა,  
ვინ ამოილებდა სხვა?

**თალხანი.** (კბილებს აკრაჭუნებს, უნდა ეცეს უეჭში საჩინოს,  
მარა თავს შეიგაფებს და მოშებალის ხმით). ჩემო  
ძმაო, მოდი და გამჩხრიკე, თუ რამე დაგიმა-  
ლე. ღმერთი, რჯული, მაგას ჯიბეებში არა-  
ფერი ჰქონია.

**საჩინო.** მა სა ეშმაკში გადამალა? მოდი, აბა ერთად დავ-  
ძებნოთ. (მიდიან, ძებნიან, თალხანი საბანის სულ  
გადაგდებს, ლეიბზე კაებს, ბოლოს ფეხებისაკენ  
ჩაჟვება, ნახავს პორტმანს და გამოიღებს).

**თალხანი.** დახე?, სად დაუმალავს? (გახსნის; ამთაღებს  
თთხ თუმანს და დანარჩენს საჩინოს აძლევს) შენი  
სიტყვით, აქ რვა თუმანი უნდა იყოს, ჩემი

ოთხი თუმანი ამოვილე და დანარჩენი შენია. მშვიდობით! (მიდის კარგბისტენ, იქიდან გამობრუნდება, ჰარკს მთაცლის ლუპას გვამს და წაიღებს; საჩინო რამდენიმე ხასი ჩაფიქრებული დგას. შემდეგ მივა და ლუპას დააწერდება, წამოვა, დაინიჭებს და დმერთს ევედრება).

**საჩინო.** ღმერთო მაღალო, ნუ მიმითვლი ცოდვათ,— მაგისთვის სიკვდილი მაღლი იყო. სასუფეველი დაუმკვიდრე მაგას და ჩემ ცალ-შეილს ნუ გაურისხდე.... (ამ დროს ქუხილი გაისმის, საჩინო შეკრთება, წამოვარდება, გაიხედავს ლუპასკენ და გაშტერებული გარედ გავარდება).

ფ ა რ დ, ა.

## სურათი მეორე.

(იგივე სახლი. თამარი ლოგინზე წამომჯდარია, ბალიშებზე მაღლაა. მიყუდებული. ნატიას. ჭრაქი უდგია და კაბის რუშს იკერებს ტან-ზე. შავები აცვა).

**თამარი.** რას იკეთებ, შვილო?

**ნატია.** აბორქა გამერლვა; დღე ვეღარ შოვიცალე და ახ-ლა დავიკერებ ბარემ-ლა (ჰაუზა).

**თამარი.** ეჭ, ტყუილი იყო ჩემი აბანოზე წასვლა! არა-ფერი არ მიშველა.

**ნატია.** (თავისთვის) ღმერთმა ნეტავი ვუარესი რისხვა არ მოგვაყენოს ზა...

**თამარი.** (გააწყვეტინებს) რას ამბობ, შვილო?

**ნატია.** არაფერს,—ისე ჩემთვის წავილაპარაკე.

**თამარი.** ცოტა ვითამ, ვითამ და—ბევრი არაფერი. წელში და თეძოებში რო მტეხდა და მწიწვნიდა, ისე ალარ მწიწვნის (ამ დროს კარები გაიღება, დო-მენტი შამოვა ჰატარა ბოსჩიო).

**დომენტი.** რასა იქთ, როგორა ხართ?

**ნატია.** (წამოხტება) ვუი, დომენტი, შენ ხარ? (კოცნის).

**თამარი.** შენ გენაცვალა, შვილო, დედა შენი, რომ ასე მალ-მალე დაგვხედამ ხოლმე, ჩემო ბიჭო (ხელს გაუშვერს, დომენტი მივა და აკოცებს)...

**თამარი.** შენი დაია ჯორზე შეჯდა და გათავებული სა-ქმე ჩაშალა. თავის გონზე ალარ არის; ხა-დახან მისთანას იტყვის, რომ მეშინია, არ გა-დირიოს.

**დომენტი.** გეტუობა, შენც ძალიან გწვავს გულს, დედა-  
ჩემო, რომ ტოტო ქერეჭაშვილი ჩვენი სიძე  
არ იქნება. ერთი ეს მითხარი, რა გვაქვს ჩვენ  
მასთან სამოყვრო? რა არის ჩვენ შორის საერთო?  
დღეს თუ ხვალ, აქ მთელი გლეხობა უნდა გა-  
ვიფიცოთ... დღეს ქერეჭაშვილებს ლაქიობის მე-  
ტი არაფერი არ შეუძლიათ, და ჩვენ კი ამის-  
თანა პირის დამოყვრებას უნდა ვნატრობდეთ!  
ეჭ, დედაჩემო, თვალი გაახილეთ, თვალი, და  
დაინახეთ, რა დროში ვცხოვრობთ! ქვეყანა  
გახარებულია, იქნება გვეშველოსო, და თქვენ  
იმასა სწუხართ, რად დავკარგედ ქერეჭაშვილიო  
(ადგება, ბოსჩის მოკიდებს ხელს და წახლას და-  
აჰირებს). ამაღამ მე ნუ მელოდებით.

**ნატია.** სად მიხვალ ამ დროს, დომენტი?

**დომენტი.** (შიდის) ილიკოსთან მივალ, საქმე მაქ და ბარებ  
იქ დავრჩები ამაღამ; ხვალ ისევ ამოვალ, — ამ-  
კვირია თავისუფალი ვარ მანც (შიდის)...

**თამარი.** ღმერთო მაღალო, ღმერთო, თუ ზარ საღმე,  
შენ შემიბრალე, შენ ნუ გასწირავ ჩემს ორ  
შვილს, შენ აარიდე მაცდურსა და ბოროტ სა-  
ქმეს (ჩაფიქრდება, ცრემლები მოერევა თვალებზე  
და იწმენდავს. საჩინო შემოდის ჩქარა, აშლილის  
სახით, მიკერავს კარებს მაგრად. განერდება, კა-  
რების ჭუჭრუტანაში იუგრება, შემდეგ წამოვა გე-  
რასკენ ხვენეშით და ოფლს იწმენდს).

**თამარი.** (გაოცებული) რა დაგემართა, აღამიანო, რამ  
აგაქლოშინა ასე?

**საჩინო.** უკან მომდევდენ, ჩემი მოკვლა უნ ჯოდათ, მა-

გრამ გაშოვასწარი, ველარ დამეტიენ. (ამაღლებული ხმით) ის ლაპრები, ის მშიშარები! უარალო კაცს გზაში ჩამესაფრენ! ერთმა კიდევა მესროლა.

**თამარი.** რას ამბობ, ხომ არაფერი მოგჩვენებია?

**საჩინო.** კი არ მომჩვენებია, ჩემის თვალით ვნახე,— ჩემის თვალით ისე, როგორც მე ახლა შენ გხედავ... (გაჩერდება) შენ რაღას ბუტბუტებ, მიოხარი, შენ რაღას ფურჩულობ? ვის ელაპარაკები?

**თამარი.** რამ გადაგრია, აღამიანო, ვის ელაპარაკები?

**საჩინო.** (იხედება ლოგინჭებებს) არა, შენ ვიღაცას ელაპარაკები, აქ ვიღაც იმალება. შენც მე მღალატობ! არა გრცხვენია, ცოლ-ქმრობის მოღალატე! შენც, შენც, ოხმ... ახლა მე ყველაფერი ვიცი, მე ყველაფერს მივხვდი (დაფიქრებული ჩამოჯდება სკამზე). შენი საქმეა ეს ყოლიფერი, შენი და ნატიასი.

**თამარი.** (შირჯვარის წერით) ლმერთო, რა ემართება ამ კაცს?

**საჩინო.** (თავისთვის) ყველას მე ვეჯავრები, ყველას ვძულვარ. ცოლშვილიც კი მე მემტერება, ყველაზიზლით მიყურებს. მთელი სოფელი ამიბუნტდა. როცა გავივლი საღწე, ყველა პირს მარიდებს, ყველა ჩემკენ აფურთხებს; თითქო მე რაღაც ავაზაკი ვიყო. ჩემი სიკვდილიც კი უნდათ, მოსაკლავად დამდევენ; სად გადავვარდე, სად დავიმალო, ვის მივმართო? (ტირის) ვინ მიშველის? ყველა ჩემი მტერია! გუშინწინ, ეკკლესიაში რომ შევედი, ყველა მე შამომაჩერდა. ერთი-მეორეს ჩემზე უთითებდენ. დიაკონი.

დავითნს კითხულობდა და სულ მე მომჩერებოდა; ის სულ ჩემზე კითხულობდა. ავაზაქსა და ქურდს მეძახდა. ღვდელმა შეიხმო საკურთხეველში და ჩემზე ელაპარაკებოდა. მერჯ ღვდელმა სახარება გამოიტანა და პირდაპირ მე დამიძახა: წალი ჯოჯოხეთში და იქ აკრაჭუნე კბილებიო. (წამოხტება) აბა, ჯოჯოხეთი თქვენ დაიმსახურეთ, ჯოჯოხეთი თქვენთვის არის მომზადებული. (დაჯდება) ასე მგონია, თითქო წეს გულში ეშმაკები ჩადიოდენ და ამოდიოდენ. თვალშინ სულ მკვდრები მიღვია; ყველაფრის მეშინია, ფოთლისაც, ბალახისაც; მურკაც, ჩვენი მურკაც კი მე მიყეფს, თითქო მე... თითქოს მე... მე... (წამოხტება) მე ხომ კაინი არა ვარ?! ჰა, თამარ, მე ხომ კაინი არა ვარ?

**თამარი.** რამ გადაგრია, ადამიანო, კაინს რა გიგამს, კაინმა ძმა მოკლა და შენ...

**საჩინო.** (ყვირილით) მერე მე ვინ მოვკალი? აბა, მითხარი ვინ მოვკალი?

**თამარი.** (ჰირჯვარს იწერს) რა ემართება ამ კაცს, ლმერთო, გვიშველე!

**საჩინო.** (გადგება, თითქო ვისმე ელაშარაკებოდეს) აბა რა გინდათ ჩემგან? რაღ მემტერებით, რაღ მიძახით კაინს? მე ხომ კაინი არა ვარ? შამოგფიცავთ, წმინდა გიორგის ხატზე დაგიფიცებთ! შემიბრალეთ, მიშველეთ მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანი, მკლავენ, მიშველეთ, მიშველეთ! (შემოვა ამ დროს წატია გაოცებული).

**ნატია.** რა დაგემართა, მამა ჩემო, რა ამბავია? მისთანა

ყვირილი გამოდის გარედ, თითქო კაცია კლავენო.

**საჩინო.** კაცია რომ კლავენ, ის მერე ყვირის? გარეთაც ისმის მისი ყვირილი? მერე შენ... შენც გაიგონე? შენ სად იყავი მაშინ?

**ნატია.** არსად, მარიკასთან ვიყავი, პატარა საქმე მქონდა.

**საჩინო.** აბა, სტუურ (ჩახერდება თვალებში). შენ სხვაგან იყავი.

**ნატია.** მამა ჩემო, როდის აქეთ დაიწყე ამისთანა ეჭვები?

**საჩინო.** მას აქეთ, რაც თქვენ ყველამ შემიძლევთ; თქვენ ყველას გეჯავრებით, ყველას ჩემი სიკვდილი გინდათ. (ამ დროს კარებზე რაკუნი ისმის, საჩინო შეხტება).

**საჩინო.** (აქეთ-იქით ჩქარა დადის, თითქო) ექებს (ასმეო) მოვიდენ, თავს დაგვესხენ, ჩემი მოკვლა უნდათ; არა, არ მოგაკვლევინებთ თავს ასე. ადვილად, აღარც მე დაგზოგავთ (წამოავლებს ნაჯახს სეჭს და დადგება კარებთან).

**ნატია.** (კარებთან მიერა) ვინ ხარ მაღ? (კარებიდან ისმის: „დედამ შამოგითვალა, ჩემთ ნატია, ხვალ-დილაშიდინ ერთი ჭადი მასესხეთ“. ნატია კამობრუნდება, ჭადს ქებნის. მერე მიერა კარებთან) გამომცხვარი არა მაქ, თვარა რავა დაგიკავებ-თქო. (კამობრუნდება, მოკვიდებს საჩინოს სეჭს, კამოართშევს ნაჯახს და გადააგდებს) მამა, შენ დაღალული ხარ, დევიძინოთ ახლა და ხვალ ყველა კაი ქეიფზე ავდგებით. ღმერთი მოწყალეა. (საჩინო ახალუხს და ქალამნებს იხდის და შერანგისა და შალვრის ამარა წვება ძირს კაშლილ ფარდაგზე, ნაჯახს გვერ-

დით დაიღებს; ნატიაც მიწვება ფეხთით. უველა  
იძინებს. გარეთ ქარის სმა ისმის... ნელ-ნელა  
რიურაჟდება. საჩინო შესტება, წამოვდება ლოგინში,  
შერე წამოგარდება ზეზე; წამოავლებს ნაჯახს  
ნელს).

**საჩინო.** (ჭარში შისჩერებია) არ მომეკარო ახლოს, არ  
მომეკარო, თორემ აღარ დაგზოგავ, ნაჯახს  
შიგ შუბლში დაგარტყამ. ჩემგან რა გინდა?  
თავი დამანებე, გამშორდი, მე შენთვის არა-  
ფერი არ დამიშავებია. შენის წყალობით ქვე-  
ყანა მე გადამემტერა, ყველა პირში მაფურთ-  
ხებს, მოსაკლავად დამდევენ. (შემოტრიალდება  
ჩეკა და ნაჯახს გააქნევს) არ გესმის? დაგარტ-  
ყამ, აღარც მე დაგზოგავ? არ მომეკარო, ნუ  
შემომაკლავ თავს. (ტრიალის ამ სიტუაციაშე  
სახლში და ნაჯახს იქნევს, თითქო იგერებს ვის-  
მეო). შენი ცოდვა იყოს, მე თავს არ მოგა-  
კვლევინებ (იქნევს ცალ ნელსა და ნაჯახს, თითქო  
ურტკამს ვისმე, შემდეგ შედგება, ნაჯახი ნელი-  
დან გაუგარდება) მოვკალი! მოვკალი! (შუბლზე  
შამთიღებს თრივე ნელს. თანდათან თენდება,  
საჩინო ნელებს ჩამოუშვებს და აქეთ-იქით აშლი-  
ლი სახით იუურება რამდენსამე ხანს. დაბალის ხმით).  
მოვკალი, მოვკალი, მე მოვკალი! იუდას კერ-  
ძი გავხდი, კაენის ცოდვა ჩავიღინე? ზეზეუ-  
ლათ უნდა ვიტანჯო ახლა, ყველამ პირში უნ-  
და მაფურთხოს, სააქაოს და საიქაოს ეშმაკე-  
ბის ლუკმა უნდა გავხდე. (დაუცემა მუხლებზე  
ტრიალით) ღმერთო, შემიბრალე, მაპატიე, ნუ.

დამტანჯავ... (წამოდგება, თახჩაზე ბაწის კონა  
გდია, იმას მოკიდებს ხელის და ჩაფიქრებული ნელ-  
ნელა კარებისაკენ მიდის, კარებს გააღებს და გავა-  
თენდება. ნატია ადგება, სახლს დახვეტამს, ქვე-  
შაგებს აალაგებს, პირს დაიბანს).

**თამარი.** ნატია, შვილო, ადექი?

**ნატია.** ავდექი, დედა-ჩემო! რავა უცებ წამოგვათენდა  
თავზე! მთელი ღამე ისე მეძინა, რომ ფეხი არ  
გამინძრევია.

**თამარი.** ი უბედურ კაცს აქამდინ ძინავს?

**ნატია.** საღა ძინავს, ისე ამდგარა და წასული აქედან,  
რომ არაფერი არ გავიგია!

**თამარი.** ნახევარი კაცი აღარ არი, ნახევარი. (შაუზა)  
შვილო, ნუ ჩეიდგამ ფეხს მაგის საცოდაობაში.  
სულ მას აქეთ არის ასე გაშტერებული და გულ-  
ჩახვეული...

**ნატია.** რა ვქნა, დედა-ჩემო? იყო დროი, როცა მე თვი-  
თონ ვფიქრობდი ამ საქმეზე და, ოქვენი გუ-  
ლისთვის ყველაფერზე. თანახმა ვიყავი, მაგრამ  
ახლა... (შედგება)

**თამარი.** რაი ახლა?

**ნატია.** ახლა ჩვენს თავს სხვა საქმე და ცოდვა დაატყ-  
და. მე გადავწყვიტე, მოლოზნათ წავიდე, რომ,  
იქნება, ჩემის ლოცვითა და ვედრებით ცოტათი  
მაინც შევინანიო ჩვენი ცოდვები.

**თამარი.** რას ამბობ, შვილო, რა ცოდვები? მოლოზნათ  
რა გინდა? უცოდველი ვინ არის? ქვეყანა  
ცოდვაში დაცურავს, მარა, ყველა რომ მო-  
ლოზნათ წევიდეს, კაიც იქნება!

**ნატია.** ეს ცოდვა სულ სხვაა, დედა-ჩემო! მთელი სოფელი ლაპარაკობს, საჩინომ თალხანი მოიყვანა და ლუკია მოაკვითინა (ამ დროს კარები გაიღება, მამასახლისი, მწერალი და „ბორჩიკი“ შამოვლება).

**მამასახლისი.** საჩინო საუ არის?

**ნატია.** გარეთ გევიდა წელან.

**მამასახლისი.** გარედ გავიდა! საკვირველია სუნით მიხვდება ხოლმე, გონია. თქვე მამაცხონებულებო, როდემდინ უნდა გვაწვალოთ ამ დრამის ფულზე? ჩემი ჯიბილან ხომ ვერ დავადებ?

**ნატია.** შემოვა და მოგცემს, თუ ექნა.

**მამასახლისი.** თუ ექნა! თუ არ ექნა?

**ნატია.** თუ არ ექნა და დაახჩევთ! თუ კი არ ექნება, საიდან უნდა მოგცეთ?!

**მამასახლისი.** ეგ ჩემი საქმე არ არის! (თამარი) შენ გექნება და მოიტა, თორემ მე აქ ვერ მოგიცდი შუადლემდე, სხვა საქმეცა მაქ, — დავხვევ. ამ საბნებს ხელს და წავიდებ.

**თამარი.** შვილები დამეცხოცოს, თუ მე ახლა ფული მქონდეს. (მამასახლისი საბნებს იღებს და არჩევს, რომელი უკეთესია. ამ დროს კარები გაიღება და ერთი გჭები შემოვა, თავს დაუკრავს უკელას)

**გლეხი.** საჩინოსი არაფერი გაგიგრათ?

**ნატია და თამარი.** (ერთათ) რავა, რა ამბავია?

**გლეხი.** არაფერი... ისე... ვერ არის კაი ამბავი (კარებთან ფეხის ხმა ისმის) თავი მოუკლამს იმ საწყალს! ამ დილა კუნელზე ნავხეთ ჩამომხჩალი (ნატია და თამარი დაიკიფლებენ და თავში წაი-

შენენ. კარი გაიდება და რამდენსამე გლეხს შემთაქვე საჩინო, ძაბიან აქეთ-იქეთ: «ლოგინზე და გასვენოთ, ლოგინზე!» სხვები: «ლოგინზე სად დავასვენოთ, არ დეტევა! ძირს გავშალოთ, ძირს!» ჭილადის შდიან ძირს, ზედ დაასვენებენ, გაასწორებენ და პირზე ახალუს გადააფარებენ. მამასახლისი ბორჩის საბანს კადასცემს.)

**მამასახლისი.** (დააჩერდება მიცვალებულს) თავი მოიკლა?! მწერალო, ახლავე პრისტავს უნდა მიწერო! (ჭირისუფლებს) სანამ პრისტავი და დოხტური არ მოვლიან, რომ შეამოწმონ და პროტოკოლი შეადგინონ, პრავა არა გაქვთ დამარხოთ, თორემ დაიშტრაფებით (გადის).

**ერთი გლეხთაგანი.** ეჲ, გლეხიკაცის ცხოვრება — ცხოვრება? ძალის ცხოვრება ჯოპია!

### ფ ა რ დ ა.

ი. გომართელი.



**შეცდომის გასმორება:** მე-67 გვერდზე, პირველ სტრიქონში, ზემოდან, დაბეჭდილია „სიმონას“, უნდა იყოს — „სამსონას“.

# ტევზობაში

ლ. მელიშინისა

ყველა საპყრობილები დაინახავთ რამდენსამე ტუ-  
სალს, რომელიც ცალკე ზის და სხვის საქმეში არ ერე-  
ვა, ისინი არიან მაჰმადიანები: ყირლიზები, სართები, თა-  
თრები, უზბეგები (რუსის ტუსაღები ამათ საერთოდ „თა-  
თრებს“ ეძახიან, როგორც კავკასიიდან მოსულებს—  
„ჩერქეზებს“).

როდესაც საქმე არა აქვთ, სხედან საღმე კუთხეში  
და დაღონებულნი თავიანთ მოლლას ყორანის კითხვას  
ყურს უგდებენ, ან ეზოში დადიან და ერთმანეთში საი-  
დუმლოდ ლაპარაკობენ. რუსის ტუსაღებს „თათრები“  
არ უყვართ: მათ არ მოსწონთ თათრების ენა და ადა-  
თები. რუსები ამბობენ, თათრებს მუშაობა არ უყვართ  
და ცდილობენ თავიანთი საქმე სხვას გაკეთებინონ. სამაგიეროდ,  
არც მაჰმადიანებს უყვართ რუსები, რადგა-  
ნაც მათ უსამართლობას ხედავენ და მათგან მარტო  
ლანძლვა-გინება ესმით: „ეი, მხეცო თათარო!“ თათრე-  
ბი ხშირად ისე ბრაზდებიან, რომ დანების ტრიალი და  
სისხლის ღვრა ხდება. მეტად ხშირია ჩხუბი გზაში. მა-  
გრამ ბევრჯერ შემიმჩნევია, რომ თათრების დაახლოვებას.

რუსებთან ხელს უშლის რუსული ენის უცოდინარობა  
და, როგორც ეს დაბრკოლება არ არის, მაშინ ტუსაღე-  
ბი მაღე მეგობრდებიან.

მე მიყვარდა ამ თათრების ნახვა, რომელთაც ევრო-  
პიულ კულტურის გავლენა არ ეტყობოდათ. მათში  
ბევრს ლამაზი სახე აქვს, კეთილ-შობილი შუბლი, ხაჭერ-  
ღივით შავი თვალები და სუფთა უმუშევარი ხელები. რო-  
დესაც დავინახავდი ამ ტანად ვაჟკაცებს, რომელნიც  
თურქესთანის და ორენბურგის ეწერებიდან წამოუყვანი-  
ათ, მაგრანდებოდა ყოველთვის კუპერის რომანები, გან-  
საკუთრებით, „უკანასკნელ მოგიკანის“ ამბავი.

ერთხელ მეორე კამერაში გადამიყვანეს. ძალიან მია-  
მა, რაღგანაც ჩემ მეზობლად ახალგაზრდა უზბეკი უსან-  
ბაი მარაზგალი გამოდგა. დიდი ხანია მარაზგალი შომ-  
წონდა და მეცოდებოდა. რაღაცა თავისებური რამე იყო  
ეს უსანბაი: თავისებური იყო მისი მსუბუქი სიარული,  
მისი სახე, რომელიც ხან მხიარული იყო, ხან დაღვარე-  
მილი და ბებრულად იყურებოდა. გამოვკითხე ტუსაღებს და  
გავიგე, რომ მთელ სატუსაღოს უყვარს ეს უცნაური  
ყმაწვილი.

— ჰუსანაზე ამბობ? — მკითხა მოხუცებულმა გონჩაროვ-  
მა: ეს ერთად-ერთია, რომ ამ მხეცებში ადამიანს წააგავს.  
ჩვენ ამ მაჭმაღიანებს საზოგადოდ ან თათრებს და ან სარ-  
თებს ვეძახით, მაგრამ უსანბაი, ნამდვილი სართი არ  
არის, — უზბეგია. ჯავრობს კიდევაც, სართს რომ ვეძახით,  
— მე უზბეგი ვარ, ჩვენში სართები არც კი გვიყვარსო! ”  
საკვირველია ეს უსანბაი: მხიარული, ხუმარა.. გზაშივე  
უველას შეუყვარდა. ზარმაციც არ არის, როგორც და-  
ნარჩენი თათრები. თავის საქმეს რომ ათავებს, სხვასაც

ჰშველის. ბევრჯელ მითქვამს: რად იღლები მაგრე, უსან? კატორლაში შენ თავს უნდა გაუფრთხილდე! იცინის და ხელს მიქნევს: არა მიშავს-რა, არ მეშინიანო. რალა არა ლშავს-რა, როცა ნაცემია... გზაში ტუსა-ლები გაიქცნენ. მამა და ძმა ჯარის კაცებმა მოკლეს. უსანბაიც ძლივს გადარჩა. ხანდახან ისე დაახველებს, რომ ყურებაც ძნელია. გულზე ხეღის დაიღებს, აქა მტკივაო. კარგი ბიჭია, ეშმაკობა არა აქვს, სრულებით! მარაზგალი მაღნებში არ ამუშავეს და იმიტომ მე დიღხანს მისი გაცნობის შემთხვევა არ მქონდა. სატუსალო-ში მარტო უსანაზე იყო ლაპარაკი. ამბობდნენ, რა კარგია, რომ სხვებსა ჰშველისო, ყველა აქებდა მის სიმხიარულეს. სხვათა შორის, ერთხელ ხმა გავარდა, რომ მარაზგალი კარგი მოჭიდავეა და სამზარეულოში. სამრუსის ფალავანს, მოერიაო. სატუსალო აღელდა. მეტი წილი გახარებული იყო და ეუბნებოდნენ უსანას, კიდევ იჭიდავეო. სხვები, რომელნიც თვითონ მოჭიდავენი იყვნენ, ჯავრობდნენ და იკვეხებოდნენ, უსანაზე ხელის გასვრა არ გვინდა, თორემ ახლავე წავაქცევთო. უსანა ამ დროს კიდევ ხუთ მკვეხარას მოერია. იგი ისე ლონიერი არ იყო, როგორც მარდი და მოხერხებული და ამით სჯობნიდა თავის მოპირდაპირეს. ბოლოს სამზარეულო-ში მივიდა ანდრია—მოჭიდავე, ერთი უზარ-მაზარი და ძალ-ლონიანი ადამიანი. ძალად მოიყვანეს, ისე ეშინოდა ანდრიას. ვერ ენდო თავს და მოტყუილებით მოინდომა გამარჯვება. არა სთქვა, რომელ ფანდს იხმარს ჭიდაობაში და მარზგალი. ბურთსავით თავზე გადაისროლა. ზოგმა იცის ასეთი ჭიდაობა: ერთი მოჭიდავე მოულოდნელად დაიჩოქებს და მოპირდაპირეს თავზე გადაისვრის.

ამისთანა ჭიდაობის ღროს სიკვდილიც ხშირია. უბედური უსანა მხარით ძირს დაეცა და დიდხანს. ავად იყო: ყველანი ანდრიაზე გაჯავრებულნი იყვნენ, მაგრამ თვითონ უსანა მხოლოდ ლიმილით ამბობდა.

ეგ არაფერდაო.

ამ შემთხვევის შემდეგ ჭიდაობა მოისპო. მე ვცდილობდი მარაზგალის დამეგობრებას, მაგრამ საკვირველია: სხვებთან მხიარული იყო, იცინოდა, ცელქობდა და ჩემი კი რცხვენოდა, ერთ-ორ სიტყვას ჩეტყოდა და მალე მომშორდებოდა. როგორც სხვა ტუსალებში, ისიც „ბატონოს“ მეძახდა და თქვენობით მელაპარაკებოდა როდესაც მის კამერაში შევიდოდი, მორცხვობდა და აღარ იცოდა; სად დამალულიყო; მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა გამომლაპარაკებოდა. კარგად ვერა ლაპარაკობდა რუსულს. ხანდახან ვერც გამაგებინებდა თავის აზრს. მხოლოდ გაქცევის მოგონებაზე, გამოცოცხლდებოდა ხოლმე, ჩვეულებრივი მორცხვობაც ავიწყდებოდა, თვალებ ანთებული მიამბობდა, როგორ მირბოდა, როგორ ისროლეს თოფი... წაიქცა... დაეწია ჯარის-კაცი. ხელში თოფი ეჭირა... უსანბაი წამოხტა, დაეჭირა თოფს და თავს იცავდა. მაშინ მივარღნენ სხვები და ისე დაჩხვლიტეს ხიშტებით... მის ნალაპარაკევში ზოგიერთ სიტყვას ვერ გაარჩევდი, მაგრამ მაინც კარგად წარმოვიდგინე ეს ახალგაზრდა ვეფხვი, რომელიც, მტრებისაგან გარს მოხვეული, ყვიროდა, იკბინებოდა და ძვირად ჰყიდდა თავისუფლებას და სიცოცხლეს.

მარაზგალი იმასაც მიამბობდა, რომ გზაში დედას მისწერა; მამა და ძმა მოკლეს და აქ, ორი წლის მაგიერად, ათი წლით დატოვესო. დედამ წერილი უკანვა

დაუბრუნა, სხვისი დაწერილი უნდა იყოსო, ჩემი საყვარელი /შვილი ამას არ მომწერდაო.

— არა სჯერა... აბა, რა ვქნა? ნუ დაიჯერებს? სიმწარით წამოიძახებდა უსანა, ხელს იქნევდა, თვალები კი ამ დროს ევსებოდა ცრემლებით.

მარტო ეს ვიცოდი უსანას წარსულზე. ერთხელ გავიგე, რომ უსანამ სწავლის ნიჭი გამოიჩინა და თითქმის ნახევარი რუსული ანბანი მარტომ შეისწავლა. სხვა არავინ შველიდა. გახარებულმა ვუთხარი, წერა-კითხვას გასწავლი-მეთქი. უსანა შეკრთა და ხვეწნა დამიწყო, თავი დამანებეთო...

— არა, ბატონო, თუ შეიძლება, არაო...

მე ვაჯერებდი, რომ შემდეგ თვითონაც მაღლობელი იქმნება. როდესაც წერა-კითხვა ეცოდინება. მარაზგალი ყურს მიგდებდა გაჩუმებული და მერე მაინც თავის „არა, არას“ იძახდა.

ცრემლი შევამჩნიე თვალებში. და მართლაც თავი დავანებე.

— ეგ სულ მათი მოლლასი, საფარბაევის ხრიკებია, — მითხრა ერთმა რუსშა ტუსალმა, რომელსაც ყური მოექრა ჩვენ ლაპარაკისთვის. მოლლა რუსულის შესწავლას უშლის. მაშინვე საფარბაევთან. წავედი. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა სართი იყო და მოლლას იმიტომ ეძახდნენ, რომ არაბული და ყორანი ყველაზე უკეთესად იცოდა. მე პირდაპირ ვკითხე, მის რჩევით. ხომ არ ამბობ რუსულის შესწავლაზე უარს მარაზგალი. მოლლას გაეცინა: მაქმადიანების კანონი არავის არ უშლის სხვა ენები შეისწავლოს. სიტყვაც მომცა, ჩემის მხრივ მარაზგალს მო-

ველაპირაკებით. მალე ტუსაღების სხვადასხვა კამებიში გადაყვანა მოხდა და მარაზგალი ჩემი მეზობელი შეიქმნა. მაშინ იყო, რომ ჩვენ ხელად დავუახლოვდით ერთმანეთს და დავმეგზბრდით.

უსანა კარგი მეზობელი იყო. მხიარული, ყოველთვის ზრდილობიანი, თავაზიანი. ტუსაღებს ძალიან უყვარდათ და გამორჩეული ჰყვანდათ დანარჩენ თათრებში. თვითონ მარაზგალიც ერიდებოდა მაჭმაღიანებს და მოლლას ყორანის კითხვას ყურს არც კი უგდებდა. როცა ხელმეორედ მივეცი წინადადება — ესწავლა რუსული, ძალიან იამა. თლრმე წინად ჩემი ეშინოდა და თან ეგონა, რომ სწავლის ნიჭი არა აქვს და მაწყენინებს. უსანამ ცოტად არაბული იცოდა, რუსული წერაც მალე ისწავლა, მაგრამ, რაღგანაც რუსული ენა არ იცოდა, წაკითხულიც არ ესმოდა და ეს გარემოება ხალისს უკარგავდა. რუსული წერა-კითხვა ბოლოს კარკად ისწავლა, მაგრამ ლაპარაკი მაინც არ ეხერხებოდა.

მალე დაწვრილებით გავიგე უსანას ამბავი.

მისი სამშობლო ფერგანი იყო. ქალაქ მარგელანის ახლო უსანას მშობლები ბაღოსნობითა და ხვნა-თესვით ცხოვრობდნენ და ქალაქში მარტო სავაჭრო საქმეებისთვის შიდიოდნენ. უსანას სახლობა ერთობით ცხოვრობდა. მშობლებს მხოლოდ უფროსი ვაჟი მარასილი აწუხებდა არაყის სმითა და ქალალდის თამაშით. ნორპუტა, უსანბაის მაშა, სცემდა მარასილს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა და ვალი დაიდო. მამა ვალის გასასწორებლად ფულს არ აძლევდა და ერთ ლამეს ყირგიზმა, რომელშაც მარასილს ფული მოუვო, მოგპარა ცსენი და გააჭენა. ნორპუტამ გაიგო, გააღვიძა შვილები და სამნივე ქურდს გა-

მოუდგნენ. როდესაც დაეწიენ, მარასილმა თავში კომბალი ჩაარტყა და წააქცია. ნორბუტამ ხმლით თავი მოჰკვეთა. უსანბაი ჰეთიცავდა, რომ ყირგიზისთვის ხელიც არ უხლია და მხოლოდ მამას ხმალი მიაწოდა. მკვლელობას კი ამართლებდა და მეუბნებოდა:

— ასეთი ადამიანი ცოდო არ არის: ქურდობდა, ქალალდა თამაშობდა... რად უნდა ეცხოვრა?

— მარასილიც ხომ ქალალდა თამაშობდა?

— მარასილი მოკვდა... ღმერთმა გადაუხადა...

— განა შენ კი არ გიცდია თამაშობა?

— მიცდია, — სთქვა მან შერცხვენით: — ერთხელ ხუთი მანათი წავაგე, გზაში რომ ვიყავი. ერთხელ კიდევ ერთი მანათი წავაგე.

— მერე კარგია?

— მე ხომ ისე... მე არ ვიცი — ქალალდის თამაში.

როცა ყირგიზი მოჰკლეს, თენდებოდა და ვიღაცამ დაინახა. ნორბუტა თავის შვილებით დაიჭირეს და კატორგაში გაგზავნეს. მამა თხუთმეტი წლით, მარასილი — ათით და უსანბაი — ორით, რადგანაც მცირე-წლოვანი იყო. უტირლად ვერ იგონებდა დედას, რომელიც ძალიან უყვარდა. თვითონაც დედის ნებიერი ყოფილიყო. ერთმა ტუსალმა უსანას შავი, ხუჭუჭი თმა აქო. იგი გაცოცხლდა და გვიამბო, რომ შინ თათრების ადათზედ გაპარსული დაზიოდა, მხოლოდ კეფაზე გძელი კავი ჰქონდა დატოვებული.

— დედას დავუტოვე, დედასო, — ამბობდა იგი, — აჲ, როგორ სტიროლა დედაჩემი, როდესაც მეთხვებოდა, ამებს იწიწენიდა და ყვიროდა. აჲ, როგორ ყვიროდა!

ამის მოგონებაზე უსანა სწყვეტავდა ლაპარაკს, ბალიშში თავსა ჰმალავდა და მწარედ ოხრავდა.

მარაზგალი რომ წაიყვანეს, მასთან კიდევ ოცდა-თორმეტი უზბეგი, ყირგიზი და სართი იყო; ჯარის-კაცები მარტო თვრამეტი. მესამე თუ მეოთხე შესვენებაზე გაქცევა დაპირეს. დარაჯები არაფერს მოე-ლოდნენ და არხეინად ქალალდსა თამაშობდნენ. კარებ-თან მარტო ერთი იყო გაჩერებული. ნორბუტას „ალლა“ უნდა დაეძახა და მიჰვარდნოდა სალდათს, რომელიც კა-რებთან იღვა. სხვები თოფებს დაიჭაცებდნენ და გაულე-ტავდნენ დანარჩენ დარაჯებს. ნორბუტაც ასე მოიქცა: „ალლას“ ძახილით დარაჯი მოკლა და თოფიც წაართვა, მაგრამ სხვები გაჩერდნენ და საქმე ჩაშალეს. თოფების აღების მაგივრად გაიქცნენ და სხვადასხვა მხარეს დაი-ფანტნენ. დარაჯები გონჩე მოვიდნენ და თოფის სრო-ლით გამოუდენენ გაქცეულებს. ნორბუტა იქვე ხიშტე-ბით მოჰკლეს. გაქცეულებს ბორკილი უშლიდა სირბილს. ახლო ერთი ბუჩქიც არა სჩანდა. შარტო სამხა მო-ასწრო გაქცევა და დამალვა. სხვები ან თოფით მოკლეს, ან ხიშტებით დახვრიტეს. უსანბაის ფეხში ტყვია მოხვდა; როცა წაიქცა დარაჯი მიჰვარდა და უნდოდა ხიშტით მოეკლა. უსანბაი წამოხტა და თოფი წაართვა. ბრძო-ლაში მარაზგალიმ ხელში უკბინა ისე, რომ დარაჯი ყვირილით გაიქცა. ამ დროს სხვა დარაჯებიც მიეშველ-ნენ, ხიშტებით დაჩვლიტეს, თოფის კონდახებით გალ-ხეს და იქვე დააგდეს გონება მიხდილი, — მკვდარი ეგო-ნათ. გონჩე რომ მოვიდა, მიხვდა, აქ მკვდრებს დარა-ჯი ადგია თავზეო, და ერთი ხმის ამოლებაც საკმარისი იყო მის დასაღუპველად. თექვსმეტი წლის ბიჭს, მძიმედ-

დაჭრილს, იმდენი ღონე ჰქონდა, რომ არ გაინძრა და  
ხმა არ ამოიღო, მინამ ექიმი არ მოვიდა და არ გასინჯა  
დახოცილები. მხოლოდ მაშინ უსანამ დაიკვნესა... გაბრა-  
ზებული დარაჯები მიჰვარდნენ და, ექიმი რომ არა ყო-  
ფილიყო, ლუკმა-ლუკმა აქცევდნენ უთუოდ. უსანა ქა-  
ლაქ ვერნაში წაიყვანეს და საავადმყოფოში დაწვინეს.  
მის ავადმყოფობის ღროს გაქცევის საქმე გაარჩია სასა-  
მართლომ და გადასწყვიტა კიდევ ოვა წლით მოემატათ  
უსანასთვის კატორგაში გაფზავნა.

მარაზგალი მორჩა და ისევ ძველ გზას გაუდგა. იმ  
ადგილას, საღაც მამა და ძმა მოუკლეს უსანამ ბევრი  
იტირა და დარაჯებსაც შეაბრალა თავი ტირილით. უფ-  
როსი (ისევ ის, რომელიც წინად იყო) მივიდა და უთხრა:

— ღმერთს მადლობა. შესწირე, მარაზგალო, რომ  
აქ არც ერთი წინანდელი დარაჯი არ არის, თორემ ცო-  
ტალს არ დაგარჩენდნენ. რაჯ გაიქეცი?

— მე ვტიროდი და ვერაფერი ვერ ვუპასუხე. უფ-  
როსმა შემიბრალა და მითხრა: წამოდი, საფლავი ვნახო-  
თო, საღაც ნორბუტა და მარასილი დამარხესო: წავე-  
დით. ოჯ, რამდენი ვიტირე! ავიღე საფლავიდან მიწა და  
ძონძში გავახვიე. ახლა სულ გულზე დამაქვს.

მარაზგალი მაჩვენებდა პატარა პარკს, რომელიც  
გულზე ეკიდა და რომელშიაც ძვირფას მიწას ინახავდა.

ხშირად დაწვებოდა, თავქვეშ ხელებს ამოიდებდა  
და დაიწყებდა ლოცვის გალობას იმ ნაირად, როგორც  
მაჰმადიანები ყორანსა კითხულობდნ, ეს ლოცვა ერთ  
შოლლას — სართს შეედგინა, რომელიც მარაზგალისთან  
ერთად მიდიოდა კატორგაში. სამწუხაროდ არ მახ-  
სოვს ამ ლოცვის სიტყვები, თუმცა მარაზგალს ბევრ-

ჯერ გადაუთარებინია. მის მწარე ხმის გაგონებაზე გულო  
მიკვდებოდა. მწუხარებისაგან და ოვალებზე ცრემლებთ  
მერეოდა.

„დავტოვეთ საშობლო, ცოლები, დედები, შვილები  
და ძმებიო, — გალობდა უსანა, — დავტოვეთ ჩვენი მშვე-  
ნიერი მინდვრები და ბალები, სადაც იზრდება ბრინჯი,  
სადაც ტკბილი ხეხილი მწიფულება. ღმერთო! შენ ნუ  
დაგვაგდებ! უცხოეთში ნუ დაგვივიწყებ!

„საშინელია უცხოეთი, სადაც მივდივართ. ახლა,  
სადაც მტერი გაგვიყრის ბორკილს, ძნელ ორმოში ჩაგვა-  
გდებს და იქ დაგვაყენებს ძნელ სამუშაოზე. დიდებულო  
ღმერთო! შენ მაინც ნუ დაგვტოვებ! ჩვენთვის უცხო  
ქვეყანაში ნუ დაგვივიწყებ!

„ჩვენ წამოსვლის დღეს, როდესაც ცოლები და  
დედები, როგორც კვდრებს, ზედ დაგვტიროდნენ, თმებს  
იგლეჯავდნენ, სახეს იკაწრავდნენ, შენ, ღმერთო, გე-  
ძახდნენ თავიანთ უბედურობის მოწმად — დიდებულო მა-  
მავ! დასთვალე მათი და ჩვენი ცრემლი, მოგვიგონე ჩვენ  
უცხო ქვეყანაში!“

წინადაც ვსთქვი, რომ უსანამ გზიდანვე მისწერა  
დედას და დედამ წერილი უკან დაუბრუნა, რადგანაც  
არა სჯეროდა, რომ მარასილი და ნორბუტა დაიხოცნენ-  
ებონა, წერილი სხვამ მისწერაო. კატორგიდან უსანამ  
კიდევ მისწერა სამწუხარო ამბავი და სთხოვდა, დამიჯე-  
რეო. რვა თვის უკან, როდესაც შე იქ ვიყავი, წერილი  
უკან მოუვიდა: კონვერტს ეწერა: „ადრესატს წერილი  
არ მოუკითხავსო“. ეს ორი სიტყვა „დაუჯერებლობა“  
და „მოუსვლელობა“ საშინლად აკვირვებდნენ და აწუ-  
ხებდნენ მარაზგალს და იგი ბევრჯელ მეკითხებოდა:

„რატომ არა სჯერა დედას? რატომ არ დადის ფო-  
შტაში? მოუსელელობა? რა მოუსელელობა? რისთვის?

მეც არაფერი. არ მესმოდა და ვცდილობდი მარაზ-  
გალის სიტყვებით ფერგანის ფოშტა წარმომედგინა. საბ-  
რალომ არაფერი არ იკოდა. მე ვიცოდი მარტო ის, რომ  
წერილებზე, რომელსაც მე ვუწერდი და ვუგზავნიდი ფერ-  
განიდან მოსულებთ, არც ერთხელ პასუხი არ მოსულა.  
ბოლოს უსანამ მოიფიქრა, იქმნება დედა ჩემი მოკვდაო.  
მაშინ მე ვურჩიე ერთხელ კიდევ ეცადნა და გაეგზავნა  
წერილი ბიძა პირმატისთვის, რომელიც ხშირად დადიოს  
და მარგელანში და ბევრი ნაცნობიცა ჰყავდა. ამ საქმის  
მოსაგვარებლად საპყრობილეს უფროსთან მივედი და  
ვუამბე მარაზგალის ამბავი, თანაც ვთხოვე, ნება მიეცა  
დაწეროს თავისი წერილი თათრულად. უფროსშაც მა-  
შინვე ნება დართო: მგონია ძალიან იამა, რომ მის გულ-  
კეთილობაზე დავიწყე ლაპარაკი. მე და მარაზგალი გა-  
ხარებულნი დავდიოდით.

პირველსავე კვირას მოლლა საფარბაევმა თათრუ-  
ლად წერილი დაწერა; მე კანვერტზე დაწვრილებით და  
გარკვევით დავაწერე ადრესი. შიგ მეორე კანვერტი ჩავ-  
დე რომელზედაც უსანას ადრესი იყო, ახლა მხოლოდ  
პასუხს ველოდიო. თითქმის ყოველ საღამოს ვლაპარა-  
კობდით, როგორ მიიღებს ძია. წერილს, უსანბაის. დედას  
შეატყობინებს შვილის ამბავს, როგორ გაიხარებს დედა  
და საჩქაროდ პასუხსაც გამოგზავნის. მაგრამ დრო მი-  
დიოდა, და პასუხი ჯერ არ მოსულიყო. მარაზგალი სა-  
სოწარკვეთილებას მიეცა... .

ყველანი დაიხოცნენ, ყველანი — იძახოდა იგი, ხელების  
მტვრევით: — დედაც მოკვდა, ძიაც... ალარავინ არ დარჩა!

რაღაც ბრაზმა აიტანა.

— ოტომ დედას არა სჯერა, რატო წერილს არა  
მწერს? რისთვის გამაჩინა დედამ? რატომ არ მომკლეს?

— რა მოგივიდა, უსანბაი? რას ლაპარაკობ, ღმერ-  
თი არა გწამს?

— ღმერთი არა გწამს?.. რა ღმერთი? სად არის  
ღმერთი? რად მოიგონა ღმერთმა კატორგა?

მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა. მარაზგალი ლოგინზე  
წვებოდა და ხანდახან ისეთ გუნუბაზე იყო, რომ ვერა-  
ფრით ვერ გავართობდი. საქმეს რომ გაათავებდა, დაწ-  
ვებოდა ლოგინზე, პირზე ტანისამოსს გადიფარებდა და  
ფიქრობდა... ერთ საღამოს უსანა მეტად დაღონებუ-  
ლი იყო, ჩავეკითხე მოწყენის შიზეს და ამიხსნა:

— ეჲ! დღეს დედა სტირის... დღევანდელ დღეს  
იყო, რომ კატორგაში წამოგვიყვანეს... დედა ყვიროდა...  
ტიროდა.

უცებ უსანამ მკითხა:

— მითხარი, რისთვის იბადება აღამიანი? რაუ არის  
კატორგა? რატომ აქვთ რუსებს ასეთი ცუდი კანონები?  
ჩვენში კარგი ადათია: კაცი მოკალი, მიწა ჭამე! თავს  
აჭრიან, ან სხვაგვარად ასალმებენ სიცოცხლეს! თქვენ  
კი, კატორგაო... უნდა დავიტანჯო, ვიტირო... ეჲ, ასე-  
თი სიცოცხლე არ შემიძლია... სიკვდილი სჯობია!

კრემლით სავსე ჰქონდა თვალები—მიყურებდა და  
მეც შევწუხდი: ვიგრძენი, რომ მართლა სხვა გზა არ  
დარჩენილა, მაგრამ ნუგეშს ვაძლევდი მაინც და ვცდი-  
ლობდი სიკვდილზე ლაპარაკი აღარ დაეწყო.

უსანბაი უფრო ცუდ გუნებაზე დგებოდა ზაფხულის  
მთახლოებაზე, როდესაც სატუსალოს გარშემო ამწვანდა

მთები და როდესაც აყვავდა ასკილი... მარაზგალი მთელი ზაფხული ავად იყო, ახველებდა, ნახველში სისხლიც ამოსდიოდა. ამბობდა, გული მტკივაო.

— მარაზგალ, — ეუბნებოდნენ ზედამხედველები: წალი ფერშალთან! გაგშინჯოს; — ხომ მოკვდები მაგრეო, მაგრამ უსანბაი უარს ამბობდა და დალონებული ილიმებოდა.

რამდენჯერ მითხოვია ფერშლისთვის, უსანას დაუკითხავად, რომ პატარა ხნით საქმიდან გაენთავისულებინა. თავისუფლებას რომ აძლევდნენ, მთელი დღე საღმე ეზოში იწვა და რაღაცას ფიქრობდა. ზაფხულის დამლევს უსანა მობრუნდა, გამხიარულდა და ისევ არაობდა ყველას. ისევ მუშაობდა, ჭიდაობდა, ხუმრობდა და სამშობლოდან პასუხის მიღების იმედიც დაუბრუნდა...

— ცოქვი რამე სიმღერა, უსან! — ეუბნებოდნენ ხუმრობით, — და უსანა დაიწყებდა სიმღერას, რომლის მხოლოდ ორიოდე სიტყვა იცოდა და ისიც არ ესმოდა; მაგრამ ამ სიტყვებს ისე გრძნობიერად ამბობდა, რომ ყველანი იხოცებოდნენ სიცილით.

— არა, ეს არა, სხვა სიმღერა გვითხარი და ითაშაშე! — არ უსვენებდნენ ამხანაგები. მარაზგალი, აწითლებული, უარს ამბობდა. მაშინ ერთი ვინმე გამოდიოდა შუაში და თამაშობით სიმღერას იწყებდა. ნაცნობი ხმის გაგონებაზე მარაზგალიც ვერ ითმენდა და იწყებდა მღერას, თან ერთ ადგილას ტოკავდა და ხელსახოცა იქნევდა.

ვინმე მესამე ტაშს უკრავდა.

მაგრამ, როდესაც მე, ან უფროსს დაგვინახავდა, მაშინვე შერცხვენილი გაჩუმდებოდა და იმაღლებოდა.

სულ მოძრაობაში იყო. ხან ვისმე ეჭიდებოდა, ხან  
მღეროდა თავის საყვარელს სიმღერას, ხან ხელში წიგ-  
ნი ეჭირა, ან ხელსაქმობდა, მაგრამ უცებ თავს ანებებ-  
და ამაებს და ეზოში გარბოდა და მერცხლებს უყურებ-  
და. ხან პატარა მტრედებს დააცქერდებოდა: როგორც  
კატა, ნელ-ნელა ეპარებოდა მსხვერპლს; სახეს მხეცური  
გამომეტყველება ეტყობოდა, ცეცხლივით აეგზნებოდა  
თვალები და მარაზგალი, ნაზი, გულკეთილი მარაზგალი,  
მხეცივით ხდებოდა, სისხლის მოყვარედ, ველურ აღამია-  
ნად... ერთი წამი, და მტრედი მის ხელში ფართხალებს,  
ფრთებს იქნეს და ბუმბულსა. ჰყრის ეზოში. უსაქმო  
ტუსაღები ხმაურობაზე მოდიან და სიცილით აქებენ  
ჯსანას მოხერხებას. მეც მივდივარ და მინდა დავტუქსო  
ფრინველის დატანჯვისათვის, მაგრამ მარაზგალი ისევ.  
იცვლება უცებ: ისე ნაზად იკრავს გულში შეშინებულს  
ჩიტს, ისეთის ალერსით უსვამს ხელს ბუმბულებზე, მისი-  
სახე ისეთი სიყვარულით არის აღსავსე, რომ სიტყვა-  
პირში მირჩება. მინამ მე მივუახლოვდებოდი, მარაზგალი  
ხელს მაღლა სწევს და მტრედს უშვებს. ტუსაღი ჩიტი  
ერთს. ხანს რაღაცას ფიქრობს და მერე, ისარივით მიტ-  
რინავს ჰაერში და იქ ტრიალებს. ამ დროს ქვევით გა-  
ხარებული ტუსაღები იცინიან და უსანა ზევით იყურება:

მე მაფიქრიანებდა უსანას გამობრუნება. მეშინოდა,  
რომ ჩემი დროებითი იყო. მართლაც, გაუფრთხილებელი-  
უსანა მუშაობაში ძალიან გაცივდა და ფილტვების ან-  
თება მოუვიდა. ეს იყო ღვინობისთვეში. ჩრდილოეთის  
შემოდგომა იდგა, ხან ქარიანი, ხან თოვლიანი, წვიმია-  
ნი და ცივი. ლოთი ფერშალი არ აწვენდა. საავაღმყა-  
ფოში და მეკითხებოდა: რად სწუხდებიო? ბოლოს და-

ვემუქრე, უფროსთან ვიჩივლებ-მეთქი. უსანამ აიტანა. ავადმყოფობა მარტო თავის ჯანმრთელობის წყალობით. უვიცმა ფერშალმა ვერაფერი ვერ უშველა. როგორც კი შემეძლო, ვუვლიდი უსანას და მთელი თავისუფალი დრო მის ლოგინთან გავატარე. ბევრი ლაპარაკის. ნება არა ჰქონდა, მაგრამ მაღლობით მიყურებდა და ალერსით მელიმებოდა.

ერთხელ ჩურჩულით მკითხა:

— ხომ არ მოვკვდები, მითხარი!

— მე, რასაკვირველია, დავამშვიდე, გავიცინე კი-დეც, თუმცა გულში დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მორჩებოდა. უსანამ ხელი მომავლო, მეუბნებოდა, რომ ძალიან ეშინოდა სიკვდილისა.

ამ დროს გამახსენდა, რომ შეიძლება მარაზგალი გაანთავისუულონ, თუ ხელმწიფის სახელზე თხოვნა გაგზავნა და თავისი ამბავი სისწორით აღწერა. ვფიქრობდი, თხოვნა პეტერგურგში თუ მივიდა და იქ წაიკითხეს, მარაზგალის საქმე ნამდვილად მოგებული შეიქნებოდა. წაველ ისევ უფროსთან და მის „კეთილ გულს“ მივმართე. იმას გაუკვირდა და მითხრა, ეს ცდა უნაყოფოდ ჩაივლისო.

— მაგისთანა თხოვნა ათასობით იწერება და ათასში ერთს ყურადღებას ძლივს აქცევენ.

მე ვუპასუხე, რომ შეიძლება სწორედ ეს თხოვნა გამოდგეს ათასში ერთი, რაღანაც დარწმუნებული ვარ მის სიმართლეში-მეთქი.

უფროსმა მხრები აიჩეჩა.

— რაღას უშველის განთავისუფლება? სულ ერთია, მალე მოკვდება მაინც. ჭლექიანი უნდა იყოს.

მე ვუპასუხე, რომ ყველა კაცი ფიქრობს თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, თუმცა იცის, რომ აღრე თუ გვიან მოკვდება უთუოდ.

— დასწერეთ, თუ გინდათ, — სთქვა ბოლოს უფროსმა — მე ჩემ მწერალს ვუბრძანებ, კარგად გადასწეროს ეს თხოვნა.

სატუსალოში რომ დავბრუნდი, დავწერე თხოვნა და ამ ქაღალდში გამოვხატე სავსებით ჩემი აზრი და გრძნობა უსანას შესახებ... უფროსმა წაიკითხა და ძალიან მომიწონა:

— ძლიერი კალამი გქონიათ, ძლიერი!

და ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ მწერალს გადააწერინებს და თვითონ გაგზავნის.

ამის შემდეგ მე და მარაზგალი წინანდელზე მეტად ვიყავით ფიქრებში გართული. გადავსწყვიტეთ, რომ ერთი წლის უკან პეტერბურგიდან პასუხი მოვა.. კარგი პასუხი რომ მოვიდოდა; ამაში მე დარწმუნებული ვიყავ და ჩემ ამხანაგებსაც ვაჯერებდი.

ერთხელ კინალამ არ წავეჩხუბეთ ერთმანეთს. ჩვეულებრივად ყირგიზის მოკვლის ამბავს მეუბნებოდა. მე შემთხვევით პირველად მივაქციე ყურადღება იმ გარემოებას, რომ მამას ხმალი მიაწოდა, მეგონა, წინად ჰმალავდა ამას.

— რატომ წინად არ მეუბნებოდი? — გავჯავრდი მე: არც კი ჩამიწერდა თხოვნაში და ახლა ხელმწიფეს ეგონება, რომ სტუი, იმიტომ რომ შენ საქმეში ეს ახალი გარემოებაც აღმოჩნდება.

მარაზგალი საშინლად შეწუხდა.

— მე გითხარი, ყოველთვის მითქვამს, — პუტბუტებ-

და უსანა და ყველრებით მიყურებდა თვალებში: — შენ  
დაგავიწყდა...

— არა, შენ დამალე, უსან, დამალე და საქმე გაი-  
ფუჭე ამით.

აქ ლაპარაკში ჩაერიენ სხვები, რომელთაც ბევრჯელ  
გაეგონათ ეს ამბავი; და უმოწმეს უსანას, რომ ხმალ-  
ზედაც უაშ्चნია ყოველთვის.

მარაზგალი დაყველრებით შემომცეკეროდა.

— გესმის, გესმის, — წამოიძახა მან გახარებით, —  
მე მითქვამს.. • მე არაფერი არ დამიმალავს.

მე შერცხვენილი ვიყავ და ბოდიში მოვიხადე.  
უსანამ მაშინვე მაპატია და დაივიწყა, მაგრამ ძალიან შე-  
წუხდა, თხოვნა სწორედ არის დაწერილი, თუ არაო.  
ძლივ-ძლიობით დავამშვიდე და ვიფიქრე, რომ ეს შე-  
ცდომა სიცრუეს არა ნიშნავს და საქმეს არ დააბრკო-  
ლებს.

საღამოობით ჩვენ თვალწინ იხატებოდა უსანას პა-  
ტიების სურათი, მისი სამშობლოში დაბრუნება... შინ-  
ცოცხალი და კარგად მყოფი დედა დახვდება... იქ სა-  
ქმეებს მოაწყობს და თავის ხელით წერილებს მომწერს...  
ჩვენი ფიქრი უფრო შორს მიდის. ვხედავთ, რომ მეც გა-  
მითავდა კატორგის ვადა და მარაზგალისთან მარგელანში  
წავედი. უსანა მიმასპინძლდება ფლავით და ცხვრის ხორ-  
ცით. მარგელანი ისე მომეწონება, რომ იქვე დავსახლდები  
სამუდამოდ. ბოლოს უსანამ ახალგაზდა უზბეგის ქალიც  
მიშოვა ცოლად და ჩემ ქორწილში ითამაშა... ტკბილო  
ოცნებავ! სადა ხარ ახლა?..

უფროსს უნდოდა მარაზგალისთვის თავისი გულ-  
კეთილობა ეჩვენებინა და ხხალ წლის დღეს გამოუცხადა,

რომ სავალდებულო მუშაობიდან ანთავისუფლებს, თუმცა  
კანონით კიდევ ერთი წელიწადი აკლდა. უსანას გაუ-  
კვირდა და თანაც იამა... მეც გამეხარდა. მერე უსანას  
მოაგონდა, რომ ჩვენ გავშორდებით, და მაჯერებდა: გან-  
თავისუფლება არ მიხარიან, აქა სჯობიაო. მე განუგე-  
შებდი და ვეუბნებოდი;

— გახსოვდეს, უსან, რასაც გეუბნებოდი: ქაღალდი  
არ ითამაშო, არაყი არა სვა, არ გაიქცე! თუ გაიქცეცი,—  
ყველაფერი დაიღუპება; ვერც სახლსა და ვერც დედას  
ვერ დაინახავ, სულ ერთია, დაგიჭერენ. ისევ თხოვნის  
პასუხს მოუცადე...

— კარგი, კარგი, გმაღლობ... კარგად იყავი!

და ჩვენ ერთმანეთს გავშორდით.

საუბედუროდ მარაზგალის ცხოვრება ისე კარგად  
ვერ წავიდა, როგორც ვფიქრობდით. არავინ არ ჰყვან-  
და, რომ ყური ეგდო მისთვის. ამხანაგებთან ვერ მორიგ-  
და. ბევრი წინადვე შურით უყურებდა, რომ ჩემთან მე-  
გობრობდა და იმიტომ კარგად ცხოვრობდა: არ მოსწონ-  
და ზოგიერთს ისიც, რომ მე თხოვნა დავუწერე და სხვებს  
კი უარს ვეუბნებოდი.

— რითა გვჯობია ეს თათრული გველის წიწილა,  
განთავისუფლება ხომ ყველას უნდა.?.

სხვადასხვა ჭორები ჩვენ სატუსალოს კედლების  
იქითაც გადვიდა. ამბობდნენ, რომ უფროსი ჭფარველობს  
უსანას, და ჯაშუშობას აბრალებდნენ. კარგად მაქვს წარ-  
მოდგენილი, რასაც იტანდა უსანა ამ დროს და როგორ-  
ბრაზდებოდა ამაზე. მინახავს ძალიან გაჯავრებული სატუ-  
სალოში,— საშინელი სანახავი იყო.

ერთხელ რომელლაც ტუსალთან ჩხუბი მოუვიდა რა-

ღაცა ძველ ტომარაზე: ის ამბობდა, ჩემი არისო, მარაზ-  
გალი ნიშანს აჩვენებდა, რომელიც წინად კბილებით  
გაეკეთებინა. ჯერ გაჯავრებით ლაპარაკობდნენ და ორი-  
ვე ხელით პარკს ეჭიდებოდნენ. უეცრად მარაზგალი გა-  
წითლდა, მერე გაყვითლდა... ხელებმა კანკალი დაუწყო.  
მალლა აწეულ თავით და ანთებულ თვალებით მარაზგა-  
ლი დახატულს ჰგავდა. მეორემ ხელი გაუშვა ტომარას  
და ბუტბუტით მოშორდა. ამბობენ, მარაზგალი. დანით  
გამოუდგა ერთ კაცს, რომელმაც ჯაშუში დაუძახა. ძლივს  
დაიჭირეს და დაამშვიდეს.

რასაკვირველია, ასეთ პირობებში უსანბაი რუსებს  
ჩამოშორდა. და ისევ მაჲმაღიანებთან ატარებდა დროებას:  
იქ უფრო ცუდათა სცხოვრობდნენ, ვიდრე სატუსალოში. მუშაობით ფულს ვერ შოულობრნენ და ისევ ტუსალე-  
ბის საჭმელი უნდა ეჭიმათ. არც ჩაი ჰქონდათ, არც შა-  
ქარი. სამუშაო აქ ძნელი და მეტიც იყო ტუსალებისაზე:  
უსანას ლამეც აყარაულებდნენ ტუსალების ბარგთან.  
იანვრისა და თებერვლის ცივი ლამეები უსანბაის არ ეძი-  
ნა და დღისითაც აქა-იქ გზავნიდნენ. საცოდავი მალე  
დაიღალა და ხველება დაუბრუნდა. ყველა უბედურობას  
ერთიც მიემატა. დიღმარხვა იყო. გაგზავნილებმა აღარ  
იცოდნენ, რითი შეეწუხებინათ უსანა, და ერთხელ, რო-  
დესაც მას დაეძინა, ჩუმად რამდენიმე საწონე სახელმწი-  
ფო სასწორიდან აიღეს. გამოიღვიძა უსანამ, შეიტყო  
დაკარგვა და დაუწყო ხვეწნა, უკან დამიბრუნეთ მოპა-  
რულიო. მაგრამ ვინ შეიბრალებდა!.. წავიდნენ უფროსთან  
დასაბეზოებლად, საწონები დაკარგაო. უფროსს ეძინა და  
მისმა მოადგილემ მარაზგალი დროებით ციხეში ჩაკეტა.

მაღნებში ვიყავი, როდესაც უსანა მოიყვანეს, და მუ-

შაობის შემდეგ გავიგე, რომ ხუთი დღით უნდა დაატუ-  
სალონ. ყოველ დღე თამბაქოსა და შაქარს ვუგზავნიდი...  
ამბობდნენ, ძალიან ავარი არისო, წევს და კვნესისო. მე-  
ოთხე დღეს ვთხოვე ფერშალს მარაზგალი ენახა. მან ნა-  
ხა და უფროსს სთხოვა, უსანბაი საავადმყოფოში დაა-  
წვინეთო. როდესაც მარაზგალი საავადმყოფოში მიჰყავდათ,  
დავინახე და უერ ვიცანი. ჩემო საბრალო ფერგანის არ-  
წივო, რა მოგივიდა?

გახუნებული, დაბერებული და შესაბრალისი იყო.  
ფერმიხდილმა და დალონებულმა უსანბაიმ დამინახა, გა-  
მიცინა და თავი დამიქნია. ფეხებს ძლივს დაათრევდა.  
ოფლისაგან თმები დასველებული და აწეწილი ჰქონდა,  
ტანისამოსიც საცოდავ საწახავისა იყო. დამურტლულ  
ქუდი, დაგლეჯილი ხალათი და დახეული ფეხსაცმელი...

საავადმყოფოში ცალკე ოთახში დააწვინეს. თავი-  
სუფალ დროს ისევ უსანასთან ვატარებდი. ეხლა მეც  
ვფიქრობდი, რომ სიკვდილი ურჩევნია... ან რას მოე-  
ლოდება სიცოცხლისაგან? რაღას, თუ არ ისევ უბედუ-  
რობას და ტანჯვას? თვითონ მარაზგალიც დასუსტებუ-  
ლი იყო და სიცოცხლის სურვილს, რომელიც წინაღ  
ჰქონდა, ვეღარ ვატყობდი... მაგრამ მაინც ვაჯერებდი-  
ავადმყოფს და ჩემს თავსაც, რომ ახლაც გაღარჩება. ჩე-  
მი სიტყვების გაგონებაზე, უსანას ჯერ ისევ იმედი ეძ-  
ლეოდა; უფრო ხშირად კი დალონებული თავს იქნევდა  
და მწარედ გაიღიმებდა. სისხლიც მოჰყვებოდა ნახველში.  
ერთხელ მეტად აღელვებული დამხვდა. მელოდებოდა და  
ყველრება დამიწყო:

— რატომ არ გავიქეცი აქედან! რად გაგიგონევა?  
რად მეუბნებოდი, ნუ გაიქცევიო?

ცრემლები გადმოყარა... მალე, ამის შემდეგ, როგორდაც მობრუნდა. როდესაც ექიმი მოვიდა, რომლის მოსვლას (ნახევარ წელიწადში - ერთხელ), დიდიხანია, ელოდნენ. ჩვენს მაღნებში, უსანას მორჩენის იმედი მიეცა. წამოჯდა ლოგინზედ და უყურებდა ექიმს, მაგრამ ექიმია - სწორედ რო კატორგის ექიმი იყო - ზედაც არ შეხედა, ხელი გაიქნია და გავიდა. მე ვერ მოვითმინე და თან გამოვყევი.

— თუ ლმერთი გრწამთ, ბატონო ექიმო, რიგიანად გასინჯეთ ეგ ახალგაზდა. იქნება, შეიძლებოდეს როგორმე შველა.

— თქვენი ძმა არის? ნათესავია?

— არა, მაგრამ, ისეთი საცოდავია...

— კიდევ უფრო საცოდავიც რომ იყოს, მაინც ვერაფერს ვუშველი. იტალიაში რომ იყოს ან მადერაზე, მაშინ სხვა არის... აქ კი, ამ კატორგაში...

— თქვენ ხომ არც გაგიშინჯავთ?

— როგორ? ეს რა ამბავია? მე მასწავლით? ფერშალო, რას დაეხეტება აქ უსაქმო ხალხი? აქ თეატრი ხომ ჭრ არის, საავადმყოფოა! აქ დუქანი ხომ არ არის, ავადმყოფებს სიმშვიდე უნდათ!

ხმა ჩავიწყვიტე და გამოვედი.

მეორე გაზაფხული დადგა. პირველი ფრინველები მოფრინდნენ. დათბა. სახურავზე მტრედები გუგუნებ-დნენ; მხიარულად დახტოდნენ და ჭიკიკობდნენ პატარა ჩიტები. მთებზედ მწვანე ბალახი გამოჩნდა. მარაზგა-ლი გარედ დადიოდა და მზეზე დაიწყო ფიქრი.

— წუხელის რა ვნახე სიზმრად... მითხრა ერთხელ უსანაშა: სართის ქალი... ლამაზია....

ენაც დაატკაცუნა, რომ კარგად წარმოედგინა იმ ქალის სილამაზე და უეცრად შერცხვა, გაწითლდა და პირზე ხალათი მიიფარა.

— საავადმყოფოდან გამოვალ, ღმერთსა ვფიცავ, გამოვალ, მოვრჩები... მიყურე: კარგად ვარ, ოლონდ აქ ცოტადა მტკივა... აქა... ამ ადგილას არც ვიცი, რა მტკივა. გული მტკივა, ლვიძლი, ლვიძლი მტკივა? არ ვიცი!

ასეთი იმედიანობა მალე ანებებდა თავს და ისევ აპატია რჩებოდა. მზიან დღეებში გამომყავდა ჰაერზე. მაშინ ნიავიც კი აშინებდა. არც ჩიტები, არც მზე, არც ჰაერველი ყვავილები არ ახარებდნენ უსანას. სახეზედაც ძალიან გამოიცვალა. მიცვალებულსა ჰგავდა; ლოყებზე სრულობით სიწითლე არ ეტყობოდა; მარტო ტუჩებზე ჰქონდა სისხლი და თვალები უნათებდა. სანთელივით დნებოდა.

ერთხელ დავინახე, რომ სარკის ნატეხში თმებს აშინჯავდა. დამინახა და გაიცინა.

— მიყურე, მიყურე, ჭალარა გამომრევია... აქაც ჭალარა, არ აქაც... მთელი თავი გამთეთრებია .. დავ-ბერდი!..

— რამდენი წლისა ხარ, მარაზგალ?

— რა ვიცი? როცა მარგელანში საქმეს არჩევდნენ თექვსმეტი წლისა ვიყავი... შერე უერნაში გაარჩიეს. ორი წელიწადი გავიდა... გზაში ერთი წელიწადი... ალ-ვაჩაში ვიჯექ—ერთი წელიწადი... აქ—წელიწად ნახევარი.

— მაშ თცდა ორი წლისა ყოფილხარ?

— ჰო, თცდა ორისა. ვინ იცის? დედამ იცის,  
ამ სიტყვებზე დაფიქრდა.

ჩემს თავს ვამჩნევდი, რომ კარგად არა ვარ, და  
წავედი საავადმყოფოში, ვგრძნობდი უსანას სიკვდი-  
ლის მოახლოვებას და მინდოდა უკანასკნელი დღეები  
მასთან გამეტარებია. კანდელი ჰქრებოდა, ზეთი გამო-  
ლეულიყო...

უკანასკნელ დღეებში მომაკვდავი ღმერთზე მელა-  
პარაკებოდა და კითხულობდა, სად ვიქნები — სამოთხეში  
თუ ჯოჯოხეთში? დავინახავ მამას და ძმას? დავინახავ  
დედასო? ძალიან შეწოხებული იყო, იმიტომ რომ ყო-  
რანში ქალების სულზე არა სწერია-რა და არ იცოდა,  
სად იქნება იმისი დედა... უკანასკნელ დღეს მოცოც-  
ხლდა, წამოჯდა და მარგელანზე ლაპარაკი დაიწყო; მო-  
გონდა მისი მშვენიერი ბუნება.

— ჩვენ მხარეში საექიმო ბალახებია, აქ კი არ  
არის ისეთი ბალახი... ეს წამლები არაფერსა ჰშველიან?  
არაფერს! ..

არ ვიცოდი, რა მეპასუხა, და ვახარე ახალი ამბა-  
ვი. ხმა გავარდა, რომ კავკასიაში ცალკე სატუსალოს  
აწყობენ სამხრეთელ ხალხისთვის. უსანას გაუხარდა.

— ეგ კარგია — სთქვა მან; — კავკასია კარგი ქვეყანა  
არის..

და ისევ დაწვა, გაეხვია საბანში. შე გამოვედი. შუა-  
ადლის ორს საათზე საავადმყოფოს მსახური მოვიდა ჩემ-  
თან და ლიმილით მითხრა:

— რა სასაცილოა ეგ უსანა! დამიძახა, საჭმელი

მოიტანე, ახლა ბევრი უნდა ვჭამოო. სამი კვერცხი  
შეჭამა და დიდი პურის ნატეხი. ახლა დაიძინა.

მე გავუჯავრდი.

— ხომ არ გაგიუდი? ეგ რა გიქნია?! შავი პური  
ხომ აწყენს უსანას!...

იმანაც გაიცინა.

— უსანას აწყენს? ეს რა სათქმელია! რაღა აწყენს  
— დღეს თუ ხვალ მოკვდება. სამგზავროდ ემზადება.

გავჩერდი. ერთის საათის შემდეგ მსახური ისევ შე-  
მოვიდა ოთახში.

— ახლა მალე მოკვდება!

შევწუხდი.

— რატომ გვინა-მეთქი?

— საბანსა ჰსწევს და ჰაერში ხელებით რაღაცას  
იჭერს. ეგ ნამდვილი სიკვდილის ნიშანია, დამიჯერეთ.

გულის ფანცქალით მივდიოდი უსანასთან. დავდექ  
კარებში და იქიდან ვუყურებდი. კეღლისკენ მიბრუნე-  
ბულიყო, თვალლია და, მართლაც, მარცხენა ხელით:  
თითქო რაღაცას იჭერდა. მე დავუძახე. ჰასუხი არ  
გამცა.

საღამოს ისევ ცოცხალი იყო. უცემ წამოჯდა და  
თავისებურად დიღლაპარაკა.

— რა გინდა, მარაზგალი? — ჰკითხა ზედამხედველმა.

— არაფერი, — უაპსუხა უსანამ და ისევ დაწვა. ეს  
იყო მისი უკანასკნელი სიტყვები,

კარებში ვუყურებდი და ვატყობდი, რომ სუნთქავ-  
და კიდევ. მოლოდინისაგან დავიღალე და თვლემა და-  
ვიწყე. შუალამისას მსახურმა გამომალვიძა.

— მოკვდა!..

— როგორ?!. — შევყვირე მე, მსახურმა არაფერი  
არ მიპასუხა და გავიდა.

მეც გავყე მარაზგალის ოთახში. რამდენიმე კაცი  
გარს ეხვეოდა მიცვალებულს და მის თვალების დახუჭ-  
ვის სცდილობდა. მე მეწყინა ასეთი დაჩქარება. გავაგდე  
ფარედ ეს არამკითხე მზრუნველები და მიცვალებულს ხელი  
მოვავლე. თბილი მეჩვენა. შევხედე თვალებში, მაგრამ  
თვალები უაზროდ იყურებოდნენ და შუშისას ემსგასე-  
ბოდნენ. უსანბაი მარაზგალი წუთისოფელს გამოეთხოვა.

მსახური შიცვალებულს დასტრიალებდა. ამ ბებერმა  
შაწანწალამ გამაკვირვა: ქვეყანაზედ არაფერი არა სწამდა,  
ყოველთვის ბრიყვი და შეუბრალებელი იყო. ეხლა-კი  
ჩედასავით ნაზად ექცეოდა მიცვალებულს.

— აი, ჩემო კარგო, — ამბობდა იგი და თან სუფრა.  
ჰერანგს აცმევდა: — მენ მარგელანსა ჰნახავ, დედა შენს...  
აღარავინ არ გაწყენინებს, არ დაგატუსალებს!...

ამ დროს კარი გაიღო, ოთახში შემოვიდნენ ფერშალი  
და რამდენიმე ზედამხედველი, რომელთაც ტუსალის სი-  
კვდილი შეატყობინეს.

მარაზგალი აქაურ სასაფლაოზე დამარხეს, ამ გზის  
პირას, რომლითაც ტუსალები სამუშაოზე დადიან. მის  
საფლავზე ჯვარი არ არის და ზამთრობით თოვლში იმა-  
ლება სრულებით. ზაფხულობით კი სხვადასხვა ყვავილე-  
ბით ირთობა.

რა გესიზმრება, ამ საფლავში, ჩემო ძვირფასო და  
უბედურო ყმაწვრლო? იქნება, იპოვე სიმშვიდე? და თუ  
იპოვე, განა არა სჯობია შენთვის, რომ ამ წუთისოფელს

გამოეთხოვე მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ დაგამჩნია  
თავისი დაღი ცხოვრების სისაძაგლეშ, როდესაც ჯერ კი-  
დევ სუფთა იყავი და უმწიკვნელი...

3. გ. — ისა.

## საპოლიტიკო ეკონომიკის კრიტიკა.

(თარგმანი რუსულით):

საპოლიტიკო ეკონომიკა წარმოსდგა როგორც ბუნებრივი შედეგი ვაჭრობის განვითარებისა, და მის გაჩენასთან ერთად უხეში და ველური ჩარჩ-ბატაცობა შეიცვალა ნება-დართულ მატყუარობის მთლიან სისტემად, გამდიდრების მთელ მეცნიერებად.

ეს საპოლიტიკო ეკონომიკა, ანუ გამდიდრების მეცნიერება, ვაჭართა მეტოქეობისა და ძარცვა-გლეჯისაკენ მისწრაფებაზე აღმოცენებული, უსაზიშლრეს ეგოიზმის გამომხატველი იყო მაშინ კიდევ გულ-უბრყვილოდ სწამდათ, რომ სიმდიდრე ოქრო-ვერცხლში გამოიხატა, ამიტომაც ყველა ქვეყნები თავის წმინდა მოვალეობად თვლიდნენ აეკრძალათ „ძვირფას“ ლითონთა გატენა სახელი რიფოდან.

ზალხები დაემსგავსნენ იმ ძუნწებს, რომელთაც ორივე ხელით ჩაუკრავთ გულში ფულიანი ტომრები და შურითა და ბოროტებით აღზნებულ თვალებით შესცემიან მეზობლებს.

იმ დროში ყოველ ძალ-ღონით ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ფული დაექროთ იმ ზალხისთვის, რო-

შელთანაც აღებ-მიცემობას ეწეოდნენ, და ერთხელ მო-  
პოვებული დავლა თავიანთ ქვეყნიდან ალარ გაეშვათ.

ამ პრინციპის ცხოვრებაში გადაჭარბებულ სიბეჭი-  
თით გატარებას შეეძლო დაეხშო ვაჭრობა. ხალხმა განვი-  
თარების საფეხურს უკვე გადააბიჯა. მან შეიგნო,  
რომ სალაროში შენახული თანხა იგივე მკვდარი თან-  
ხაა, წარმოებული თანხა კი თანდათან იზრდება.

მაშინ ვაჭრებმა მეტი კაცთმოყვარეობაც. გამოიჩი-  
ნეს. იწყეს სხვადასხვა მხარეში თავიანთ ფულების გზავ-  
ნა, რომელსაც იქიდან სხვა ფულის შემოტანას ავალებ-  
დნენ. მაშინ გაიგეს იგიც, რომ სრულებითაც არ ყო-  
ფილა საზარალო ძვირად იყიდო ვაჭარ ა—საგან საქო-  
ნელი, რადგან შესაძლებელია იგივე საქონელი უფრო  
ძვირად ვაჭარ ბ—ს მიჰყიდო.

ეს მოსაზრება მერქანტიულ სისტემას დაედო სარ-  
ჩულიად. ვაჭრობა ცდილობდა ნიღაბის მოფარებით თა-  
ვისი მძარცველობის დაფარვას. სხვადასხვა ქვეყნის ხალ-  
ხი ერთმანეთს უახლოვდებოდა. სდებდნენ ურთიერთ შო-  
რის ვაჭრულსა და მეგობრულს პირობებს და ერთმანე-  
თის სავაჭრო საქმეებში მონაწილე ხდებოდნენ, ხოლო  
მოგება რომ კიდევ უფრო გაედიდებინათ. შეძლები-  
სამებრ ერთმანეთს მეგობრულ დახმარებასაც უწევდნენ.  
მაგრამ არსებითად ვაჭრობა მაინც წინანდებურად მტა-  
ცებლობას წარმოადგენდა და მას წინანდებულივე ეგოიზ-  
მი ახასიათებდა, მისი ასეთი თვისებები დროგამოშვებით  
თავს იჩენდა ომებში, რომლის შიზეზი იმ ისტორიულ  
ხანაში ვაჭრული მეტოქეობა ყოფილა ხშირად. ეს ომე-  
ბი ამტკიცებდა, რომ ვაჭრობაც ისევე დამყარებულია  
შუშტის ძალაზე, როგორც ძარცვა-რბევა, იმ დროს

შირცხვილად არ მიაჩნდათ გაიძვერობით ან მალვით აეძულებინათ ერთმანეთი ისეთ პირობებზე, რომელიც ძლიერ მხარესთვის სასარგებლო მოსჩანდა.

მთელ მერკანტიულ სისტების ძირითად საფუძველს სავაჭრო ბალანსის თეორია შეადგენდა. რადგან მაშინ ჯერ კიდევ იმ აზრისა იყვნენ, რომ სიმღიდოებს ოქროვერცხლი შეიცავს, ამიტომ სასარგებლოდმხოლოდ ისეთ საქმეს თვლიდნენ, რომელსაც ნაღდი ფული შემოჰქონდა მხარეში. იმის გამოსაცნობად, თუ რამდენად სასარგებლოა მხარესათვის ესა თუ ის საქმე, აღარებდნენ ამ მხარეში მიერ შემოტანილ და გატანილ საქონლის რაოდენობას. თუ გატანილი მეტი აღმოჩნდებოდა შემოტანილზე, ეგონათ, მხარეს შეეძინა შესაფერი განსხვავება ნაღდ ფულად და მხარეც ამდენით უფრო მდიდარი შეიქმნაო მაშასადამე, ეკონომისტების ხელოვნება იმაში გამოიხატებოდა, რომ წლის დამლევს გატანილი მეტი აღმოჩენილიყო შემოტანილზე; და, აი, ამ კომიკურ ილლუზიებს სწირავდნენ მსხვერპლად ათასობით აღამიანს! ვაჭრობას შეუძლია თავი იქოს ჯვაროსანთა გალაშქრებით და ინკვიზიციებითაც.

მეთვრამეტე საუკუნემ, ამ რევოლუციის საუკუნემ, რევოლუცია მოახდინა პოლიტიკურ ეკონომიკიც. მაგრამ, როგორც ყველა ამ საუკუნის რევოლუცია, პოლიტიკურ ეკონომიკის სამფლობელოშიაც მომზდარი რევოლუცია ცალმხრივი აღმოჩნდა და ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციებით აღსავსე.

მაშინ განყენებულ სპირიტუალიზმს წინ დაუყენეს ისევ განყენებული მატერიალიზმი, მონარქიას—რესპუბლიკა, ღვთაებრივ ძალას—სოციალური ხელშეკრულობა,

და ვერც ეკონომიურმა რევოლუციამ შესძლო აცდე-  
ნოდა ამას; მისი ძირითადი აზრები ყოველ შემთხვევ-  
აში შეუცვლელად დარჩა: მატერიალიზმი, არ შეხებია-  
თავის კრიტიკით აღამიანის ქრისტიანულ თვით-დამკი-  
რებას და მან ქრისტიანულ ღმერთის ნაცვლად აღამიანს აბ-  
სოლუტის სახით წინდაუყენა ბუნება; პოლიტიკოსებს თავი  
არ შეუწუხებიათ, რომ შეემოწმებინათ სახელმწიფო წე-  
წყობილების საფუძველი, ხოლო პოლიტიკო-ეკონომებს  
კი აზრადაც არ მოსვლიათ, დაფიქრებოდნენ კერძო სა-  
კუთხების გამართლებას. ამიტომაც ახალმა საპო-  
ლიტიკო ეკონომიამ მხოლოდ უმნიშვნელო ნაბიჯი წინ  
წარსდგა. მას უნდა უარ ეყო და ელალატნა თავის სა-  
კუთარ ძირითად აზრებისათვის და მოეწვია დამხმარედ-  
სოფისტიკა და თვალთმაქუობა, რომ დაფარა წინააღ-  
მდეგობანი, რომელშიაც გაეხლართა, და იმ დასკვნამ-  
დე მისულიყო, რომლის მიღებაც მისთვის საჭირო იყო  
არა თავის ძირითად აზრთა მიხედვით, არამედ იმ საუკუ-  
ნის ჰუმანურ მიღრეკილებისა გამო. საპოლიტიკო ეკო-  
ნომიამ კაც-მოყვარეობის ხასიათი მიიღო. მან მოაკლო  
თავისი მოწყალება მწარმოებელს და დაასაჩუქრა თავისი  
სიყვარულით მომხმარებელი. მან მწუხარება გამოსთქვა მერ-  
კანტილიზმის-მიერ გამოწვეულ საზიზლარ სისხლის ლვრაზე  
და გამოაცხადა, ვაჭრობა ერთობისა და მეგობრობის თავ-  
დები არისო, როგორც ყველა ხალხისთვის, ისე თვითეულ  
კერძო პირისათვისაც. ყველა ეს კარგი იყო, მაგრამ  
აზრთა მაღე ძირითად აზრთა მოქმედების ძალამ იჩინა.  
თავი და ამ კაცმოყვარეობის საწინააღმდეგოდ შუქნა:  
მაღატუსის თეორია-მცხოვრებთა სიჭარბის შესახები, თე-  
ორია, ყველა არსებულ თეორიებზე უფრო ველური,

თეორია, რომელსაც შეუძლია კაცი სასოწარკვეთილება-  
ში ჩაგდოს, თეორია, რომელმაც ყველა ლამაზ სიტყვებს  
კაცობრიობის სიყვარულს და მსოფლიო მოქალაქეობას  
წესი აუგო. იმავე ძირითადმა აზრებმა შექმნეს და  
განავითარეს საქარხნო სისტემა და თანამედროვე მო-  
ნობა, რომელიც არაფრით ჩამოურჩება თავისი ულმე-  
ბელობით და სისასტიკით ძველი დროის მონობას. აღამ  
სმიტის თხზულება „ერთა სიმდიდრე“-ზე დამყარებულმა  
ახალმა საპოლიტიკო ეკონომიკამ, თაგესუფალ ვაჭრობის  
სისტემამ, გამოიჩინა ის თვალთმაქცობა, უკულმართობა  
და უუფლებობა, რომელნიც დღეს თავისუფალ კაცო-  
ბრიობას ეწინადლმდევებიან ყოველგან.

მაგრამ განა სმიტის სისტემა ნაბიჯის წინ გადადგმას  
არ წარმოადგენდა? ცხადია, ეს იყო წინ გაგადგმული  
ნაბიჯი და ნაბიჯი აუცილებელი. საჭირო იყო მერკან-  
ტიულ სისტემის და მის მონოპოლიების და სავაჭრო  
ურთიერთობათა შევიწროების უარყოფა, რომ უფრო  
ცხადად გამოაშარავებულიყო კერძო საკუთრების ნამ-  
დვილი შედეგი. საჭირო იყო უკუ ეგდოთ ადგილობრივ  
ანუ ნაციონალურ ხასიათის ყველა წვრილმანი მოსაზრე-  
ბანი, რომ დღეს ბრძოლას მიეღო უფრო საზოგადო ხა-  
სიათი და მთელი კაცობრიობა მოეცო.

კერძო საკუთრების თეორიას უნდა დაეტოვებინა  
თავისი წმინდა ემპირიულ და ობიექტიურ გამოკვლევის  
გზა და მიეღო მეცნიერული ხასიათი, რომელიც აკის-  
რებდა პასუხმებლობას დასკვნათა შესახებ; საჭირო  
იყო, აგრეთვე, ძველ საპოლიტიკო ეკონომიკის უზნეო  
ელემენტები უკიდურესობამდე მიეყვანათ მათისავე უარის-  
ყოფით და ფარისევლურ მოქმედებით, რომელიც აუცი-

ლებელი შედეგია ამავე უარყოფისა. ყველა ეს ბუნებრივი იყო. ჩვენ სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ ვაჭრობის თავისუფლების ცხოვრებაში განმტკიცებამ და გატარებამ შეძლება მოგვა, გვერდი აგვევლო კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საპოლიტიკო ეკონომიკისთვის, მაგრამ ამასთან უფლებას ვიტოვებთ დავამტკიცოთ, რომ ვაჭრობის თავისუფლება უაზრობაა, როგორც თეორიულის, ისე პრაქტიკულის მხრით.

ჩვენი განაჩენი იმდენად უფრო მკაცრი უნდა იქმნეს, რამდენადაც უფრო მახლობელ დროს ეკუთვნიან ის პოლიტიკო-ეკონომები, რომელთაც ჩვენ კრიტიკაში ვატარებთ.

საქმე ის არის, რომ სმიტსა და მალტუსი თეორიის მხოლოდ ნაწყვეტები დახვდათ, მათ შემდეგ მკვლევართ კი ხელში ჰქონდათ მთელი მოთავებული სისტემა. ამათ დროს უკვე გამოყვანილი იყო თეორიის ყველა დასკვნები და საკმაო ცხადად იყო გამორკვეული ყველა მისი წინააღმდეგობანი, მაგრამ ისინი მაინც ზედ-მეტად თვალი-დნენ გამოეკვლიათ თეორიის, დედა-აზრები და მთელი სისტემის პასუხის მგებლობას თვითონ კისრულობდნენ. რამდენადაც ეს პოლიტიკო-ეკონომები უფრო ახლო დგანან ჩვენს დროსთან, იმდენად უფრო უპატიოსნოა მათი საქმესთან დამოკიდებულება. დროს განმავლობაში სოფისტიკაც ძალა-უნებურად მნიშვნელოვანი შეიქმნა, რადგან საჭირო იყო მიემართათ მისთვის, რომ საპოლიტიკო ეკონომიას დროის შესაფერი სიმაღლე სჭეროდა. ამიტომ რიკარდოს ბრალი მეტია, ვინემ აღამ სმიტის, ხოლო მაკ-კულდოხის და მილლის ბრალი მეტია, ვინემ რიკარდოს ბრალი.

ახალ საპოლიტიკო ეკონომისს ნამდვილი მსჯელობის შედგენაც კი არ შეუძლია მერკანტიულ სისტემაზე, რადგან თვითონაც იმ ცალმხრივი მსჯელობითაა გამსჭვალული და ძველი საწინამძღვრო აზრებით სარგებლობს. ორივე სისტემის ნამდვილი დაფასება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამ მერკანტიულ და ვაჭრობის თავისუფლების სისტემებზე უფრო მაღლა დგეხარ, კრიტიკაში ატარებ მათ საწინამძღვრო აზრებს და ნამდვილ აღამიანურ შეხედულობას ღებულობ. ქვევით დავამტკიცებთ, რომ ვაჭრობის თავისუფლების დამცველნი უფრო უვარებელია მონაპოლისტები იყვნენ, ვინემ მერკანტიული სისტემის მომხრენი. დავამტკიცებთ, რომ ახალ პოლიტიკო-ეკონომთა კაცომუყვარეობის ფაჩისეეულ ნიღამ ქვეშ იმაღლება ისეთი ბარბაროსობა, რომელიც მათ წინამოადგილესათვისაც კი უცნობი იყო, რომ ძველი სკოლის პოლიტიკო-ეკონომთა დამახასიათებელი შემცნებათა არევ-დარევაც კი უფრო მარტივი და ნათელი იყო, ვინემ მათ მოწინააღმდეგეთა ორჭოფული ლოლიკა, და რომ არც ერთ ამ სკოლათაგანს არ შეუძლია მეორეს უსაყველუროს ისეთი რამ, რაშიაც თვითვე არ იყოს სასაყველურო. ამიტომა, რომ ახალ ლიბერალ საპოლიტიკო ეკონომისს ვერას გზით ვერ აუხსნია მერკანტიულ სისტემის განახლება, ჩვენთვის კი ამისი ახსნა აღვილი რამეა. თანდათანობას მოკლებული და ორჭოფობაში ჩავარდნილი ლიბერალური საპოლიტიკო ეკონომია უნდა დანაწილდეს თავის შემადგენელ ელემენტების მიხედვით. სწორედ ისე, როგორც თეოლოგია იძულებული — ან წავიდეს და დაუბრუნდეს ბრმა სარწმუნოებას, ან წინ გასწიოს და განვითარდეს თავისუფალ ფილოსოფიამდე, — ისე

ვაჭრობის თავისუფლებამაც, ერთის მხრით, უნდა გარდა-  
ქმნას მონოპოლია, მეორეს მხრით, მოსპოს კერძო საკუ-  
თრება.

ერთად-ერთი სწორი ნაბიჯი საპოლიტიკო ეკონო-  
მიამ გადადგა წინ კერძო საკუთრების კანონთა განვითა-  
რებაში, თუმცა მას ბოლომდე არ განუვითარებია და  
მთელის სიცხადით არ გაურკვევია ეს კანონები ყველ  
გან, სადაც გამდიღრებისაკენ მიმავალ უმახლობე-  
ლეს გზაზე, პიოს აღძრული კამათი, ე. ა. ვიწრო-ეკო-  
ნომიურ კამათში, ვაჭრობის თავისუფლების დამცველნი  
ყოველთვის იმარჯვებენ. შეცდომის ასაცილებლად უნდა  
გავიხსენოთ, რომ ისინი იმარჯვებენ მონოპოლისტებთან  
კამათში და არა კერძო საკუთრების მოწინააღმდეგებთან  
კამათში, რადგან ინგლისელმა სოციალისტებმა პრაქტი-  
კულადაც და ოფორმულადაც, დიდი ხანია, დაამტგიცეს,  
რომ ეკონომიურ კითხვებზე კერძო საკუთრების მოწი-  
ნააღმდეგენი უფრო სისწორით მსჯელობენ, ვინემ ამ  
საკუთრების მომხრენი.

ამნაირად ჩვენ ამ საპოლიტიკო-ეკონომიის კრიტი-  
კაში გამოვიკვლევთ მის ძირითად კატეგორიებს, გამო-  
ვაშარავებთ წინააღმდეგობებს, რომელიც შეუტანია შიგ  
ვაჭრობის თავისუფლების სისტემას, და გამოვიყვანთ იმ  
შედეგებს, რომელთაკენაც ამ წინააღმდეგობას მივყევართ.

\* \* \*

„ნაციონალურ სიმდიღრის“ ცნება დაბადა ლი-  
ბერალ ეკონომისტთა მისწრაფებამ, ყველაფერს ზოგადი სა-  
ხელი დაარქვან. სანამ კერძო საკუთრება არსებობს, ამ  
სიტყვებს არავითარი მნაშვნელობა არა აქვთ. ინგლი-

სელთა „ნაციონალური სიმღიდრე“ დიალია, მაგრამ ინ-  
გლისელი ხალხი ერთი ულარიბესთაგანია მთელ ქვეყა-  
ნაზე. ორში ერთი უნდა იყოს: ან სრულიად უნდა უარ-  
ვყოთ ეს სიტყვები ან არა და ისეთი საწინამძღვრო აზრი  
მივიღოთ, რომელსაც შეეძლოს მათ რამე აზრი მოუ-  
ნახოს. ეგევე შეიძლება ითქვას სიტყვებზედაც — ნაციო-  
ნალური, საპოლიტიკო ანუ საზოგადოებრივი ეკონომიკა:  
თანამედროვე პირობებში მეცნიერებას ნამდვილად კერძო  
ეკონომიკის სახელი უნდა დარქმეოდა, რადგან ყოველ-  
გვარი საზოგადოებრივი ურთიერთობანი არსებობენ გან-  
საკუთრებით კერძო საკუთრებისთვის.

\* \* \*

კერძო საკუთრების პირველი შედეგია ვაჭრობა,  
სახმარ საგანთა საურთიერთო გაცელა, ყიდვა და გაყიდ-  
ვა. კერძო საკუთრების ბაზონობის დროს, როგორც  
ყველა სხვა წარმოება, ვაჭრობაც პირზაპირი საარსებო წყა-  
როა იმათვის, ვინც მას მისდევს. ეს კი იმას ნიშნავს,  
რომ თვითეული მოვაჭრეთაგანი ცდილობს იყიდოს, რაც  
შეიძლება, იაფად და გაპყიდოს, რაც შეიძლება, ძვირად.  
ამგვარად თვითეულ კიდვაზე და თვითეულ გაყიდვაზე  
ეჯახება ერთი-მეორეს ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე  
ინტერერესებით აღჭურვილი ადამიანი; მათი უთანხმოე-  
ბა უეჭველად მტრული ხასიათისაა, რადგან თვითეულმა  
მათგანმა იცის ერთი-მეორის მისწრაფება და ესმის, რომ  
მეორის მისწრაფება. სრულიად ეწინააღმდეგება მის საკუ-  
თარ მისწრაფებას. აქედან წარმოსდგება, ერთის მხრით,  
ერთმანეთის უნდობლობა და, მეორეს მხრით, ამ უნდო-  
ბლობის გამართლება და უზნეო საშვალების მიღება,  
უზნეო მიზანის მისაღწევად. მაგალითად, ვაჭრობის ძი-

რითადი პრინციპია გულჩახვეულობა და დაფარვა ყველა იმ გარეშემობისა, რასაც კი შეუძლია ფასი დაკლოს გასაყიდ საქონელს. ამ მოსაზრებით ვაჭრები ყოველგვარად ცდილობენ ისარგებლონ მოპირდაპირე მხარის გამოუცდელობითა და ნდობით და ის თვისებები მიაწერონ თავიანთ საქონელს, რომელიც მას ნამდვილად არა აქვს. ერთის სიტყვით, ვაჭრობა აშკარა მოტყუებაა. პრაქტიკა რომ ამ შემთხვევაში სრულიად ეთანხმება თეორიას, ამას თვითეული ვაჭარი დამოწმებს, თუ იტყვის სიმართლეს.

მერკანტიულ სისტემას რამოდენიმედ მაინც ჰქონდა ხასიათად კათოლიკური გულ-ახდილი პირდაპირობა, იგი მცირედაც არ ჰქონდა ვაჭრობის უზნეობას. ჩვენ უკვე დავინახეთ მერკანტილიზმის აშკარა გაუმაძლრობა. ხალხთა შორის საურთიერთო მტრობა, მათი საზიზლარი შური და მე-18. საუკუნის ვაჭრული მეტოქეობა. საზოგადოდ ვაჭრობის შედეგი იყო. იმ დროს საზოგადოებრივ აზრზე ჯერ კიდევ ვერ მოეპოვებინა გავლენა ჰუმანურ თეორიებს. რატომ უნდა დაეფარათ ის, რაც ვაჭრობის ულმობელი შინაარსის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა?

შავრამ იმ დროს, როცა აღამ სმიტი ლიუტერის როლს ასრულებდა ეკონომისტთა შორის და შეუდგა წინანდელ საპოლიტიკო ეკონომისის კრიტიკას, საქმეთა გარემოება ძლიერ შეცვლილი იყო. მაშინ კაცთმოყვარეობის ხანა იდგა. გონებამ იჩინა თავის გავლენა და ზნეობა კი უკვე ემყარებოდა მის მუდმივ უფლებებს. ძალმომრეობით დადგენილი სავაჭრო ხელშეკრულებანი, ვაჭრული ანგარიშით გამოწყვეული ომები და ხალხთა ერთმანეთში შესამჩნევი დაშორება, ყველა ეს ძლიერ

ეწინააღმდეგებოდა წარმატების გზაზე მიმავალ საზოგადოების თვითცნობიერებას. მაშინ ხასიათის კათოლიკური პირდაპირობა შეიცვალა პროტესტანტულ ორპირობად.

სმიტმა დაამტკიცა, რომ კაცომოყვარება ვაჭრობის თვისებაა, რომ „უთანხმოებისა და მტრობის წყაროს“ ნაცვლად ვაჭრობა უნდა „ერთობისა და მეგობრობის შემქნელი შეიქმნეს, როგორც ხალხთა შორის; აგრეთვე თვითეულ პირთა შორისაც“, და რომ ბუნებითად ვაჭრობა საზოგადოდ სასარგებლოა ყველა მონაწილეთათვის.

სმიტი შართალი იყო, როცა ვაჭრობის კაცომოყვარებას აქებადიდებდა. ქვეყანაზე არაფერი არ არის აბსოლუტურად უზნეო, და ვაჭრობაც თითქორიმოდენავმე აფასებდა ზნეობასა და აღამიანობას. მაგრამ როგორ აფასებდა მათ! შეუტიცკრივის უფლებამ, ჟ. ი. საშუალო საუკუნის თავხედურმა ავაზაკობამ დიდ გზებზე, კაცომოყვარული ხასიათი მიიღო, როცა ვაჭრობად შეიცვალა, ხოლო ვაჭრობა კი, რომელსაც მშვენივრად ახასიათებს ფულის გატანის აკრძალვა, თავის მხრივ, უფრო ჰუმანიური შეიქმნა, როცა მერკანტიული სისტემა მიიღო. შემდეგ თვით მერკანტიული სისტემაც ჰუმანიურ ცვლილებას ვერ აცდა. ცხადია, რომ ვაჭრობისთვის სასარგებლოა კარგ განწყობილება შინკოს როგორც თვით გამყიდველთან, ისე ძვირად მყიდველთან, ამიტომ სიბრივე იქმნებოდა, ერთის მხრივ, თავისი. ქცევით მყიდველ-გამყიდველებში მტრობა გამოეწვია. მეტი თავაზიანობა მეტ სარგებლობას მოიტანს. ამ პრინციპშია მოქცეული ვაჭრობის ჰუმანობა (კაცომო

მოყვარეობა). ხოლო ვაჭრობის თავისუფლების სიამა-  
ყეს შეადგენს ფარისევლურ და უზნეო მიზნის მისაღწე-  
ვად ზნეობის ბოროტად ხმარებაც. „განა ჩვენ არ დავ-  
მარხეთ მონოპოლიის ბარბაროსობა?“ — ყვირიან ფარი-  
სევლები. „განა ჩვენ არ შევიტანეთ განათლება დედა-  
მიწის უშორესს კუთხეებში, განა ჩვენ არ შევქენით  
ხალხთა შორის ძმობა არ შევამცირეთ ომები?“ დიალ,  
მართალია, თქვენ ეს მოიქმედეთ, მაგრამ რა სახით!  
თქვენ მოსპეთ წვრილი მონოპოლიები იმისთვის, რომ-  
უფრო თავისუფლად და ხელ შეუშლელად დაპატრონე-  
ბოდა მათ ერთი უზიდესი, ძირითადი მონპოლია — კერ-  
ძო საკუთრება. თქვენ ქვეყნის ყოველ კუთხეში შეიტა-  
ნეთ განათლება იმისათვის, რომ კიდევ უფრო ფართოდ  
გაედგა ფესვები ახალ ნიაღაგზე თქვენს მდაბალ, ანგა-  
რულ მისწრაფებას. მართალია, თქვენ ხელს უწყობდით  
ხალხთა შორის ძმურ ერთობას, მაგრამ თქვენ დაამყა-  
რეთ ამითი ქურდების ძმობა, და ხელი შეუწყეთ ხშირ  
ომთა შემცირებას იმისათვის, რომ უფრო მეტს გამორ-  
ჩენოდით მშვიდობიანობას და უკიდურესობამდე. მიგე-  
ყვანათ ცალკე პიროვნებათა შორის მტრობა და მეტო-  
ქეობის უნამუსო ბრძოლა! როდის გაგიკეთებიათ თქვენ  
რამე ჰუმანურ გრძნობათა გატაცებით ან იმ რწმენით, რომ  
საზოგადო და კერძო ინტერესთა შორის წინააღმდეგობა  
უმნიშვნელოა? როდის იქცეოდით თქვენ ზნეობრივად,  
რომ პირადი სარგებლობით არ გეხელმძღვანელებიათ  
და ამავე დროს არ გქონებოდათ ფარულად უზნეო და  
ეგოისტური მიზნები?

ლიბერალმა საპოლიტიკო ეკონომიკამ ყველაფერი  
გააკეთა, რაც შეეძლო, რომ საზღვრები მოეშალა ცალ-

კე ერთა შორის, და ამნაირად განესაზოგადოებინა ხალ-  
ხთა შორის მტრობა, გადაეჭუია მთელი კაცობრიობა  
ერთმანეთის მჭამელ მხეცებად, რომლებიც ერთმანეთს  
სჭამენ მხოლოდ იმიტომ, რომ თვითეულს მათგანს იგი-  
ვე ინტერესები აქვს, რაც მის ამხანაგს. ამ საქმის შე-  
რულების შემდეგ მისთვის საჭირო იყო კიდევ ერთი ბი-  
ჯის გადადგმა, სახელდობრ, ოჯახის მოშლა. ამაში ხე-  
ლი მოუმართა მას მისმა საკუთარმა შესანიშნავმა გამო-  
გონებამ—საქარხნო სისტემამ. საქარხნო სისტემის მეო-  
შებით,—აქ, ინგლისში მაინც,—გაპერა ან უკვე ჰქება  
ოჯახის საერთო ინტერესების ნაშთი და ოჯახურ ქო-  
ნების თანაზიარი მფლობელობა. აქ უკვე შეეჩინენ იმას,  
რომ ბავშვები შრომას რომ შესძლებენ, ე. ი. ცხრა წელ-  
ში ჩადგებიან, თავის შრომით მოპოვებულ ხელფასს გან-  
საკუთარებით თავის თავზე ხარჯვენ, მამის სახლს უყუ-  
რებენ, როგორც სამიკიტნოს და მშობლებს უხდიან მხო-  
ლოდ საჭმლისა და ბინის გადაჭრილ ქირას. განა სხვა-  
ფრივ შეიძლება? განა შეიძლებოდა სხვა. შედეგის მო-  
ლოდინი იმ ინტერესთა სხვადასხვაობისაგან, რომე-  
ლიც საფუძვლად უდევს ვაჭრობის თავისუფლებას? რა-  
კი რომელიმე პრინციპი ცხოვრებაში ტარდება, თავის  
თავად იჩენენ თავს ყველა მისი შედეგები, მიუხედავად  
იმისა, მოსწონთ თუ არა ეს შედეგები ეკონომისტებს.

მაგრამ ეკონომისტი ვერ ამჩნევს, რა საქმეს ემსა-  
ხურება. მან არ იცის, რომ თავის ეგოისტურ სიბრ-  
ძნით იგიც ერთი რგოლთაგანია მთელი კაცობრიობის  
საერთო პროგრესის ჯაჭვზე. იგი არ ხედავს, რომ კერ-  
ძო ინტერესთა მოსპობით იგი მხოლოდ გზას უკაფავს.  
დიდებულ ცვლილებას, საითკენაც მიისწრაფის საუკუნე,

გზას უცელავს კაცობრიობის მორიგებას ბუნებასთან და  
თავის თავთანაც.

\* \* \*

ვაჭრობის ერთი უპირველესი კატეგორიათაგანია ღი-  
რებულობა. იგი, როგორც სხვა კატეგორიებიც, არავი-  
თარ უთანხმოებას არ იწვევდა ძველ ეკონომისტთა და  
მათ მახლობელ მიმდევართა შორის, რათგან მონოპო-  
ლისტები იმდენად იყვნენ გატაცებულნი გამდიდრების  
წყურვილით, რომ კატეგორიებზე მსჯელობის ღროც არ  
ჰქონდათ. ასეთ რამეებზე ყოველგვარი დავა-კამათი ახალ-  
სკოლის ეკონომისტთა დაწყებულია.

წინააღმდეგობებში გახლართულმა ეკონომისტმა შე-  
თხზა თავისათვის ორგვარი ღირებულობა, აბსტრაქტული  
ანუ რეალური (ნამდვილი) ღირებულობა და გასაცვლე-  
ლი ღირებულობა. რეალურ ღირებულების შინაარსშა-  
გრძელი კამათი გამოიწვია, ერთის მხრივ, ინგლისელებს,  
რომელნიც წარმოების დანახარჯში ხედავდენ რეალურ  
ღირებულების გამოხატულებას, და, მეორეს მხრივ, კი  
ფრანგ ლეონ სეის შორის, რომლის აზრით ყოველ სა-  
გნის ღირებულება ირკვევა მისი სარგებლობის მიხედვით.  
ეს კამათი დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან  
და დღეს შეწყდა, მაგრამ საბოლოოდ კი არ გადაწყვე-  
ტილა. ეკონომისტები ვერ მივიდენ ვერავითარ და-  
კვნამდის.

ინგლისელები და, უმთავრესად, მაკ-კულონი და  
რიკარდო, ამტკიცებენ, რომ რომელიმე ნივთის აბ-  
სტრაკტულ ღირებულებას არკვევს მისი წარმოე-  
ბაზე დანახარჯი. აქ ლაპარაკია აბსტრაკტულს და  
არა გასაცვლელს ღირებულებაზე, არა exchangeable

value-ზე, არა ვაჭრულ ღირებულებაზე. გასაცვლელი ღირებულება სულ სხვა შემეცნებაა. რატომ არის წარმოების დანახარჯი ღირებულების გამრკვევი საზომი? აბა ყური დაუგდეთ! იმიტომ, რომ ჩვეულებრივ პირობებში, თუ მეტოქეობის როლს გამოვაკლებთ, არავინ არ გაყიდის ნივთს მასზე იაფად, რაც მას მისი წარმოება დაუჯდა. არ გაჰყიდის? „გაყიდვა“ აქ რა შუაშია, როცა ლაპარაკი სავაჭრო ღირებულებას არ ეხება? აქ ისევ ჩაერია საქმეში ვაჭრობა. მერე როგორი ვაჭრობა! ვაჭრობა, რომლიდანაც გამორიცხულია. მისი უმთავრესი თვისება — მეტოქეობა. წინად ლაპარაკი იყო აბსტრაქტულ (ნამდვილ) ღირებულებაზე, ახლა კი ლაპარაკია უკვე აბსტრაქტულ, უმეტოქეო ვაჭრობაზე. ეს კი იმასა ჰგავს, ილაპარაკო უსხეულო ადამიანზე. ნუ თუ ეკონომისტმა ვერ მოიაზრა, რომ, მეტოქეობას თუ ჩამოვაცილებთ, არაფერდ არ აიძღებს მწარმოებელს სწორედ იმ ფასად გაჰყიდის თავისი საქონელი, რაც მას დაჯდომია. აი, შემეცნებათა როგორი ირევ-დარევაა ამ მსჯელობაში!

ესეც არ კმარა! ვთქვათ, რომ ყველაფერი ისეა, როგორც ეკონომისტი ამბობს. წარმოვიდგინოთ, რომ კვინმემ ბევრის შრომითა და დიდის ხარჯით დაამუშავა შრულიად უსარგებლო საგანი, რომელიც არავისათვის საჭირო არ არის. ნუ თუ ამის ღირებულებასაც მის დამუშავებაზე დანახარჯი შეადგენს? „არა“, ამბობს ეკონომისტი, „განა ასეთს საგანს მყიდველი ეყოლებაო?“

მაშ, რაკი საქმე ყიდვაზეა, ღირებულების გასარცვევად ახლა ანგარიშში უნდა მივიღოთ არა მარტო სეის მიერ წამოყენებული სარგებლიანობა, არამედ კონკურენციის (მეტოქეობის) ურთიერთობაც. ეკონომისტის

ერთის წამითაც არ შეუძლია შეირჩინოს თავისი აბ-  
სტრაქტია. მის მსჯელობაში ყოველ წამს ეჩრება  
არა მარტო ის, რისგან განთავისუფლებას ისე ძალიან  
სცდილობს, ე. ი. მეტოქეობა, არამედ ისიც, რის წინააღ-  
მდეგიცა, სახელდობრ, საგანის სარგებლიანობა. აბსტრა-  
ქტული ლირებულება და წარმოების დანახარჯით მისი  
ახსნა მხოლოდ აბსტრაქტიის, უაზრობაა.

მაგრამ დავეთანხმოთ კიდევ ერთის წამით ეკონო-  
მისტს და ვკითხოთ, როგორდა გაარკვევს იგი წარმოების  
დანახარჯს, თუ ანგარიშში არ მიიღებს მეტოქეობას? წარმოების ხარჯების გამორკვევის დროს ჩვენ დავინა-  
ხვთ, რომ ეს კატეგორიაც მეტოქეობაზეა დამყარებული  
და ამ შემთხვევაში ხელახლად ვრწმუნდებით მასში, რომ  
ეკონომისტისათვის შეუძლებელია დამტკიცოს მის მიერ  
წარმოდგენილი აზრები.

დაუბრუნდეთ სეის, რომელსაც იგივე აბსტრაქტია  
იზიდავს. საგნის სარგებლიანობა სუბიექტიურია და გან-  
მარტებას არ ემორჩილება, იქამდე მაინც, სანამ ადამიანი  
წინააღმდეგობებში იხლართება.. ამ თეორიით პირველ სა-  
ჭირო ნივთებს მეტი ლირებულება უნდა ჰქონდეს, ვინეში  
საფუფუნო საგნებს, რადგან მათი სარგებლიანობა, ყვე-  
ლაზე წინა დგას. კერძო საკუთრების ბატონობის დროს  
რაიმე ნივთს მეტი თუ ნაკლები სარგებლიანობის ობი-  
ექტიური განმარტება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემ-  
თხვევაში, როცა სახეში ვლებულობთ მეტოქეობას და აქ  
სწორედ ამათი უყურადღებოდ დატოვება გვიხდება. მაგრამ  
თუ კი ყურადღებას მივაქცევთ მეტოქეობას, მაშინ ვერ  
ავცდებით წარმოების ხარჯებს, რადგან არვინ არ გაჰყი-

დის ნივთს იმაზე იაფად, რაც მისი წარმოება დაუჯდა. აქაც უნებურად ერთი წინააღმდეგობა მეორეში გადადის.

ვეცადოთ და ეს არევ-დარევა გამოვარკვიოთ. ნივთის ღირებულობა შეიცავს ორსავე ფაკტორს, რომელთა გათიშვასაც, როგორც დავინახეთ, ორივე მოკამათე მხარე ამაღდ ცდილობდა. ღირებულების საკითხი მაშინ გვიდგება წინ, როცა ასეთი კითხვა წყდება: დამუშავდეს თუ არა საზოგადოდ ესა თუ ის ნივთი, ე. ი. უპირატესობა აქვს თუ არა ნივთის სარგებლიანობას. წარმოების ხარჯთან შედარებით. მხოლოდ ამ კითხვის გადაწყვეტის შემდეგ მიმოცვლის პროცესში ღირებულობის როლზე ღაბარაკი შესაძლებელია. თუ ორი ნივთის დასამუშავებელი ხარჯი თანაბარია, მაშინ მათ შედარებითს ღირებულობას არკვევს მათი სარგებლიანობა.

გაცვლის საქმეში ასეთი მსჯელობა ერთად-ერთი სამართლიანი საფუძველია. მაგრამ თუ ასეთს თვალთა ხედვის ისარს მოვიმარჯვებთ, რამ უნდა გადაწყვიტოს ნივთის სარგებლიანობა? ნუ თუ გაცვლის საქმეში მონაწილეობა აზრმა, შეხედულებამ? არა, რადგან მაშინ ერთი მონაწილეთაგანი გაცვლაში უთუოდ მოტყუებული დარჩება. ან იქნება, ამა თუ იმ ნივთის სარგებლიანობის ახსნაში უნდა ერეოდეს დაინტერესებულ მხარეთაგან დამოუკიდებელი რომელიმე მოტივი (საბაბი), და მოტივი მათთვის უცნობი? მაგრამ მაშინ ხომ გაცვლა უნდა ძალადობით მოხდეს და ორივე მხარე თავს მოტყუებულად ჩათვლის. სანამ კერძო საკუთრება არსებობს, შეუძლებელია მოგსპოთ წინააღმდეგობანი ნივთის ნამდვილი სარგებლიანობასა და მის სარგებლიანობის განმარტების შორის, სარგებლიანობის განმარტებასა და გაცვლაში მო-

ნაწილეთა თავისუფლების, შორის. ხოლო რაკი კერძო საკუთრება მოისპობა, მაშინ ლაპარაკიც მეტია გაცვლის იმ ფორმაზე, რომელიც ახლა არსებობს. მაშინ პრაქტიკაში შემეცნება ღირებულება განისაზღვრება უმთავრესად წარმოების შესახები კითხვით. და აი. სწორედ აქ არის სარბიელი ღირებულების მოქმედებისთვის.

ჩვენ ვნახეთ, რომ შემეცნება ღირებულობა ძალით გათიშეს და რომ მის ცალკე ნაწილებს ერთ მთელად რაცხდენ. საწარმოო ხარჯები, იმ თავიდანვე მეტოქეობის ბურუსში გახვეული, ფვით ღირებულობად მიაჩნდათ. ეგევე შეიძლება ითქვას ყოველ ნივთის სარგებლიანობის წმინდა სუბიექტივურ შემეცნებაზე. ეს დამახინჯებული განმარტება როგორმე რომ შევასწოროთ, ორივე შემთხვევაში მეტოქეობის მხედველობაში მიღება ხდება საჭირო. ამასთან ყველაზე მშვენიერი ისაა, რომ ინგლისელების აზრით სარგებლიანობის ადგილს იჭერს მეტოქეობა, წინააღმდეგ საწარმოო ხარჯებისა, ხოლო სეის აზრით, პირიქით, იმავე მეტოქეობას, წინააღმდეგ სარგებლიანობისა, საწარმოო ხარჯებიც შეაქვს ღირებულების განმარტებაში. მაგრამ რაა ეს სარგებლიანობა და ეს საწარმოო ხარჯები! სარგებლიანობა, რომელიც მათ სახეში აქვთ, დამოკიდებულია შემთხვევაზე, მოღაზე, მდიდართა კაპრიზებზე, ხოლო საწარმოო ხარჯები კი, მათის აზრით, მოთხოვნისა და მიწოდების შემთხვევითს დამოკიდებულებისაგან იზრდება და ეცემა.

რეალურ და გასაცვლელ ღირებულების შორის განსხვავებას ამყარებენ მასზე, რომ რომელიმე ნივთის ღირებულება განსხვავდება ეგრედ წოდებულ მის ეკვივალენტისაგან, რომელსაც მასში გაცვლის დროს აძლევენ,

ე. ი. მასზე, რომ ეს ეკვივალენტი სრულებით ეკვივა-  
ლენტი არ არის. ეს ეგრეთ წოდებული ეკვივალენტი  
იგივე ნივთის ფასია, და რომ ეკონომისტი პატიოსანი  
იყოს, სიტყვა „ფასს“ იხმარდა ნაცვლად სიტყვისა  
„სავაჭრო ღირებულება“. მაგრამ იგი ხომ ჯერ კიდევ  
ძძულებულია ითვალთმაქციოს და დაარწმუნოს ხალხი,  
ვითომ ფასი, ასე თუ ისე, დამოკიდებულია ღირებულე-  
ბაზე და ამნაირად ვაჭრობის უზნეობა დამალოს. ფასს  
რომ საწარმოო ხარჯისა და მეტოქეობის საურთიერთო  
დამოკიდებულება არკვევს, ხსნის, ეს სრული სიმართლეა  
და შეადგენს კერძო საკუთრების ძირითად კანონს. ეს  
წმინდა ემპირიული კანონი იმ თავითვე აღმოაჩინა ეკო-  
ნომისტმა. აქედან კი მან აბსტრაკციის მეოხებით გამო-  
იყვანა თავისი რეალური ღირებულება, ე. ი. ნივთის  
ფასი რომელიც მას აქვს იმ დროს, როცა მეტოქეობის  
ურთიერთობა გამოირკვა, როცა შოთხოვნა და შიწო-  
დება ერთი-მეორეს უდრის, როცა სახეშიუნდა მივიღოთ  
საწარმოო ხარჯები. სწორედ ამას ეძახის ეკონომისტი  
რეალურ ღირებულებას, როცა იგინი შეადგენენ მხო-  
ლოდ ნივთის ფასის გამომრკვევ მომენტს. მაგრამ ასე  
უკულმაა გადაბრუნებული ყველაფერი მათს საპოლიტი-  
კო ეკონომიაში! ღირებულებას, რომელიც შეადგენს  
თავდაპირველ ელემენტს და წყაროს ფასისას, დამოკი-  
დებულს ხდიან აუკანასკნელისაგან, ფასისაგან, ე. ი.  
მის შემადგენელ ნაწილისაგან. ასეთი გარდაქმნა აბსტ-  
რაქციის საქმეა, რისთვისაც შეიძლება ფეიერბახს. მი-  
მართოთ.



ეკონომისტთა აზრით, რომელიმე საქონლის საწარმოო ხარჯები სამი ელემენტისაგან შესდგება: იმ ნაჭერ მიწაში გადახდილ მიწის რენტასაგან, რა მიწაც საჭიროა ნედლი მასალის მოსამუშავებლად, კაპიტალისგან და მისი მოგებიანად და იმ შრომის ხელფასისგან, რა შრომაც საჭიროა ნედლი მასალის საწარმოოდ და დასამუშავებლად. მაგრამ აქვე აშკარავდება, რომ კაპიტალი და შრომა, ეკონომისტთა აზრით, თანასწორ მნიშვნელოვანია, რადგან თვითვე აღიარებენ, რომ კაპიტალი მიაჩნიათ „შეგოვილ შრომად“. ამნაირად, ჩვენ გვრჩება მხოლოდ ორი ელემენტი: ბუნებრივი და სუბიექტივი; ბუნებრივი ელემენტი—მიწა და სუბიექტივი—შრომა, რომელიც კაპიტალს შეიცავს. მაგრამ კაპიტალს გარდა კიდევ არის რაღაც მესამე, რომელსაც ეკონომისტი უყურადღებოდ სტოვებს,— მე ვამბობ ახალ გამოგონების და აღმოჩენის სულიერ ელემენტზე, აზრზე, რომელიც მარტივი შრომის ფიზიკურ ელემენტთან ერთად მოქმედობს. მაგრამ ეკონომისტს რა საქმე აქვს შემოქმედებითს ძალასთან. განა ყოველგვარი გამოგონება სრულიად უშრომლად არ მოახერხა? განა მას დაუჯდა რათმე თუნდ ერთი გამოგონება? გაშ რისთვისლა იფიქროს მათზე ეკონომისტმა საწარმოო ხარჯთა გამორკვევის დროს?

მისი სიმღიდრის პირობებს შეადგენენ მიწა, კაპიტალი და შრომა, სხვას არას დაგიდევს. მეცნიერება მას არ აინტერესებს. რა ენაღვლება რომ ბერტოლდესი დავის, ლიბიხის თუ უატტის ან კარტვიჩის მეოხებით მიაღწია მისამდე მეცნიერებამ, რომელმაც ხელი შეუწყო მის კეთილდღეობას და მისი წარმოების წარმატებასაც ეს მისს ანგარიშში არ შედის. მეცნიერების პროგრესი მის

ციფრებში ორ ეჩრება. მაგრამ გონივრულ პირობებში სულიერი ელემენტიც წარმოების ელემენტებს შეეძარება. და პოლიტიკურ ეკონომიკაში საწარმოო ხარჯებთან ერთად ისიც თავის ადგილს დაიჭირს. მაშინ სიამოვნებით გავიგებთ, თუ რამდენად ფასდება ნივთიერად მეცნიერების-მიერ შემოტანილი გაუმჯობესება, სიამოვნებით შევიგნებთ, რომ მეცნიერების რომელიმე ნაყოფმა, თუნდა ჯემს უატტის ორთქლის მანქანამ, თავის არსებობის პირველ 50 წლის განმავლობაში, ზევრად მეტი შესძინა ქვეყანას, რაც თვით ქვეყანამ იმ თავიდანვე ტახარჯა მეცნიერების წარმატებაზე.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ წარმოების ორ ელემენტთა მოქმედებებს; ბუნების მოქმედებას და აღამიანის მოქმედებას. აღამიანის მოქმედება კი გამოიხადება როგორც ფიზიკურის, ისე სულიერის მხრით. ახლა შეგვიძლია დავუბრუნდეთ ეკონომისტს და მის საწარმოო ხარჯებსაც.

\* \* \*

„რის მონოპოლიაც შეუძლებელია, მას არც ლირებულობა აქვს“, ამბობს ეკონომისტი. ამაზე ჩვენ დაწვრილებით შემდეგ ვილაპარაკებთ. თუ ჩვენ ვამბობთ — „არავითარი ფასი არ აქვს“, ეს სრული სიმართლეა საზოგადოებრივი პირობების შესახებ, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე. მიწაც რომ ეს ადვილად მოიპოვებოდეს, როგორც პური, არც ერთი აღამიანი მიწის ჩენტას არ გადაიხდილა. მაგრამ საქმე სულ სხვა გვარადაა, და თვითეულ ცალკე შემთხვევაში მიწით სარგებლობა, ამა თუ იმ ჩარჩოებით განსაზღვრულია. ამიტომ ჩენტას იხდიან წანართმევს, ე. ი. მონოპოლიად ქცეულ მიწაში, ან და მასში საყიდელ ფასს იხდიან. მიწის ლი-

რებულობის გაჩენის ასეთ ახსნის შემდეგ უცნაურია ეკონომისტისაგან იმისი გაგონება, რომ მიწის რენტას შეადგენს ის განსხვავება, რომელიც არსებობს რენტის გადამხდელ პირის შემოსავალსა და უმდარეს მიწის შემოსავალს შორის, ე. ი. რენტა არის ის ჯამი, რომლითაც რენტის გადამხდელის შემოსავალი აღემატება უმდარეს მიწის შემოსავალს. ცნობილია, რომ პირველად რიკარდომ გაარკვია ამნაირად მიწის რენტა. პრაქტიკულის მხრივ ასეთი ახსნა მართალია, თუ წარმოვიდგენთ, რომ მოთხოვნილების შემცირება იმ წამსვე ახდენს გავლენას მიწის რენტაზე და ამის გამო მაშინვე აჩერებენ უფრო მდარე მიწების შესაფერ შემუშავებას. მაგრამ ეს ასე არ ხდება და ამიტომ რიკარდოს ახსნაც საკმაო არ არის: ამასთან ამ ახსნას აკლია მიწის რენტს. დასაბუთებაც. ტ. ტომპსონმა ამ ახსნის წინააღმდეგ განაახლა და დასაბუთა აღამ სმიტის მიერ მოცემული განმარტება. მისი აზრით, მიწის რენტა ეს არის ის დამოკიდებულება რომელიც და მუშავების მსურველთა მეტოქეობას აქვს თავისუფალ მიწის განსაზღვრულ რაოდენობასთან: ამ ახსნას მაინც ემჩნევა, თუ საიდან წარმოსდგა მიწის რენტა; მაგრამ აქაც გამოტოვებულია მიწის სხვადასხვა გვარნაყოფიერების მომენტი, როგორც წინა განმარტებაში იყო გამოტოვებული მეტოქეობის მომენტი.

ჩვენ წინ ისევ ორი ცალმხრივი განმარტებაა. საჭიროა აქაც ისე მოვიქცეთ, როგორც ღირებულების შემეცნების განმარტების დროს, ე. ი. შევაერთოთ ორივე განმარტების ელემენტები, რომ ნამდვილი, საგნის განვითარების შესაფერი და ამიტომ პრაქტიკულად სრული

განმარტება მივიღოთ. მიწის რენტა არის დამოკიდებულება, რომელიც აქვს მიწის შემოსავალს, ე. ი. ბუნებრივ მომენტსა (იგი თავის მხრით იყოფა ბუნების ძალზე და აღამიანის დამუშავებაზე, ე. ი. ნიადაგის გაუმჯობესობისათვის დახარჯულ შრომაზე) აღამიანისაგან დამოკიდებულ მომენტთან, მეტოქეობასთან. ვიცი, ეკონომისტები მხრებს აიჩეჩენ ასეთ „განმარტების“ გამო. მათდა სამწუხაროდ, იგინი დაინახვენ, რომ ამ განმარტებაში ყველაფერია, რაც ამ საგანს ეხება.

მიწათ-მფლობელი არაფრით არ ჩამოუვარდება ვაჭარს,

მიწის მონოპოლიის სახით იგი სწორედ ისე ისაკუთრებს სხვის ნაშრომს, როგორც ვაჭარი, ისაკუთრებს სხვისას რაღან თავის სასარგებლოდ იყენებს მცხოვრებთა რიცხვის ზრდას, — მეტოქეობის გამაძლიერებელს, და მის საკუთრებას — ნაჭერ მიწაზე შემოსავლის განმადიდებელს; იგი თავის მოგების წყაროდ ხდის მას, რაც არ შეუქმნია მის პირად შრომას და სრულიად შემთხვევით ჩავარღნია მას ხელში. იგი არბევს, როცა მიწას საიჯაროდ აძლევს, ამიტომ რომ ბოლოს თვითონ ითვისებს იმ გაუმჯობესობას, რომელიც იჯარადარს მოუხდენია. აი, ამაშია სხვილ მიწათმფლობელთა სიმღიდრის შეუწყვეტული ზღის საიღუმლოება.

ჩვენ არ დაგვიდგენია ის წესი, რომელიც გამდიდრების გზაზე მიწათ-მფლობელობის დამახასიათებელ საშუალებას ძარცვას ამგვანებს. ჩვენგნით არ მომდინარეობს მისი მტკიცება, რომ თვითეულს უფლება აქვს მხოლოდ თავის ნაშრომზე და რომ არავის არ აქვს უფლება იქ მოიმკას ნაყოფი, საღაც არ უთესია. ამის მიხედვით მშობ-

ლებს ეხსნებათ შვილების აღზრდის მოვალეობა და არ-  
სებობის უფლებაც ესპობა შთამომავლობას, რადგან  
თვითეული მოდგმა მემკვიდრე ხდება მხოლოდ წინა მოდ-  
გმისა. ესეთი აზრები კერძო საკუთრების შექმნილი არის.  
ორში ერთი უნდა იქნას: ან უნდა ბოლომდე მივიყვა-  
ნოთ კერძო საკუთრებისგან გამომდინარე შედეგები ან  
და კერძო საკუთრება, როგორც აზროვნების და ცხოვ-  
რების საფუძველი, უნდა უარყოთ სრულიად.

თავდაპირველი მითვისებაც უნდათ გაამართლონ  
იმითი, რომ ჯერ კიდევ წინააღ არსებობდა მფლობელო-  
ბის საერთო უფლება. კერძო საკუთრება ყოველგვარ  
შემთხვევაში წინააღმდეგობის გამომწვევია.

ვაჭრობა მიწით,— ამ ერთად-ერთ ყველა კუთ-  
ნილ განძით, რომელიც ჩვენი არსებობის უპირველესი  
პირობა არის, იგივე თავის თავით, თავის პიროვნებით  
ვაჭრობაა. ეს იყო ზნეობის წინააღმდეგი გარყვნილება  
და გარყვნილებად რჩება დღემდე, რჩება იმ სისაძაგლედ;  
რომლის უარესი მხოლოდ თავის-თავით ვაჭრობაა, თავ-  
დაპირველი მითვისებაც კი, რამდენიმე პირთა ხელში მი-  
წის მონოპოლიზაცია, ამ საარსებო პირობათა უმრავლე-  
სობის ხელიდან გამოვლეჯა, ზნეობრივის მხრით არა-  
ფრით არ სჯობია მერმინდელ მიწით ვაჭრობას.

ჩვენ ამ შემთხვევაშიაც თუ უარსა ვყოფთ. კერძო  
საკუთრების პრინციპს, მაშინ მიწის რენტი თავის ნამ-  
დვილ შინაარსს მიიღებს და შესაძლებელი გახდება მას-  
ზე გონივრულ შეხედულობის შედგენა. მიწის რენტის  
სახით მიწისგან მოწყვეტილი ღირებულება მიწასვე და-  
უბრუნდება. ღირებულება, რომელიც უნდა გაიზომოს  
იმ ნაყოფიერებით, რომელსაც მოგვცემს. თანაბარი სივრ-

ცის მიწა თანაბარ შრომის დახარჯვით, — რასაკვირველია, შედის მიწის ნაყოფის ღირებულების გარკვევის დროს საწარმოო ხარჯებში გარკვეულ ნაწილის სახით. მიწის რენტის მსგავსად, ეს ღირებულობა ნაყოფიერებისა და მეტოქეობის ურთიერთებას წარმოადგენს, მაგრამ ჭეშმარიტ მეტოქეობის, რომელიც თავის დროზე განვითარდება.

\* \*

ჩვენ ვნახეთ, რომ შრომა და კაპიტალი, ეკონომისტთა აზრით, იმ თავითვე თანასწორ მნიშვნელოვანია. შემდეგ თვით ეკონომისტთა გამოკვლევიდან ვხედავთ, რომ კაპიტალი, როგორც შრომის შედეგი, წარმოების პროცესში ისევ შრომის მასალად იქცევა, ე. ი., რომ კაპიტალის შრომისაგან განცალკევება, შეიძლება მხოლოდ ერთი წამით და რომ იმ წამსვე ორნივე ხელახლა უერთდებიან ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ეკონომისტი მაინც ამ ორ შემეცნებას ერთი-მეორისაგან აშორებს და ამასთან მათი ერთიანობა სწამს მხოლოდ იმ აზრით, რომ კაპიტალი „შეგროვილი შრომაა“.

კერძო საკუთრების პრინციპზე დამყარებული კაპიტალის შრომისაგან გამოცალკევება იგივეა, რაც თვით შრომის ორად გაყოფა. ამ გაორყოფის შემდეგ ეკონომისტები თავდაპირველ კაპიტალს აცალკევებენ მოგებისგან, ე. ი. კაპიტალის ზრდისაგან, რომელიც წარმოების პროცესში ხდება, თუმცა, პრაქტიკაში მოგება მაშინვე ემატება კაპიტალს და მასთან ერთად ბრუნავს წარმოებაში. თვით მოგებაც იყოფა კიდევ პროცენტზე და საკუთრივ მოგებაზე. პროცენტების შესახებ ამ გაყოფის უგუნურება უკიდურესობამდე აღწევს. თუმ-

ცა კერძო საკუთრებას ახასიათებს ჩარჩობა, მაგრამ ეს ჩარჩობა მეტის მეტ სიცხადით აშკარავებს თავის თვისებას, და წინასწარ რწმენას მოკლებულმა ხალხის შეგნებამ, რომელიც ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივად არ ცდება, დიდი ხანია, უზნეობად იღიარა ფულების პროცენტებით ზრდა, უშრომლად მოგების მიღება, მოგება მითი მხოლოდ, რომ ფულები გასესხებულია.

ყეელა ეს საგრძნობელი განსხვავება და დაყოფა შედეგია იმთავიდანვე კაპიტალის და შრომის განცალკევებისა. ამ გამოყოფის დაბოლოვებას შეადგენს კაცობრიობის კაპიტალისტებად და მუშებად დაყოფა, რომელიც ყოველ დღე უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება და რომელიც, როგორც ქვევით დავინახავთ, თანდათან უნდა გაძლიერდეს. მაგრამ ბოლოს მაინც შეუძლებელი ხდება პრაქტიკულად კაპიტალის შრომისგან გამოცალკევება ისე, როგორც ჩვენ-მიერ უკვე განხილული მიწის გამოცალკევება კაპიტალისა და შრომისაგან. შეუძლებელია იმისი გამორკვევა, თუ რამდენად ძლიერია მიწის, კაპიტალის და შრომის მონაწილეობა რომელსამე ნაწარმოებში. ეს სამი ძალა განუზომელია. მიწა ქმნის ნედლ მასალას კაპიტალისა და შრომის მონაწილეობით, კაპიტალი გულისხმობს მიწისა და შრომის მონაწილეობას, შრომა კი გულისხმობს მიწის მონაწილეობას და უმეტეს შემთხვევაში კაპიტალის მონაწილეობასაც. ამ სამ მომენტთა მოქმედება სხვადასხვა გვარია და არ არის რომელიმე მეოთხე საერთო საზომი, რომლის მეოთხებითაც შესაძლებელია მათი გაზომვა. ამ ნაირად, თანამედროვე პირობებში, თუმცა ამ სამ ელემენტთა შორის ხდება მოგების განაწილება, მაინც არ არის არა-

ვითარი საერთო საზომი, და განაწილება ხდება მათიავის უცხო შემთხვევაზე დამყარებულ საზომით: მეტოქეობით, — ან და უფრო ძლიერის უფლებაზე დამყარებულია.

მიწის რენტა იწვევს მეტოქეობის მონაწილეობას, კაპიტალის მოგებას არკვევს ერთად-ერთი მეტოქეობა, ხოლო რა დღე ადგია სამუშაო ხელფასს, ამას ჩვენ ახლავე დავინახავთ სავსებით.

კერძო საკუთრებას თუ უარვყოფთ, არც ერთს ამ არა-ბუნებრივს დაყოფას აღგილი აღარ ექმნება. მოისპობა პროცენტებსა და მოგებას შორის განსხვავება, და კაპიტალს შრომის დაუხმარებლად არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება. მოგების მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა როლს თამაშობს კაპიტალი საწარმოო ხარჯებში, და ამნაირად მოგება უცილობელი თანამგზავრია. კაპიტალისა, მაგრამ თვით კაპიტალს კი განუწყვეტელი კავშირი აქვს შრომასთან.

\* \* \*

ეკონომისტები უდიერად ეპყრობიან შრომას, ამ წარმოების უმთავრესს ელემენტს, „სიმდიდრის წყაროს“, აღამიანის თავისუფალ მოქმედებას. როგორც კაპიტალი განაშორეს შრომას, სწორედ ისე დაანაწილეს შრომაც. შრომის ნაყოფს ლპირდაპირებენ შრომას ხელფასის სახით, აცილებენ მას შრომისაგან და ჩვეულებრივად მეტოქეობით ხსნიან, რაღან, როგორც უკვე დავინახეთ, არ არსებობს განსაზღვრული საზომი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს შრომის მონაწილეობა წარმოებაში. რაკი კერძო საკუთრება მოისპობა, მოისპობა ეს მისი არა-ბუ-

ნებრივი დანაწილებაც. შრომის ხელფასი მაშინ თვით შრომაშივე იქნება განხორციელებული. და ცხილი გახდება წინად გაყიდულ ხელფასის მნიშვნელობა: გამოაჟყარავდება შრომის როლი რომელისამე საგნის საწარმოვო ხარჯთა გარკვევისსაქმეში.

\*

\* \* \*

ჩვენ ვიცით, რომ, სანამ კერძო საკუთრება არსებობს, ყველაფერი. მეტოქეობაზეა დაფუძნებული. მეტოქეობა—ეს ეკონომისტის უმთავრესი კატეგორიაა, მისი საყვარელი პირმშოა, რომელსაც უსაზღვროდ ანებივრებს და უაღერსებს. აბა დააკვირდით, რა გველის თავი აბია ამ ეკონომისტის საყვარელს:

კერძო საკუთრების უმახლობელესი შედეგია წარმოების ორ მოპირდაპირე გატეგორიად გაყოფა: წარმოება, დამოკიდებული ბუნებისაგან, და წარმოება, აღამიანისაგან დამოკიდებული. ჩვენ საქმე გვქონდა ერთის მხრივ მიწასთან, რომელიც, თუ აღამიანის ხელმა არ გაანოყიერა, მკედარი და უნაყოფოა; მეორეს მხრივ, წინ გვიდგია აღამიანის მოქმედება, რომლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწას. ამას გარდა დავინახეთ, რომ აღამიანის მოქმედება თავის მხრივ შრომად და კაპიტალად იყოფა და რომ შრომასა და კაპიტალს შორის მტრული ურთიერთობა არსებობს. ჩვენ დავინახეთ ამ სამ ელემენტთა შორის—მიწა, კაპიტალი და შრომა—ერთმანეთის დახმარების ნაცვლად, მუდმივი ბრძოლა. ახლა ამას ისიც ემატება, რომ კერძო საკუთრება თვითეულ ამ ცალკე ელემენტთა დანაწილებასაც იშვევს. ერთი მიწის ნაჭერი მეორეს ეტოქება, კაპიტალი კაპიტალს ეცილება, სამუშაო ძალა—სამუშაო ძალას იმიტომ, რომ კერძო

საკუთრება თიშავს სხვებისაგან თვითეულ ცალკე პირს  
და მის პირად ინტერესებსაცდა იმიტომაც, რომ თვითეულს  
იგივე ინტერესი აქვს, რაც მის მეზობელს; ერთი მიწათ-  
მფლობელი მეორეს ემტერება, კაპიტალისტი—კაპიტა-  
ლისტი, ხოლო მუშა თვისავე მოძმეს.

ეს ერთი-მეორის მტრობა ერთგვარ ინტერესთა მქონე  
პირების, მტრობა, რომელსაც იწვევს ინტერესების მსგავ-  
სება უკიდურესი გამომხატველია თანამედროვე კაცო-  
შრიობის უზნეობისა. ეს მტრობა კი თავს იჩენს მეტო-  
ქეობაში.

\* \* \*

მეტოქეობის მიაპირდაპირეა მონოპოლია. მონოპო-  
ლია მერკანტილისტთა ბრძოლის საყვირია, მეტოქეობა—  
საყვირია ლიბერალურ ეკონომისტთა.

უცელას, ვინც კი მეტოქეობაშია, ჩაბმული, უნ-  
და სურდეს მონოპოლია, სულ ერთია მუშა იქმნება ის,  
კაპიტალისტი თუ მიწათმფლობელი. მეტოქეობაში მო-  
ნაწილე თვითეული პაწია კავშირი, წინააღმდეგ სხვა მე-  
ტოქეთა, უთუოდ მონოპოლიისაკენ მიისწრაფის. მეტო-  
ქეობის საფუძველს შეადგენს სარგებლობისაკენ მისწრა-  
ფება, და ეგევე მისწრაფება იწვევს მონოპოლიას; მო-  
კლედ რომ ვთქვათ, მეტოქეობა ისწრაფის გადვიდეს მო-  
ნოპოლიაში. მეორე მხრით, მონოპოლიას არ შეუძლია  
მეტოქეობის ძლიერება შეაჩეროს, პირიქით, ის თვითონ  
არის მეტოქეობის გამომწვევი. მაგალითად, მხარეში რაიმე  
შაგნის შემოტანის აკრძალვა ან მასზე დიდი ბაჟის და-  
დება იწვევს მეტოქეობას კონტრაბანდის სახით.

მეტოქეობაში იგივე წინააღმდეგობანია, რაც კერძო

საკუთრებაში. თვითეულ ცალკე პიროვნებისათვის სახე-ირო ყველაფერს ფლობდეს, მაგრამ საზოგადოებისათვის სასარგებლოა ყველა თანაბრად ფლობდეს. ამნაირად სა-ზოგადოების და ცალკე პიროვნების (ინდივიდუუმის) ინ-ტერესები ძირიანად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მე-ტოქეობის შინაგანი. წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ თვითეულის სურვილია შექმნას თავისთვის მონო-პოლია, და ამავე დროს კი საზოგადოება საერთოდ ზა-რალობს მონოპოლიის არსებობით და ამიტომ უნდა ცდილობდეს მის მოსპობას. კიდევ მეტი, მეტოქეობა წინ-დაწინვე გულისხმობს მონოპოლიის არსებობას, სახელ-დობრ, საკუთრების მონოპოლიისას (ამ შემთხვევაში ისევ თავს იჩენს ლიბერალ ეკონომისტთა ორპირობა), და სა-ნამ ეს საკუთრების მონოპოლია არსებობს, მანამდე მო-ნოპოლიის საკუთრებაც სამართლიანია, რადგან ერთხელვე გაჩენილი მონოპოლიაც საკუთრებაა. რა შესაბამის, რა კუდოკვეცილი პოლიტიკაა: ებრძოლო წვრილ მონოპო-ლიას და იმავე დროს არსებობის უფლება მისცე ძირი-თად მონოპოლიას! ხოლო თუ ამას მივუმატებთ ეკონო-მისტთა ზემომყვანილ აზრს, რომლის თანახმად ის, რაც მონოპოლიას არ ექვემდებარება, არავითარ ღირებულე-ბას არ წარმოადგენს, ე. ი. იმას, რის მონოპოლიაც მოუხერხებელია, არც სამეტოქეო ბრძოლაში მონაწი-ლეობის მიღება შეუძლია, მაშინ სრულიად გამართლდება ჩვენი მტკიცება, რომ მეტოქეობა წინდაწინვე გულისხმობა მონოპოლიას.

\* \* \*

მეტოქეობის კანონი ღალადებს, რომ მოთხოვნა და მიწოდება ისწრაფვიან — შეავსონ ერთი-მეორე და ვერაო-

დეს ვერ ახორციელებენ ამ მისწრაფებას. ეს ორი მო-  
შენტიც, მოთხოვნა და მიწოდება, გაცალკევებულია და  
უკიდურეს წინააღმდეგობად ქცეულია, მიწოდება იმ  
წაშვე თან მოსდევს მოთხოვნას, მაგრამ ვერაო-  
დეს ვერ ახერხებს მის მთლიანად დაკმაყოფილებას. მი-  
წოდება მუდამ ჟამს ან ბევრად მეტია, ან ბევრად ნაკ-  
ლები და არაოდეს არ ეთანხმება მოთხოვნას, რადგან  
თინამედროვე, კაცობრიობის ამ მხრით შეუგნებელ, მდგო-  
მარეობაში ერთმაც კი არ იცის, რამდენად დიდია მოთ-  
ხოვნა და მიწოდება. თუ მოთხოვნა აღემატება მიწოდე-  
დებას, ფასი მაღლა იწევს, და ეს კი, თავის მხრით,  
იწვევს კიდევ მეტ მიწოდებას. როდესაც ბაზარზე გა-  
შოჩნდება მიწოდება, ფასები ეცემიან და, თუ მიწოდება  
მოთხოვნაზე გეტი აღმოჩნდება, ისე ძლიერად უცემა ფა-  
სები, რომ ეს თავის მხრით მოთხოვნილებას აძლიერებს.  
ეს პროცესი შეუწყვეტლივ ვითარდიბა. არაოდეს ნორ-  
მალური მდგომარეობა არ არის. არის შეოლოდ მუდამ  
ჟამს რიგ-რიგობით გაძლიერების და მოუძლურების მდგო-  
მარეობა, რაც ძალიან აფერხებს ყოველგვარ პროგრესს,  
არის მუდმივი რყევა, მიზნის მიუღწეველი. ეკონომისტი  
საოცარ რაღაცად მიაჩნია ეს კანონი, რომლის დრო-  
საც ერთ ადგილას დანაკარგი ივსება მეორე ადგილს.  
ამ კანონით ეკონომისტი მუდამ ტრაბახობს და მისი  
აღერსით ვერ ძლება. იგი იკვლევს მას ყველა შესაძლე-  
ბელ და შეუძლებელ მხრით. და მიუხედავად ამისა,  
ცხადია, რომ ეს კანონი წმინდა ბუნებითი კანონია,  
რომ იგი ეკონომისტის ჭკუით შეთხზული კანონი არ  
არის. ეს — კანონია, რომელიც აუცილებლად იწვევს  
შესაზარ ცვლილებებს: ეკონომისტი მოდის მიწოდებისა

და მოთხოვნის მშვენიერი თეორიით დაგიმტკიცებს, რომ, „შეუძლებელია ზედმეტის წარმოება“, ცხოვ-რება კი ამაზე პასუხს აძლევს სავაჭრო კრიზისებით, რო-მელნიც ისე იჩენენ ხოლმე თავს, როგორც კუდიანი ვარ-სკლავები თავ-თავის დროზე, დროგამოშვებით, და რომე-ლნიც ჩვენში მეორდება დაახლოვებით ყოველ 5—7 წელი-წადში ერთხელ. ეს სავაჭრო კრიზისები უკანასკნელ ოთხმო-ცი წლის განმავლობაში წესიერად ჩნდება, როგორც წინად ჩნდებოდა საშიში ჭირიანობა, და იწვევს მეტ სიღატაკესა და გარყვნილებას, ვინემ ეს უკანასკნელი.

ცხადია, რომ სავაჭრო რევოლუციები ამტკი-ცებენ ამ კანონს, ამტკიცებენ მას სრულად, მაგრამ არა იმ აზრით, რა აზრითაც ეკონომისტს უნდა ჩვენ დაგვარ-წმუნოს. რა უნდა ვიფიქროთ იმ კანონზე, რომელიც თავს იჩენს მხოლოდ პერიოდულ ცვლილებათა გვერდით? მხოლოდ ისა, რომ ის—ბუნების კანონია, დამყარებული მონაწილეთა სინამდვილესთან შეუგნებელ დამოკიდე-ბულებაზე. მწარმოებლებმა რომ იცოდნენ, რამდენი ესა-ჭიროება მხმარებლებს, რომ მოაწესრიგონ წარმოე-ბა და გაანაწილონ იგი თავიანთ შორის, მაშინ შეუძლე-ბელი იქნება მეტოქეობის რყევა და მისი კრიზისისადმი მისწრაფება. აწარმოეთ შეგნებულად, როგორც ადამია-ნებმა, და არა როგორც შეგნებას მოკლებულმა ატომებმა, და თქვენ ყველა ამ ხელოვნურ და სუსტ წინააღმდეგო-ბას ასცდებით. მაგრამ სანამ არ მოიშლით ასე შეუგნებ-ლად, უაზროდ მოწყობილ და შემთხვებზე დამო-კიდებულ წარმოებას, თავიდანაც ვერ აიცდენთ სა-ვაჭრო კრიზისებს. ყოველი ახალი კრიზისი საზოგა-დოების მეტ ნაწილს. ითრევს კლანჭებში, ვინემ წინა-

კრიზისი, და ამიტომაც უფრო საშიში ხდება. თვითეული ახალი კრიზისი წვრილ კაპიტელისტთა. უფრო და უფრო მეტ რიცხვს აღატაკებს და ამრავლებს იმ კლასს, რომელიც კანსაკუთრებით შრომით ჩება, ე. ი. შესამჩნევად ამრავლებს თავისუფალ შრომის რაოდენობას, იმ შრომის, რომელიც წარმოებაში გადადის, და ბოლოს ახდენს იმ სოციალურ ცვლილებას, რომელიც ჩვენს ბრძენ ეკონომისტებს სიზმარშიაც კი არ მოლანდებიათ.

მეტოქეობის მიერ გამოწვეული ფასების მუდმივი ჩეცვა ზნეობის უკანასკნელ ნაკვალევს შრის ვაჭრობის სამფლობელოში. ლირებულებაზე ლაპარაკიც მოისპოვივე სისტემა, რომელსაც ლირებულება ისე დიდ მნიშვნელოვანად მიაჩნდა, რომელიც დამოუკიდებელ არსებობის სახელს ანიჭებდა ლირებულების ცნებას ფულების სახით, იგივე სისტემა, მეტოქეობის შემწეობით, არღვევს ყოველგვარ მუდმივ ლირებულებას და ყოველ დღე და ყოველ საათში სცვლის ნივთების ლირებულების დამოუკიდებულებას. როგორ მოხერხდება ამ ორონტრიალში ზნეობაზე დამყარებული მიმოცვლა? ფასების ამ შეუწყვეტელ აწევ-დაწევაში თვითეული იძულებულია მარჯვე დრო შეურჩიოს ყიდვა-გაყიდვას, თვითეული უნესტრად სპეციულიანტი ხდება, მკის იმისა, რაც არ უთესია, — იქცევა კაცად, რომელიც მდიდრდება სხვათა გაღარიბების მეოხებით და ამყარებს თავის ბედნიერებას სხვათა უბედურებაზე, კაცად, რომელიც ყოველ შემთხვევას ეძიებს ჯიბის გასასქელებლად. სპეციულიანტი მუდან სხვის უბედურებაზე აშენებს თავის ან-

გარიშებს, განსაკუთრებით მოუსავლობაზე. ვაჭრობის უზნეობა განსაკუთრებულის სიცხადით აშკავავდება ბირჟის სპეციულიაციაში, რომლის აზრით ისტორია და თვით კაცობრიობაც კი მხოლოდ იარაღია. საშუალებაა სპეციულიანტის ანგარების დასაქმაყოფილებლად. ჩვენი პატიოსანი და დარბაისელი ვაჭრები ამაღლ აცხადებენ ფარისევლურ მწუხარებას ბირჟაზე თამაშის გამო. ბირჟის სპეციულიანტებზე უკეთესი არც თვით არიან. ისინიც ისეთივე სპეციულიანტები არიან, თვითონაც სპეციულიაციას უნდა მისდიონ. მეტოქეობა აიძულებს მათ ამას და, მაშასადამე, მათი ვაჭრობაც იგრეთვე ზნეობას მოკლებულია, როგორც ბირჟაზე სპეციულიაცია. ჭიშმარიტი მეტოქეობა უნდა გამოიხატოს მომხმარებელ და მწარმოებელ ძალთა შეთანხმებაში. კაცობრიობის შესაფერ საზოგადოებრივ პირობებში სხვაგვარი მეტოქეობა არც შეიძლება. საზოგადოებას წინდაწინვე ეცოდინება, რის წარმოებაც შეუძლია მის განკარგულებაში მყოფ საშუალებით: მიიღებს რა მხედველობაში თავის საწარმოო ძალას და მხმარებელთა რიცხვს, იგი გაარკვევს, რამდენად უნდა გააძლიეროს ან შეამციროს წარმოება, რამდენად უნდა წაახალისოს ფუფუნება ან განსაზღვროს იგი. ხოლო მართალი შეხედულობა რომ შეადგინონ ჩვენმა მკითხველებმა, თუ რამდენად შესაძლებელია საზოგადოების გონივრული წყობილება და ძალთა ნაყოფიერების გადიდება, რაც უთუოდ მოსალოდნელია საზოგადოების ცხოვრების გონივრულ პირობებში, ყველა ამაზე რომ წარმოდგენა იქონიონ, მიმართონ ინგლისელ სოციალისტთა თზულებებს და რამდენიმედ ფურიესაც.

სუბიექტივი მეტოქეობა, კაპიტალის კაპიტალთან  
ბრძოლა, შრომის შრომასთან და სხვ. ეს იგივე გაჯიბ-  
რებაა, რომელიც ადამიანის ხასიათში ბუღობს და ფუ-  
რიესაც აქვს მოხსენებული. ხოლო ინტერესთა წინააღ-  
მდეგობის მოსპობის შემდეგ ეს გაჯიბრება თავს იჩენს  
უფრო გონივრულ მოქმედებაში.

\* \* \*

კაპიტალის კაპიტალთან ბრძოლა, შრომის შრომას-  
თან, მიწად-მფლობელთა კაპიტალების ერთი-მეორესთან —  
მოუსვენარ მდგომბრეობაში აგდებს წარმოებას, რაც შე-  
უძლებელად ხდის ნორმალურსა და გონივრულ ურთი-  
ერთობას. ვერც ერთი კაპიტალი ვერ აიტანს მეორე  
კაპიტალის მეტოქეობას, თუ იგი თავის მოქმედებას  
უკიდურესობამდე არ აცხოველებს. არც ერთ ნაჭერ  
მიწის დამუშავება არ შეიძლება სართიანად, თუ მისი სა-  
წარმოვო ძალა შეუწყვეტლივ არ მატულობს, არც ერთ  
მუშას არ შეუძლია თავის ამხანაგთა მეტოქეობას გაუ-  
ძლოს, თუ მთელ თავის ძალას მუშაობას არ მოანდო-  
მებს. საზოგადოდ, არც ერთ მეტოქეობაში ჩაბმულ კაცი  
არ შეუძლია აიტანოს ბრძოლა, თუ უკიდურესობამდე  
არ განავითარა თავისი ძალა-ღონე და ყოველგვარი ჭეშმარი-  
ტი ადამიანური იდეალი თუ არ უარპყო. წარმოების ერთ  
ნაწილში ასეთი უზომო ძალის გაცხოველება იწვევს მეო-  
რე ნაწილში ამ ძალისაგან სრულიად დაცლას. თუ მე-  
ტოქეობის რყევა უმნიშვნელოა, თუ მოთხოვნა და მი-  
წოდება, მოხმარება და წარმოება თითქმის ერთმანეთის  
სწორია, მაშინ წარმოების განვითარებაში დგება ისეთი

მომენტი, როცა საწარმოო ძალის ზედმეტობა იჩენს. თავს და ხალხის დიდ უმრავლესობას ცხოვრების საშუალება ესპობა, ხალხი მშივდება იმიტომ, რომ ზედმეტი ნაწარმოები ურჩება ხელში. სწორედ ამ უაზრო და სულელურს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, კარგა ხანია, ინგლისი. როცა წარმოება ძლიერად ირყევა, რაც აუცილებელია თანამედროვე მდგომარეობაში, მაშინ აყვავებისა და კრიზისების, ზედმეტ წარმოებისა და შეჩერების ხანა რიგ-რიგობით ერთი-მეორეს უთმობს ადგილს. ეკონომისტს ვერაოდეს რიგიანად ვერ აუხსნია. ასეთი უცნაური მდგომარეობა. ამის ასახსნელად მან მოიგონა მცხოვრებთა შესახები თეორია, რომელიც ისეთივე უაზრობია და თითქმის კიდევ მეტიც, როგორც ჩვენს დროში გამეფებული წინააღმდეგობა სიმდიდრესა. და სიღართა ტაკეს შორის. ეკონომისტმა ვერ შესძლო სიმართლის გაგება. მას არ შეეძლო გამოტეხილიყო, რომ ეს წინააღმდეგობა მეტოქეობის პირდაპირი შედეგია, რადგან ამ შემთხვევაში დაირღვევოდა მთელი — მის მიერ შექმნილი სისტემა.

ჩვენთვის ამის ახსნა ადვილია. კაცობრიობის განკარგულებაში მყოფი საწარმოვო ძალა განუზომელია. კაპიტალის, შრომის და მეცნიერულ ცოდნათა მოხმარებით მიწის შემოსავალი შეიძლება უსაზღვროდ. ასწილ. საუკეთესო ეკონომისტთა და სტატისტიკოსთა (იხ. Alison „Principle of Population“, ტ. I, თავი 1 და 2) გამოანგარიშებით, „ჭარბად დასახლებული“ დიდი ბრიტანია ათის წლის განმავლობაში იქამდე შეიძლება მიიყვანო, რომ იგი პურით ექვსჯერ მეტ მცხოვრებლებს ჯარჩენს. კაპიტალი-

მუდამ დღე მრავლობს: სამუშაო ძალა იზრდება მცხოვ-  
რებთა ზრდასთან ერთად, ხოლო მეცნიერება კი სულ-  
უფრო და უფრო უმორჩილებს ადამიანს ბუნების ძა-  
ლებს. ამ უზომო მაწარმოებელ ძალას რომ შეგნებუ-  
ლად ხელმძღვანელობდნენ საერთო კეთილდღეობისათვის,  
კაცობრიობისათვის საჭირო შრომა მინიმუმამდე დავი-  
დოდა. ეგვეგ უზომო მაწარმოებელი ძალა კი, მეტო-  
ქეობის ხელში ჩავარდნილი, სულ წინააღმდეგად მოქმე-  
დებს. მიწის ერთი ნაწილი საუკეთეოდ მუშავდება, და-  
ნარჩენი მიწა კი (დიდ ბრიტანიაში და ირლანდიაში კი  
ასეთი მიწა 30.000,000 აკრს უდრის\*) დაუმუშავებელი  
რჩება. კაპიტალის ერთი წილი შეუწყვეტელ სწრაფ წარ-  
მოებაშია, მეორე წილი კი სკივრებში ძეგს უძრავად.  
მუშების ერთი ნაწილი დღე-ლამეში 14-ს და 16-ს საათს.  
მუშაობს, მეორე ნაწილი კი იქავე უმუშაოდ პკარგავს  
დროს და უსაჭმობით შიმშილისაგან კუჭი ეწვის. ისიც  
მოხდება, რომ უეცრივ მთელი განაწილება ირლვევა:  
დღეს ვაჭრობა მშვენივრად მიღის, მოთხოვნილება ძა-  
ლიან დიდია და ყველა სამუშაოს პოულობს, მიწათ-  
მოქმედება ყვავის და მუშები მუშაობით ძალლონისაგან  
იცლებიან; ხვალ კი ყოველივე საქმე ჩერდება, მიწათ-  
მოქმედება არ აჯილდოვებს ნიადაგის შემუშავებაზე და-  
ხარჯულ შრომას, აუარებელი მიწები დაუმუშავებელი  
რჩება, კაპიტალის მოძრაობა წყდება, მუშები სამუშაოს.  
ვერ პოულობენ და მთელი მხარე იტანჯება ჰედ-მეტ  
სიმუდრისა და მცხოვრებთა გადაჭარბებულ სიმრავლა  
საგან.

\*) ინგლისური აკრი უდრის 899 კვად. საჭ.

ეკონომისტს არ შეუძლია ასე დაყენებულ კითხვის  
სისწორე აღიაროს; წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა  
უარპყოს მეტოქეობის მთელი თავისი სისტემა. მან უნდა  
უსაფუძვლოდ აღიაროს მის-მიერ აღნიშნული წინააღმდე-  
გობა წარმოებისა და მოხმარების შორის, მცხოვრებთა  
გადაჭარბებულ სიმრავლესა, და ზედმეტ სიმდიდრეს შო-  
რის. მაგრამ რადგან ფაქტების უარყოფა შეუძლებელია,  
ფაქტების თეორიასთან შესათანხმებლად, ეკონომისტებმა  
შეთხხეს მცხოვრებთა შესახები თეორია.

ამ თეორიის ავტორი, მალტუსი, ამტკიცებს, ვითომ  
მცხოვრებთა გადაჭარბებული რიცხვი მჭიდროდ, შეკავ-  
შირებულია არსებობის საჭირო სალსართან. თითქო წარ-  
მოების ძლიერებასთან ერთად, მატულობს, ხალხის რი-  
ცხვიც, და თითქო ხალხის თვისება,—იმრავლოს:  
საარსებო სალსარჩე მეტად—ყოველგვარ სიღატაჟისა  
და ბიწიერების მიზეზი იყოს. თუ ხალხის რიცხვი  
სჭარბობს, ის უნდა შემცირდეს ამა თუ იმ საშვალებით,  
ძალად სიკვდილი იქნება ეს თუ სიმშილით სიკვდილი.  
მაგრამ, როგორც კი მოისპობა ეს სიჭარბე და აღგილე-  
ბი დაიცლება ახლებისათვის, იგი უკვე შეიცვება ახალი  
ზედ-მეტობით და ამნაირად წინანდელი გაჭირება დაიწყება  
ისევ. ასეა ყველგან, ყოველგვარ პირობებში—როგორც  
განათლებულ საზოგადოებაში, ისე ველურებშიაც. ახალ  
პოლლანდიის ველურები, სადაც კვადრატ მილზე ერთი  
მცხოვრები მოდის, თითქმის ისევე იტანჯებოდნენ სიგა-  
წროვისგან, მცხოვრებთა სიმრავლისგან, როგორც ინგლი-  
სელები. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ თანდათანობას არ  
ვულალატებთ, უნდა აღვიაროთ, რომ დედამიწა მაშინაც  
ჭარბად ყოფილა დასახლებული, როცა მასზე ერთი კაცი

ცხოვრობდა. ასეთი მსჯელობიდან კი ის გამოდის, რომ  
რადგან მეტი ლარიბებია, სხვა გზა არაა, ყოველგვარი ცდა-  
უნდა ვიღონოთ, რომ გავუადვილოთ მათ სიმშილით სი-  
კვდილი და დავარწმუნოთ, რომ არსებულ წესებში არა-  
ფრის შეცვლა არ შეიძლება, და მთელი მათი კლასის.  
ერთად-ერთი ხსნა მდგომარეობს მასში, რომ საზოგადოდ  
რაც შეიძლება, ნაკლებად უნდა გამრავლდენ. ხოლო თუ  
ეს შეუძლებელია, უკეთესია დააჩიდეს მთავრობის მიერ,  
თანახმად „მარკუსის“ წინადადებისა, ისეთი დაწესებულება,  
სადაც შესაძლო იქმნება, რომ უტანჯველად მოესპოს სი-  
ცოცხლე ღარიბთა შვილებს. „მარკუსის“ წინადადებით, მუ-  
შის თვითეულ ოჯახზე უნდა მოდიოდეს არა უმეტეს  $2\frac{1}{2}$   
ბავშისა, ხოლო ზედ-მეტი უტანჯველად უნდა დაიხოცოს.  
მოწყალების დარიგება დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს,  
რადგან იგი ხელს უწყობს ხალხის გამრავლებას. პირიქით,  
დიდად სასარგებლო იქნება სილარიბე დანაშაულობად  
ითვლებოდეს და ღარიბთა სამზრუნველოები იქცეს გა-  
მასწორებელ სახლებად, როგორც ეს უკვე მოხდა ინ-  
გლისში, თანახმად ახალ „ლიბერალ“ კანონისა მათხოვ-  
რების შესახებ.

ნუ თუ საჭიროა კიდევ განვაგრძო ახსნა-გარკვევა  
ამ უმდაბლეს და საზიზლარ თეორიისა, რომელიც ასე  
აბუჩად იგდებს და დასკინის ბუნებასაც და კაცობრიო-  
ბას? ყველაზე ნათლად ამ თეორიაში გამოიხატა ეკო-  
ნომისტთა უზნეობა. რას წარმოაიგენს ამ თეორიასთან  
შედარებით მონოპოლურ სისტემით გამოწვეული ყველა-  
ომი და საშინელება? ვაჭრობის თავისუფლების სწავლა-  
ლიბერალ სისტემის დასკვნაა და ამ ვაჭრობის თავისუ-  
ფლების დაცემასთან ერთად უნდა დაეცეს მთელი სი-

სტემაც. თუ კი დამტკიცდა, რომ ამ შემთხვევაში მეტოქეობაა მიზეზი სილარიბისა, სილატაკისა და ბიწიერებისა, ვინ გაბედავს ამ მეტოქეობის დასაცველად ხმის ამოღებას?..

ზემოხსენებულ თხზულებაში ალისონმა ძირი გაუნგრია მალტუსის თეორიას მით, რომ მიუთითა მიწის ნაყოფიერებაზე და მალტუსის პრინციპს წინ დაუყენა ის ფაქტი, რომ თვითეულ შოწიფულ კაცს შეუძლია იმაზე მეტი აწარმოოს, რაც მას უნდება. ეს რომ ასე არ იყოს, კაცობრიობას არა თუ გამრავლება, არამედ არსებობაც არ შეეძლო. საიდან უნდა გამოეძებნა ცხოვრების საღსარი ახალმოზარდ თაობას? მაგრამ ალისონი არ ამართლებს ბოლომდე თავის მსჯელობას და ბოლოს იმავე დასკვნამდე მიღის, საღამდე მალტუსი მივიდა. თუმცა იგი ამტკიცებს მალტუსის პრინციპის სიყალბეს, მაგრამ ვერ შესძლო დაერღვია ის ფაქტები, რომელთა მეოხებით მალტუსი თავის დასკვნამდე მივიდა.

მალტუსი რომ ცალმხრივი მსჯელობის არ ყოფილიყო, მას უნდა შეენიშნა, რომ ხალხის სიჭარბე მუდაში შეკავშირებულია სიმღიღრის სიჭარბესთან, კაპიტალისა და მიწის ზედმეტობასთან. მცხოვრებთა სიმრავლე მხოლოდ იმ ქვეყნებშია, სადაც ნაყოფიერება საზოგადოდ მეტად ღილია. ყველა ჭარბად დასახლებულ ქვეყნების განვითარება, თუნდა ინგლისის განვითარება იმ ხანებში, რომელიც შოჰეცა მალტუსის წიგნის გამოსვლას, ყველაზე ნათლად გვიხატავს ამას. ეს ფაქტები უთუთ სავსებით უნდა გაერჩია მალტუს და მათ გამოკვლევის უნდა მიეყვანა იგი სწორე დასკვნამდე.. მან კი მრავალ ფაქტებიდან ერთი ამოგლიჯა, დანარჩენი გაურჩევლად

დასტოვა და ამიტომ ისეთ ბრიყულ დასკვნამდე მივიღა. მალტუსის მეორე შეცდომა იმაში მდგ იმარეობდა, რომ იგი არ არჩევდა არსებობის საღსარს თვით-მოსაქმეობისაგან. მაგრამ მისი ლვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან დაამოწმა მცხოვრებთა მჭიდროდ შეკავშირება შრომის სარაბიელზე დაამტკიცა, რომ სამუშაო შეუძლია იშოვოს იმიგნება ხალხმა, რამდენიც იბადება, მოკლედ, რომ სამუშაო ძალის წარმოებას დღემდე მუდამ აწესრიგებდა მეტოქეობის კანონი და ამიტომ ამ ძალის შექმნაც შეკავშირებული იყო დროგამოშვებით კრიზისებთან და რყევასთან. მაგრამ შრომის სარბიელი და არსებობის საღსარი ერთი და იგივე არ არის. შრომის სარბიელი მხოლოდ ბოლოს ფართოვდება მანქანებისა და კაპიტალის ძალთა გაძლიერებასთან ერთად, როცა არსებობის საღსარიც მატულობს, როგორც კი იმატებს რამდენადმე მაინც საზოგადოების ძალთა ნაყოფიერება. ამ შემთხვევაში თავს იჩენს საპოლიტიკო ეკონომისის კიდევ ერთი თანდაყოლილი წინააღმდეგობა. ის მოთხოვნა, რომელზედაც ეკონომისტი ლაპარაკობს, არარის ნამდვილი მოთხოვნა. მისი მოხმარებაც იგრეთვე ხელოვნურია. ეკონომისტის თვალში ნამდვილი მომხმარებელი ის არის, ვისაც შეუძლია ეკვივალენტი (სანაცვლო) მისცეს მისთვის საჭირო ნივთში. თუ კი მართლა თვითეული მოწიფული კაცი მასზე მეტს აწარმოებს, რამდენის ხდარებაც მას შეუძლია, თუ ბავშვების შედარება შესაძლებელია იმ ხეებთან, რომელნიც ასკეცად აბრუნებენ უკანვე მათზე დახარჯულ შრომას (და ყველა ეს ხომ, ცხადია, ფაქტია), მაშინ ხომ უნდა ვიფიქროთ, რომ თვითეულ მუშას შეეძლება აწარმოოს ბევრად

მეტი იმაზე, რაც მას ესაჭიროება და რომ საზოგადოება სია-  
მოვნებით უზრუნველ ჰყოფს მას ყველაფრით, რაც კი მის-  
თვის საჭიროა; უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალ-რიცხვანი  
ოჯახები საზოგადოებისთვის მეტად სასურველია. მაგრამ  
ეკონომისტს ეკვივალენტად მხოლოდ ის მიაჩნია, რასაც  
ნაღდ ფულად იძლევიან. ის იმდენად ჩაეფლო წინააღმდე-  
გობებში, რომ მეცნიერულ პრინციპებს და თვით უცხადეს  
ფაქტებსაც ყურადღებას არ აქცევს.

ჩვენ ამ წინააღმდეგობას იმითი ვსპობთ, რომ მას  
სრულიად ვაუქმებთ. როცა ხალხთა ერთი-მეორის  
მოწინააღმდეგე ინტერესები შეერთდებიან, მაშინ ის  
წინააღმდეგობაც გაჰქრება, რომელიც არსებობს, ერთის-  
მხრივ, მცხოვრებთა სიჭარბესა და, მეორეს მხრივ, ზედმეტ  
სიმდიდრეს შორის. მაშინ გაჰქრება ის გაუგებარი მოვ-  
ლენაც, რომ ერთ უნდა შიმშილით დაილუპოს მხოლოდ  
იმიტომ, რომ ის მდიდარია და ყველაფერი ჭარ-  
ბად აქვს. მაშინ არ დაიწყებენ იმის მტკიცებას, თითქო  
მიწას ხალხის გამოსაკვები საკმაო ძალა არ ჭონ-  
დეს...

მაინც მალტუსის თეორია აუცილებელი შუა რგო-  
ლია იმისი, რომ ჩვენ შესამჩნევად წინ წაწევა შეგვძლე-  
ბოდა. მისი და საზოგადოდ საპოლიტიკო ეკონომისის  
მეოხებით, ჩვენ საჭირო ყურადღება მივაქციეთ მიწისა-  
და კაცობრიობის ძალთა ნაყოფიერებას და, ვსძლიეთ-  
რა სასოწარკვეთილებას, რომელიც დასთესა მალტუსმა-  
ხალხის სულში, სამუდამოდ მოვიშორეთ თავიდან მცხოვ-  
რებთა რიცხვის სიჭარბით გამოწვეული შიში. იქიდანვე  
გამოვიყვანეთ ჩვენ უდავო ეკონომიური საბუთები სო-  
ციალურ რეფორმის დასაცველად. მალტუსი რომ მთლიად

მართალი იყოს, საჭირო იქმნებოდა რეფორმას ახლავე  
შევდგომოდით, რადგან მხოლოთ მას და მის-მიერ გა-  
მოწვეულ ხალხის უმრავლესობის შესაძლებელ გონებრივ  
განვითარებას შეეძლოთ მივეყვანეთ გამრავლების ინსტი-  
ნქტის შეზღუდვამდე ზნეობრივი საშუალებებით, რასაც  
თვითონ მალტუსი რაცხდა ყველაზე ჭეშმარიტ და აღვილ  
საშუალებად მცხოვრებთა ჭარბად გამრავლებასთან ბრძო-  
ლისათვის. მალტუსის თეორიის შემწეობითვე გავეცანით  
ჩვენ კაცობრიობის უკიდურეს დამცირებას, მის სრულ  
დამოკიდებულებას მეტოქეობის-მიერ შექმნილ პირობა-  
თაგან. ამავე თეორიამ დაგვანახა, რომ კერძო საკუთრე-  
ბა ბოლოს და ბოლოს ორ არჩევს აუამიანს საქონლი-  
საგან, რომლის წარმოება და განადგურება დამოკიდე-  
ბულია მხოლოდ მთხოვნისგან, და რომ მეტოქეობის  
სისტემამ დაღუპა და ყოველ დღე ღუპავს მილიონობით  
ხალხს. ყველა ამაში ჩვენ დავრწმუნდით, და ყველა ეს  
გვაიძულებს თავი დავალწიოთ კაცობრიობის დამცირე-  
ბას; თავი დავალწიოთ მას კერძო საკუთრების მოსპობით,  
მეტოქეობის და ინტერესთა შორის წინააღმდეგობათა  
გაუქმებით.

მცხოვრებთა ჭარბად გამრავლების შიშის უსაფუძ-  
ლობა რომ დავამტკიცოთ, დავუბრუნდეთ ისევ იმ სა-  
ურთიერთო დამოკიდებულებათა გარჩევას, რომელიც  
არსებობს საზოგადოების ძალთა ნაყოფიერებასა და მცხო-  
ვრებთა რიცხვს შორის. მალტუსი გვიჩვენებს იმ ანგა-  
რიშსაც, რომელზედაც დაამყარა მან თავისი სისტემა.  
მისი აზრით, მცხოვრებთა რიცხვის გამრავლება ხდება  
გომეტრიულ პროგრესით:  $1+2+4+8+16+32$  და

სხვ. მიწის ნაყოფიერების ძალა კი იზრდება ართმეტიკული პროგრესით:  $1+2+3+4+5+6$  და ასე ბოლომდე. განსხვავება გამოდის უზარმაზარი, საზარელი. მაგრამ განა მართალია მთელი ეს ანგარიში? ვინ დაამტკიცა, რომ მიწის შემოსავალი არითმეტიკულის პროგრესით იზრდება? მიწის რაოდენობა განსაზღვრულია. ძალიან კარგი! სამუშაო ძალა, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ სივრცე მიწის დასამუშავებლად, იზრდება მცხოვრებთა რიცხვის ზრდასთან ერთად. წარმოვიდგინოთ თუნდა, რომ მიწის შემოსავალი შრომის რაოდენობის გადიდებით, მუდამ დახარჯულ, შრომის თანაბრად არ იზრდება. მაგრამ მაშინაც გამოტოვებული დარჩება მესამე ელემენტი, რომელიც, მართალია, არა ლდეს არ იპყრობდა ეკონომისტის ყურადღებას, — ეს არის მეცნიერება, — მისი წინსვლა ხომ დაუსრულებელია და წინ მიღის იგი იმ სისწრაფით მაინც, რა სისწრაფითაც მცხოვრებთა რაოდენობა იზრდება. აბა რა ძლიერ წაიწია. წინ მეცხრამეტე საუკუნის მიწადმ უქმედებამ მხოლოდ ქიმიის მეოხებით, მარტო ორი კაცის — შ. გუმფრი დევის და იუსტუს ლიბიხის აღმოჩენათა შემწეობით! მეცნიერება თუ მეტად არა, იმდენად მაინც ვითარდება, რამდენადაც იზრდება მცხოვრებთა რიცხვი. მცხოვრებთა რაოდენობა მატულობს უკანასკნელ თაობის რაოდენობის მიხედვით. ხოლო მეცნიერების წინსვლას კავშირი აქვს იმ მრავალ ცოდნასთან, რომელიც მემკვიდრეობით გადმოეცა წინა თაობათაგან, მაშასადამე, ეს წინსვლა ჩვეულებრივ პირობებშიაც კი ძლიერდება გეომეტრიულის პროგრესით. განა მეცნიერებისათვის არსებობს რამე შეუძლებელი? ესეც არ იყოს, სასაცილოა

შცხოვრებთა გადაჭარბებულ სიმრავლეზე ლაპარაკი, სანამ „მდ. მისისიპის ველის დაუმუშავებელი რაოდენობა საკმაოა იმისთვის, რომ იქ მთელი ევროპა დავისახლოთ“, სანამ საზოგადოდ დაუმუშავებელი რჩება მთელი დედა-მიწის ორი მესამედი, როცა დამუშავებული ერთი მესამედის ნაყოფიერება შესაძლებელია ექვსჯერ გავაძლიეროთ, თუ თანამედროვე გაუმჯობესებულ სისტემით ვაწარმოებთ!

\*

\* \* \*

ამნაირად მეტოქეობას კაპიტალის წინააღმდეგ გამოჰყავს კაპიტალი, შრომის წინააღმდეგ შრომა, მიწადმფლობელობის წინააღმდეგ მიწად მფლობელობა. ბრძოლაში იმარჯვებს ძლიერი და, ბრძოლის შედეგი რომ გავითვალისწინოთ, საჭიროა გამოვიყელიოთ მებრძოლთა ძალა. უწინარესს ყოვლისა მიწადმფლობელობაც და კაპიტალიც შრომაზე ძლიერია იმიტომ, რომ მუშამ უთუოდ უნდა იმუშაოს, რომ იცხოვროს, მიწადმფლობელს კი შეუძლია თავისი რენტით იცხოვროს, ხოლო კაპიტალისტს — კაპიტალის პროცენტით. უკიდურეს შემთხვევაში კი ორივეს შეუძლია იცხოვრონ კაპიტალით ან კაპიტალად ქცეულ მიწით. ამნაირად შრომას რჩება ის, რაც აუცილებლად საჭიროა არსებობისათვის, ხოლო ნაწარმოების უმეტესი ნაწილი იყოფა კაპიტალსა და მიწადმფლობელობას შორის. ამას გარდა, უფრო ძლიერი მუშა ბაზრიდან დევნის უფრო სუსტ მუშას, მეტი კაპიტალი სძლევს მცირე კაპიტალს, სხვილი მიწადმფლობელობა — წვრილს. ამას პრაქტიკა ნათლად ამტკიდებს. ყველამ იცის, რა უპირატესობაც აქვს უფრო სხვილ მექანიზმს ან ვაჭარს წვრილის წინაშე, უფრო

სხვილ მიწად მფლობელს წვრილი მესაკუთრის წინაშე. აქედან გამოდის, რომ ჩემ ჩემოლებრივ პირობებში სხვილი კაპიტალი და სხვილი მიწად-მფლობელობა თავისი ძლიერებით ყლაპავს წვრილ კაპიტალს და წვრილ მიწად-მფლობელობას. ხდება ქონების ცენტრალიზაცია. სავაჭრო და სამეურნეო კრიზისების დროს ეს ცენტრალიზაცია უფრო სწრაფის ნაბიჯით მიღის. საზოგადოდ მსხვილი ქონება უფრო მეტის სისწრაფით მრავლდება, ვინემ წვრილი, რადგან მისი შემოსავლის ბევრად უფრო მცირე ნაწილი უნდება პატრონის ხარჯების დაფარვას. ქონებათა ცენტრალიზაცია კერძო საკუთრების ისეთივე შეურყეველი კანონია, როგორც რომელიმე სხვა. საშვალი კლასი თანდათან უნდა, გაქრეს, სანამ მთელი კაცობრობა არ გაიყოფა მილიონერებზე და ლარიბებზე, სხვილ მიწად-მფლებლებზე და დღიურ მოქირავნეებზე. ვერავითარი კანონები, სხვილ უძრავ ქონებათა ვერავითარი მონაწილეობა, კაპიტალთა ვერავითარი დაყოფა აქ ვერას უშველის. ასეთი ბოლო უნდა მიეცეს და მიეცემა კიდევაც ცხოვრებას, თუ მას არ წინაუსწრობს სოციალურ პირობათა ძირითადი რეფორმა, ერთიმეორის საწინააღმდეგო ინტერესთა გაერთება და კერძო საკუთრების მოსპობა.

მეტოქეობის თავისუფლება, ეს თანამედროვე ეკონომისტთა ლოზუნგი, ნამდვილი უაზრობაა. მონოპოლიის სისტემას მიზნად მაინც ჰქონდა დაეცვა მხმარებლები მოტყუებისაგან, თუმცა ვერ მიაღწია მას. თქვენი ტყვით, რომ მეტოქეობა თავის თავშივე პოვებს საშუალებას მოტყუების წინააღმდეგ, რადგან არავინ იყიდის უფარგისს საქონელს. მაგრამ მაშინ თვითეული აღამიანი მცირებულება იყოს იმ ნივთებისა, რომელთა ყიდვა სურს,

და ეს კი შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს მონოპოლიის საჭიროება, რომლის ზოგ შემთხვევაში გამართლება შეიძლება. მაგალითად, საჭიროა აფთიაქების მონოპოლიია.. აგრევე ყველაზე მეტად საჭიროებს მონოპოლიურ წარმოებას ვაჭირობაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საგანიცეულები ფულების მოჭრის სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმება ყოველთვის სავაჭრო კრიზისებს იწვევდა და ინგლისელი ეკონომისტები, სხვათა შორის, დოქტორი გედიც, არ უარყოფენ ამ შემთხვევაში მონოპოლიის საჭიროებას. ამის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას, რომ მონოპოლიაც ვერ გვითარავს ყალბ ფულებისაგან. ამ ორ შეხედულებაში შეიძლება მიიღო ერთ-ერთი, მაგრამ ორივე უხერხული გამოდგება. მონოპოლია იწვევს თავისუფალ მეტოქეობას, ხოლო ეს უკანასკნელი იწვევს ისევ ისე მონოპოლიას. ამიტომ საჭიროა ორთავეს მოსპობა და მათ გამომწვევ პრინციპის უარყოფით მათ მიერ გამოწვეულ უკუღმართობის მოსპობაც.

\* \* \*

მეტოქეობა მეფობს. ჩვენი ცხოვრების ყოველ კუნძულში და მან დააგვირგვინა თავისი ბატონობა მონობით, რომელშიაც იფლობა ზაღხი. მეტოქეობა წარმადგენს იმ დიდ მამოძრავებელ ძალას, რომელსაც ყოველ ჯამს ისევ და ისევ მოძრაობაში მოჰყავს ჩვენი დახავსებული, უძლეური სოციალური წესრიგი, ანუ უკეთ, უწერიგობა და ყოველი ახალი ღონისძიება ღუპავს ნაწილს მის. თან დათან მოუძლეურებულ ენერგიისას. მეტოქეობამ არა თუ დაიმორჩილა ეკონომიკური რაოდენობითი ზრდა, არამედ იგი განაგებს მის ზნეობრივ წარმატებასაც. ვინც

ცოტათი მაინც გაცნობილია დანაშაულობათა სტატისტიკას, უთუოდ თვალში ეცემოდა ის უცნაური თან-დათანობა, რომელიც ეტყობა ყოველ წლივ დანაშაულობათა რიცხვის მომატებას და აგრევე ისიც, რომ გარ-კვეული მიზეზები იწვევენ გარკვეულ დანაშაულობებს. საქართვის სისტემის განვითარება იწვევდა ყველგან და-ნაშაულობათა რიცხვის გამრავლებას. შეიძლება წინდა-წინვე სინამდვილით გამოვიანგარიშოთ თვითეულ დიდ ქალაქში ან ოლქში რიცხვი ტუსალთა, სისხლის სასა-მართლოს დანაშაულობათა, მკვლელობათა, სხვილ და წვრილ ქურდობათა, რომლებიც შეიძლება მოხდეს წლის განმავლობაში, რასაც ხშირად შვრებოდნენ ინგლისში.

ეს სისწორე ამტკიცებს, რომ დანაშაულობათა გამ-გეც მეტოქეობაა, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი წე-წყობილება იწვევს დანაშაულობაზე მოთხოვნილებას, რომელსაც უდრის ესა თუ ის მიწოდება; რომ ის დანაკ-ლისი, რომელსაც იწვევს დამნაშავე ხალხის დატუსაღე-ბა, გადასახლება და ჩამოხრჩობა, იმ წამსვე ივსება. სხვე-ბით, სწორედ ისე, როგორც მცხოვრებთა რიცხვის გა-მონაკლს ავსებენ ახალ-ახალი დაბადებანი. სხვა სიტყვე-ბით, დანაშაულობანიც ისე არიან დამოკიდებულნი სას-ჯელის საშუალებებზე, როგორც მცხოვრებთა რაოდენო-ბა საშრომ საშვალებებზე. მკითხველისათვის მიმინდვია იმის განსჯა, თუ რამდენად გონივრულია ასეთ გარემო-ებაში, სხვა პირობებს რომ თავი დავანებოთ კიდეც, დამნაშავეთა დასჯა. ჩემთვის აქ საინტერესო მხოლოდ იმისი ახსნაა, თუ რა ფართოდ დაუბყრია მეტოქეო-ბას ადამიანის ზნეობრივი მხარეც და რა ღრმა და მცირებამდე მიიყვანა ადამიანი კერძო საკუთრებამ.

\* \* \*

კაპიტალსა და მიწას შრომის საწინააღმდევო ბრძოლა-  
ში კიდევ ერთი უპირატესობა აქვთ შრომის წინაშე. ეს—  
მეცნიერების შემწეობაა, რადგან თანამედროვე პირობებ-  
ში მეცნიერებაც შრომის წინააღმდევ მიღის. მაგალითად,  
მექანიკის თითქმის ყველა გამოგონებანი გამოწვეული იყო  
სამუშაო ძალის ნაკლებობით, რასაც აშკარად ჰყოფენ  
ტარგრევის, კრომპტონის და არკრაიტის ბამბის საფეიქრო  
მანქანების გამოგონებანი. ჩვეულებრივ, ყოველთვის საღაც  
მეტი სამუშაო ძალა იყო საჭირო, მეცნიერება რამე აღმო-  
ჩენით შესამჩნევად აძლიერებდა არსებულ სამუშაო ძალას  
და ამნაირად ამცირებდა მოთხოვნილებას ადამიანის შრომა-  
ზე. ამას ამტკიცებს ინგლისის ისტორია 1770 წლიდან დღემ-  
დე. უკანასკნელი დიდ-მნიშვნელოვანი გამოგონება ბამბის  
წარმოებაში, სელფაქტორი (Sellecting Mill) გამოიწვია  
მხოლოდ მუშახელზე მომეტებულშა მოთხოვნილებამ და  
სამუშაო ხელფასის. აწევამ. ამ გამოგონებამ ორკეცად გა-  
აძლიერა მანქანის სამუშაო ძალა და მით ნახევრად შეამ-  
ცირა ხელით მუშაობა, რის გამო მუშახელის ერთი ნა-  
ხევარი უსაქმოდ დატოვა, ხოლო მეორე ნახევარს  
შეუმცირა სამუშაო ხელფასი. მან დაარღვია მუშების შე-  
თქმულება მექანიზების წინააღმდევ და მოსპო. უკანა-  
სკნელი ღონე, რომლის შემწეობით შრომა ჯერ კიდევ  
უძლებდა კაპიტალთან უთანასწორო ბრძოლას (Dr.  
Ure. Philosophy of manufactures; ტ. II). ეკონომისტმა  
შეიძლება თქვას, რომ ბოლოს და ბოლოს მანქანები  
მუშისთვისვე სასაჩვენებლოა, რადგან იგინი აიაფებენ. წარ-  
მოებას და ამნაირად უჩენენ ახალსა და ფართო ბაზარს  
თავიანთ ნაწარმოებს და ეს კი იწვევს უსაქმოდ დარ-

ჩენილ მუშების ისევ სამუშაოზე დაბრუნებას. ეს მართალია. შაგრამ, ნუ თუ ავიწყდება ეკონომისტის, რომ მუშაძალის წარმოებასაც აწესრიგებს მეტოქეობა და რომ მუშაძალის როდენობა მუდამ დამოკიდებულია სამუშაო საშვალებებზე. მანქანა მართლაც რომ ასეთ უპირატესობას აძლევდეს მუშებს, მაინც მეტოქე მუშები მეტი აღმოჩნდებოდა და ეს უპირატესობა მოსაჩვენებელია. შეიქმნებოდა მანქანების-მიერ მუშებისითვის მოტანილი სიავე კი (მუშების ერთი ნაწილისათვის ანაზდეული შეწყვეტა არსებობის სახსრისა, ხოლო მეორე ნაწილისათვის ხელფასის დაცემა) რეალური რჩება. განა ეკონომისტის ავიწყდება, რომ გამოგონებანი შეუჩერებლივ ვითარდებიან და რომ ეს სიავე მუდმივია? განა მან დაივიწყა, რომ ჩვენი ცივილიზაციის-მიერ გამოწვეულ შრომის განაწილების და მის შეუჩერებლივ ზრდის გამო, მუშას მხოლოდ იმ შემთხვევაში. შეუძლია არსებობა, თუ იგი თავის სამუშაო ძალას ერთ გარკვეულ მანქანას ახმარს და ერთ გარკვეულ წვრილმან სამუშაოს აღგია. განა მას დაავიწყდა, რომ მოწიფეულ შუშისათვის თითქმის შეუძლებელია ერთგვარ სამუშაოდან ახალ, მეორეგვარ სამუშაოზე გადასვლა!

მანქანების გავლენის გარჩევამ ჩვენ მიგვიყვანა მეორე, უფრო უორეულ საკითხთან, — საქარხნო სისტემის საკითხთან; მაგრამ მისი განხილვისავის ჩვენ არც სურვილი, არც დრო არა გვაქვს ამ უამაღ. იმედი კი გვაქვს, მალე მოგვეცემა შეძლება დაწვრილებით შევეხოთ ამ სისტემის საზიზლარ უზნეობას და შეუბრალებლად გამოვაშკარავოთ ეკონომისტთა ორპირობა, რომელიც ნათლად იხატება ამ შემთხვევაში.

ფ. ვნგელსი,

¤ 383 3  
1905

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ი ვ ე რ ი ა“.

1905 წ.

გამოდის, ყოველ-დღე.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის-მომწერლებს

## პრემია 12 ჭრის

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთის ფასი: 1 ავესტორან წლის დამლევამდის 4 ა. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება..

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3. კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო აღრეხი: თიფლის, რედაქცია გაზ. „Иверия“.

სტამბა ამზანაგობისა „შრომა“